სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 7 ოქტომბერი 1999 №192 (965) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ათენიდან

ვიაროთ... ბოსკამპთან ერთად?!

ჰოლანდიელი, რომელიც ტრაბახობდა, მენტალიტეტს შეგიცვლით, ჭკუას გასწავლითო, ნელ-ნელა თავად ემსგავსება ქართველს

გურიას ქონება ბანკში

გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა და „გურიას“ ორი ავტობუსი, სულ რაღაც 33 ათასი ლარი ღირებულა

ომი ზაგრებში, პრობლემები ბელგრადში

ზაგრებში სტადიონზე შესასვლელი ბილეთის რიგში ფანები მთელი კვირაა დგანან

გუშინ ათენში: საბერძნეთი — ალბანეთი. ბერძენი ნიკოს მახლასი (№9) ალბანელ რუდი ვატას გაურბის

ქართველებს მუიერი ალბანეთი დახვდებათ

ათენი
6 ოქტომბერი
23 საათი
ოლიმპიური
8 000 (ტევადობა 74 433)

საბერძნეთი 2:0 ალბანეთი

1:0 ცარტასი (1), 2:0 გეორგიადისი (87)

საბერძნეთი: ატმაციდისი, ამანატიდისი, გეორგატოსი, დაბიზასი, უზუნიდისი, პურსანიდისი, ზაგორაკისი, ზიკოსი, მახლასი, ცარტასი, ნიკოლაიდისი

ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, ბელაი, ჯუმბა, ვატა, მურაზი, ჰაჯი, ბუში, კოლა, რაკლი, ტარე

მსაჯი: ვ. ივანოვი (რუსეთი)

ქართველთა მასპინძლობამდე ალბანეთის ნაკრები ათენში ბერძნებს ეთამაშა. ეს მატჩი საბერძნეთის დედაქალაქში მომხდარი ამასწინანდელი მიწისძვრის გამო იყო გადადებული და გუშინ გაიმართა.

მასპინძლები პირველ წუთზევე დაწინაურდნენ ვასილის ცარტასის გოლით, რამაც ქართველთა ბოლო მეტოქე თავიდანვე გატეხა. თუმცა ბერძნებმა მოპოვებული უპირატესობის გოლად გარდასახვა ბოლომდე ვერ მოახერხეს. 87-ე წუთზე კი პაოკ-ელი გეორგიოს გეორგიადისის გოლმა მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

ეს ის გეორგიადისია, თბილისში „ლოკომოტივს“ ორი გოლი რომ გაუტანა, შარშან კი „ნიუკასლში“ თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი იყო. გუშინ პაოკ-ელმა შეცვლაზე ითამაშა.

ერთი სიტყვით, შაბათს საქართველოს ნაკრებს ტირანაში ჯერაც გაუმარჯვებელი ალბანეთის ეროვნული გუნდი უმასპინძლებს.

REUTERS ათენიდან

მოგებასმოწყურებული ალბანელი გულშემატკივრები

მეორე ჯგუფი

ნორვეგია	9	7	1	1	19:8	22
სლოვენია	9	5	2	2	12:11	17
ლატვია	9	3	4	2	12:10	13
საბერძნეთი	9	3	3	3	10:8	12
საქართველო	9	1	2	6	7:16	5
ალბანეთი	9	0	4	5	6:13	4

9 ოქტომბერი: ალბანეთი — საქართველო, სლოვენია — საბერძნეთი, ლატვია — ნორვეგია

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს

დავით ხახალეიშვილი

ვიაროთ... ბოსკამპთან ერთად?!

ეროვნულმა ნაკრებმა საალბანეთოდ თბილისური შეკრება გუშინვე დაასრულა. დღეს, ჩვენი დროით პირველ საათზე, ქართველები ტირანას ესტუმრებიან და მზადებას იქ დაასრულებენ.

თბილისური შეკრება ვახსენეთ, მაგრამ საქმეში ჩახედულებმა კარგად იციან, რომ იმ თავშეყრას შეკრება პირობითად თუ ეწოდება. უბრალოდ, ბიჭებმა ერთმანეთი ნახეს, იხუმრეს, გული მოიოხეს და ცოტაც ბურთი გააგორეს.

ეს ყველაფერი სამმა საათმაც თავისუფლად დაიტია და ღმერთმა უწყის, რა მოხდება ტირანაში.

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ქართველებმა მორიგი მარცხი უნდა განიცადონ. საკითხს რომელი მხრიდანაც არ უნდა მივუდგეთ, საბოლოოდ ერთ, ჩვენთვის ძალიან გულდასაწყვეტ ფაქტამდე მივალთ — ალბანეთის ეროვნული ნაკრები დღეს უფრო გუნდია, ვიდრე ჩვენი.

ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა ერთხელაც ვერ მოახერხა, ყველა უძლიერესი ქართველი ფეხბურთელისთვის ერთად მოეყარა თავი. ზოგჯერ ზედმეტმა პრინციპულობამ და სიმკაცრემ არ მისცა ამის საშუალება, უფრო ხშირად კი ტრავმებმა შეუშალეს ხელი.

აბა, გამონაკლისი ბოლო შეკრება როგორ იქნებოდა. ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი სხვადასხვა მიზეზებით კლუბებში დარჩნენ. გუშინ ფეხმა შეაწუხა შოთა არველაძე, არადა, ამსტერდამიდანვე ნატკენი ფეხით ჩამოსული, დიღმის საწვრთნელ ბაზას ჩინებულ ხასიათზე მოადგა.

ბადრი კვირელაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპი ჩვეულ სტიქიაში: ჰოლანდიელი თანდათან ხასიათზე მოდის

ტყუპების გამორჩენამ უცბად შეცვალა იქაურობა, ხუმრობამ ფეხბურთელები გაამხიარულა, თითქოს ყველაფერიც კარგად მიდიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შოთამ ვარჯიში შუა გზაზე შეწყვიტა, დროებით იქვე, მინდვრის კიდესთან ჩამოჯდა, მერე კი გასახდელს მიაშურა.

ბოლო დროს ტრავმები დაებედა შოთა არველაძეს, მიუხედავად ამისა, იგი, ალბათ, ტირანაში მაინც ითამაშებს.

მარჯვენა მუხლმა შეახსენა თავი გიორგი იმედაძესაც. მწვრთნელებმა ეს კარგად იცოდნენ, ბოსკამპმაც ახალგაზრდა ქუთაისელი ჯერ ფრანსუა დე იონგთან არბენინა, მერე კი გუნდურ ვარჯიშშიც ჩართო.

მუხლი, ოღონდ მარცხენა, აწუხებს მიხეილ აშვეთიასაც. მიხომ ერთ მომენტში კვადრატის თამაშს თავი ანება, მასაჟისტი იხმო და ნატკენი ადგილი საფუძვლიანად დაამუშავებინა. მერეც ცხადად ჩანდა, აშვეთია ცაციას ძალას არ ატანდა.

სხვებთან შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ დავით ჭიჭვეიშვილი და გოგა გახოკიძე. ჭიჭვეიშვილისთვის უკვე გადატანილ ტრავმებს დაუტყვია თავისი ადი, ხოლო გახოკიძეც ფეხს იტკიებდა, ეტყობა, მარცხენა ტერფი აწუხებს.

ყველაზე უკეთ, ჩემი აზრით, ისევ გორა ჯალარაული გამოიყურება. „ციურიხში“ გადაბარგებამ მასზე პეტად დადებითად იმოქმედა და ვიქონიოთ იმედი, რომ ამიერიდან თავის საუკეთესო თვისებებს გამოავლენს.

აბა, კახა კალაძეზე ვინ იტყვის მოუმზადებელიაო. კახამ, მას შემდეგ, რაც კიევში გადავიდა, დაღლა რა არის, არ იცის. კალაძე ის ფეხბურთელია, რომელსაც მუდამ და თამამად შეგიძლია ენდო. ის თამაშს გააკეთებს, უფრო სწორად, იმას შეასრულებს, რასაც დაავალებ.

იქნებ ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ გიორგი ქინქლაძის ქმედებებს, თუ მის აიაქსურ ტრაგედიას გავითვალისწინებთ, დამაკმაყოფილებელი შეიძლება ეწოდოს. გიორგის არც წონა აწუხებს, უფრო დაკუნთულა, ვიდრე ადრე გვახსოვს, სისწრაფე და სხარტი მოძრაობებიც შერჩენია.

იგივეს ვიტყვით ეროვნული გუნდის კაპიტან გიორგი ნემსაძეზეც. ჯერჯერობით უგუნდოდ დარჩენილი კაპიტანი ასე თუ ისე ინარჩუნებს სათამაშო ფორმას.

ნაკრებში უეცრად გამოძახებული დავით ჯანაშია ცუდად გამოიყურებაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ეროვნულ გუნდში მესამედ მობრუნებული ქუთაისელი ფორვარდი გუშინ თბილისურ გარემოსთან შეგუებას მოუნდა.

დროა, მეკარეებზეც ვთქვათ. გუშინ ბოსკამპის განკარგულებაში ორი ჭანტურია იყო — გელა და გრიგოლი. გელამ, კარგად მოგეხსენებათ, თამაშს თითქმის ორი წელია, თავი დაანება, ცოტა ღიპიც წამოზრდია და ამჟამად მეკარეების მწვრთნელია როგორც „დინამოში“, ასევე ნაკრებში.

აქედან გამომდინარე, ბოსკამპი, ძალიანაც რომ მოინდომოს, გელას ტირანაში ვერ ათამაშებს. გუშინ გრიგოლმა იმუშავა მთელი დატვირთვით, მაგრამ ორმხრივი თამაშისას გელამ უფრო ძნელადასაღები ბურთები მოიგერია და ჰოლანდიელს სულ ტაში აკვრევინა.

კი მაგრამ, სად გაქრა დავით გვარამაძე? არსადაც არ გამქრალა. უბრალოდ, ვიღაცამ თბილისშივე დავალებული საქმე ზერელედ შეასრულა და გვარამაძესაც გამოძახების ფურცელი არ მიულია. ალბათ, დათო სამარაშვილი, თავის ნაცვალ [illegible] ბლუმეზე ფიქრობდა [illegible] ღომში დრტვინავდა.

სხვა გზაც არ იყო, ნაკრების თავკაცს ნიკოლოზ ტოგონიძე გაახსენდა და „ბათუმიდან“ გამოიხმო. გუშინ ნიკამ ბათუმში ივარჯიშა, ხოლო საღამოს თბილისის გზას დაადგებოდა და გვიან ღამით ნაკრებსაც შეუერთდებოდა.

მიუხედავად პრობლემებისა, ბოსკამპმა საათ-ნახევარს ავარჯიშა ფეხბურთელები. თურმე ამაოდ გვეგონა, ჰოლანდიელს ყვირილი დაავიწყდაო, გუშინაც არაერთხელ აიმაღლა ხმა, ყელი ჩაიწმინდა, ცოტაც გაიცინა და ვარჯიშიც ჩაამთავრა.

რითი იყო უკამაყოფილო ბოსკამპი? ფეხბურთელებმა კარში ვერ დაარტყეს მწვრთნელის მოსაწონად. ნაკრების ექიმ-მასაჟისტები და ფრანსუა დე იონგიც კარს აცილებული ბურთების მოგროვებას ვერ აუდიოდნენ. კიდევ, ყველამ სასურველად ვერ ითამაშა პრესინგი.

იოჰან ბოსკამპმა ამდენ სიცილ-ღრიალში ქართულიც ისწავლა. გივი! უყვიროდა დიდავას, აგიკვანე, გივი!

აჩი მიდი, აჩი მიდი! შეუძახებდა არჩილ არველაძეს. მეკარე გრიგოლ ჭანტურიას ისეთი მიმიკით მოსთხოვა ფეხბურთელებისთვის კარნახი, რომ კაცი ბრმა უნდა იყო, ვერ გაიგო.

ჰოლანდიელი, რომელიც ტრაბახობდა, მენტალიტეტს შეგიცვლით, ჭკუას გასწავლითო, ნელ-ნელა თავად ემსგავსება ქართველს.

არა, მას ჯერ კიდევ ბევრი რამ უკვირს, მაგრამ ბევრზეც თვალის დახუჭვას მიეჩვია. ფეხბურთელებიც უკეთ უგებენ უცხოელ დამრიგებელს.

9 ოქტომბერს ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის კონტრაქტის ვადა იწურება. საბოლოოდ მიდისო, ამბობენ, მაგრამ თუ რაიმე სახეირო გვსურს გავაკეთოთ, მაშინ ბოსკამპი უნდა დარჩეს, ფედერაციამ, თუ მომავალზე ფიქრობს, ბოსკამპი უნდა დაიყოლიოს.

ჰოლანდიელი ახლა გაცილებით საჭიროა ეროვნული გუნდისთვის, ვიდრე მისი დანიშვნის დროს იყო.

თვით ფეხბურთელთა უმავლესობასაც დიდად ესიმპათიურება ჰოლანდიელი, ჰოდა, იოჰან — მრისხანე არ უნდა გაუშვან.

არადა, ქართული ფეხბურთი ისევ ძველი, ნაცნობი გზით იელის და ამითი ხეირი არ იქნება.

მამუკა კვანტალიანი

ბადრი კვირელაძის ფოტოები

თენგიზ სიჭინავა (მარცხნივ) კახა კალაძის მოტყუებას ცდილობს...

მეორე მეკარის გამოჩენამდე გრიგოლს მისი მოგვარე, მეკარეების მწვრთნელი გელა ჭანტურია შეეწყვილა

დავით ხმელიძე — ქართველი ჩილავერტი?

ქართულ ფეხბურთს მაღალი კლასის მეკარეები არასოდეს აკლდა. თბილისის „დინამოს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებსა თუ ევროთასებზე თუკი რაიმე წარმატება მოუპოვებია, მასში თავისი, მნიშვნელოვანი წვლილი მეკარეებსაც შეჰქონდათ.
ახლა კი... რა გახდა ერთი ნორმალური მეკარეო, ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს.
მართალიცაა, ქართულ ფეხბურთს ბევრ სხვასთან ერთად მეკარის პრობლემაც გასჩენია. რაღა შორს წავიდეთ, აგერ ისევ თბილისის „დინამო“ ავიღოთ, რომლის კარსაც 35 წლის ბელგიელი დენიტ დონდტი იცავს. ასეა, მეკარეები უკვე უცხოეთში გვყავს საძებნი. თუმცა ახალგაზრდობის შემყურეთ იმედი გვიღვივის, იქნებ... გიორგი ლომაიას, დავით ხმელიძეს, ზურაბ ბათიაშვილს, დავით ასლანაძეს და სხვებს ჯერაც დაღვინება სჭირდებათ, მეკარისთვის ხომ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედი კი უდავოდ სოჭის „ჟემჩუჟინის“ კარის დარაჯი, დავით ხმელიძეა, რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი კაცი, რომელმაც იქაურ ნაკრებს საქართველოსი ამჯობინა, ბევრი, ალბათ, სხვა გვარად მოიქცეოდა. გუშინ სასტუმრო „მესაზღვრეში“ ვეწვიეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ, დავით ხმელიძეც ნომერში აგვიძღვა და კითხვებზე სიამოვნებით გვიპასუხა.



ბადრი კვითელაშვილის ფოტო

— დათო, „ჟემჩუჟინით“ დავიწყოთ. მის შემადგენლობაში ვერა და ვერ გიხილეთ...

— ამას თავისი მიზეზები აქვს. გუნდის ძირითადი მეკარე ბელარუსის ნაკრების კარის დარაჯი გენადი ტუმილოვიჩია, სამართლიანადაც. იგი უდავოდ გამოცდილი და ძლიერი მეკარეა. თუმცა ახლა მას ათმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. კარში კი ლედოვსკიხი დგას. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ ანტიხოვიჩმა ასე გადაწყვიტა, არც არის გასაკვირი, იგი ხომ მისი ნათესავია. სხვათა შორის, „ჟემჩუჟინაში“ ანტიხოვიჩის მოსვლის შემდეგ გუნდში ერთადერთი ქართველი მელა დავრჩი. ისე, 12 ოქტომბერს ნალჩიკში რუსეთის თასის მატჩი გველის. ამ შეხვედრაში კარში მე ვიდგები. ეს მწვრთნელმა კვირას მოსკოვის „სპარტაკთან“ 3:7 მარცხის შემდეგ გადაწყვიტა. შემადგენლობაც ძნიშვნელოვნად შეიცვლება.

— სათამაშო პრაქტიკას მეკარისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამ მხრივ პრობლემა ხომ არ გაქვს?

— არა, რადგან ამ ხნის განმავლობაში მუდმივად ვთამაშობ „ჟემჩუჟინას“ დუბლშემადგენლობაში, რომელიც რუსეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონშია, და საკმაო წარმატებითაც გამოუდის. ასე რომ, სათამაშო პრაქტიკა არ მაკლია.

— „ჟემჩუჟინა“ დღესდღეობით გავარდნის უმთავრესი კახდიდატია. როგორ ფიქრობ, შესწევს გუნდს ელიტაში ადგილის შენარჩუნების ძალა?

— კი, ძალაც შეგვწევს და საამისოდ კარგი შანსიც გვაქვს, რადგან ჩვენზე ერთი ადგილით წინ მყოფ „კრილია სოვეტოვს“ ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ მეორე წრეში მოპოვებული ქულების მიხედვით მეორე ადგილზე ვიმყოფებით. სამწუხაროდ, პირველ წრეში ბევრი ქულა დაკარგეთ, ამიტომაც აღმოვჩნდით აუტსაიდერთა შორის, თუმცა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფინანსური მდგომარეობა, საგრძნობლად გაუმჯობესდა და ქალაქის ხელმძღვანელობაც მხარში დგგიდგა, იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება.

— თავად რას აპირებ, რა გეგმები გაქვს, გუნდში დარჩები თუ...

— ვარიანტი ძალიან ბევრი მაქვს, თუმცა ყველაფერს სეზონის დასრულების შემდეგ გადავწყვეტ. საბოლოო გადაწყვეტილებაზე გარკვეულ გავლენას ისიც მოახდენს, დარჩება თუ არა „ჟემჩუჟინა“ უმაღლეს დივიზიონში. ბუნებრივია, ყურადღებას მივაქცევ სოჭელთა მიერ შემოთავაზებულ პირობებსაც. ისე, პირველი დივიზიონის ბევრი კლუბი მეპატიჟება, მაგრამ იქ გადასვლას რა აზრი აქვს, გინდ პირველ დივიზიონში გითამაშია გინდ მეორეში. უმაღლესი დივიზიონიდან კი ის კლუბები მიწვევენ, რომლებსაც ძლიერი მეკარეები ჰყავთ. ვიცი, ამ კლუბებში წასვლის შემთხვევაში კვლავაც სათადარიგო შემადგენლობაში მომიწევს თამაში, რაც, როგორც აღვნიშნე, ხელს არ მაძლევს.

ამ ზაფხულს ერთი რეალური უცხოური ვარიანტი მქონდა. ესპანური „ვალიადოლიდი“ მიწვევდა. ესპანელებმა „ჟემჩუჟინას“ ჩემს სანაცვლოდ 650 ათასი დოლარი შესთავაზეს. სოჭელებმა კი თანხა იცოტავეს და მილიონი დოლარი მოითხოვეს. „ვალიადოლიდი“ ამ ფასს ვერ შესწვდა და მოლაპარაკებები შეწყვიტა, თუმცა ესპანური კლუბის ხელმძღვანელობას კარგად მოეხსენება, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს, ანუ ერთ თვეში „ჟემჩუჟინასთან“ კონტრაქტი მისრულდება. ალბათ, კვლავ მოინდომებენ ჩემს გადაყვანას. ამ შემთხვევაში „ვალიადოლიდს“ სულ 30 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. ეს ის თანხაა, რომელიც მე „ჟემჩუჟინაში“ გამოვიმუშავე. მეტის მოთხოვნის უფლება სოჭელებს არა აქვთ, რადგან თავისუფალი აგენტი ვიქნები.

— სხვა რა ვარიანტები გაქვს, კონკრეტულად გვითხარი, თუ შეგიძლია.

— მოსკოვური კლუბები — ცსკა და „დინამო“ მეპატიჟებიან, ასევე ჩემს მსურველთა შორის არიან „როსტსელმაში“, „როტორი“ და „ბალტიკა“. უცხოური გუნდებიდან კიდევ ერთი ესპანური კლუბი, „სარაგოსა“ იყო დაინტერესებული, მაგრამ მათ კონკრეტული წინადადებით არ მოუმართავთ.

ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ოთხი წლის წინ იტალიურ „მილანში“ არ წავედი. 1995 წელს საფრანგეთში ვიყავით ტურნირზე, სადაც იტალიელებს მოვეწონე, უნდა წავსულიყავი კიდეც, მაგრამ მაშინაც კლუბმა არ გამიშვა. ასე იმიტომ მოხდა, რომ გუნდში ბევრი არაკომპეტენტური პიროვნება იყო, რომლებიც ფეხბურთისგან შორს იდგნენ.

— „ვალიადოლიდი“ ვისი მეშვეობით დაგიკავშირდა?

— ერთი წლის წინ ესპანეთში ვიყავით, სადაც ჩემით ორი ესპანელი აგენტი დაინტერესდა — ხოსე ლუისი და ხუან კარლოსი, მათ ამ სახელებით ვიცნობ. ისინი ორჯერ ვნახე. ერთხელ სოჭში ჩამოვიდნენ, ერთხელაც თავად ვეწვიე ესპანეთში. სწორედ მათ დაინტერესეს „ვალიადოლიდი“ ჩემით. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში რუსეთში ერთ-ერთ უძლიერეს აგენტ კონსტანტინე სარსანიასთან ვაპირებ თანამშრომლობას. იგი მართლაც ძლიერი და ცნობილი საფეხბურთო აგენტია.

— ერთი პერიოდი ტრავმამ გაგაწამა, როგორც ვიცით, მუხლი გაწუხებდა. ახლა როგორ გრძნობ თავს?

— საბედნიეროდ, ყველაფერი კარგადაა. ღმერთის მადლით, ჯანმრთელად ვარ. ჩემს გამოჯანმრთელებაში დიდი წვლილი მიუძღვის ერთ-ერთ უკრაინელ ექიმს. მისი უდიდესი დამსახურებაა რომ ამჟამად ფორმაში ვარ და მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ.

— დრო, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ. ელოდი, რომ ხურციელავა ალბანელ თანატოლებთან მატჩისთვის გამოგიძახებდა?

— სიმართლე გითხრა, ნაკრებში გამოძახებას სექტემბერში ველოდი, როცა სლოვენიასა და ლატვიას შევხვდით. იმ მატჩებში გამოუძახებლობის შემდეგ აღარც საალბანეთოდ მოწვევას ველოდი, მაგრამ როცა ეს შევიტყვე, ძალიან გამიხარდა. საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. საქართველოს ნაკრებში მოწვევამდე, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ლეონიდ პახომოვი ხუთჯერ მაინც დამიკავშირდა და მის გუნდში თამაში შემომთავაზა, მაგრამ ვუთხარი, რომ საქართველოს ნაკრებიდან რომც არ მიმეღო მიწვევა, რუსეთისაში, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ძლიერი გუნდია, მაინც არ ვითამაშებდი, რადგან მე ქართველი ვარ.

— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შემდგომ ეტაპზე ვერ გავიდა. არადა, შესარჩევი ეტაპის წინ ბევრს მიაჩნდა, რომ გუნდს საამისოდ კარგი შანსი ჰქონდა.

— სამწუხაროდ, ყველაფერი საწყის ტურებში განცდილი მარცხების შემდეგ გადაწყდა. შემდეგ კი შეიცვალა ხელმძღვანელობა, გუნდი და შედეგიც გამოჩნდა. აგერ უკვე ოთხი მატჩია, არ წაგვიგია. ნაკრების კიდევ უფრო გაახალგაზრდავება გამართლებული აღმოჩნდა. ამ ბიჭებს მომავალ შესარჩევ ციკლში წარმატებას შეუძლიათ მიაღწიონ. ძალიან პერსპექტიულნი არიან. ამას დაუმატეთ ჩინებული მწვრთნელები — მურთაზ ხურციელავა, ვახტანგ კოპალეიშვილი და ოთარ გაბელია და, ვფიქრობ, ყველაფერი ნათელი გახდება.

— ლომაიას, როგორც ვიცი, ტრავმა აწუხებს, ამიტომ ალბანეთში ნაკრების კარის დაცვა შენ მოგიწევს, მზად ხარ მომავალი მატჩისთვის?

— ლომაია სრული დატვირთვის ვარჯიშობს და ჩინებულად გამოიყურება. ამიტომ გადაჭრით იმის თქმა, კარში მე ჩავდგები თუ იგი, ალბათ ნაადრევია. ეს მთლიანად მწვრთნელების გადასაწყვეტია. ისე კი თამაშისთვის მთელი სერიოზულობით ვემზადები და მატჩს კარგ ფორმაში შევხვდები.

— შენს ყველაზე დიდ ნაკლად რა მიგაჩნია?

— ალბათ უფრო ფიზიკურ მომზადება, რადგან რუსეთში სეზონი დასასრულს უახლოვდება და ცოტა გადავიღალეთ კიდეც. ახლა გადამწყვეტი მატჩებია, ამიტომ მთელი ძალების მობილიზება გვჭირდება, თანაც დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, რაც მომქანცველია. ამიტომ ჩემს ყველაზე დიდ ნაკლად დღესდღეობით ფიზიკური მზადყოფნა მიმაჩნია. სხვა მხრივ ყველაფერი კარგადაა.

— შენ რუსეთში გაზრდილჩამოყალიბებული მეკარე ხარ, საქართველოს ნაკრებშიც გივარჯიშია და უკვე გარკვეული შეხედულებაც გექნება. როგორ ფიქრობ, ქართულ და რუსულ სამეკარეო სკოლას შორის დიდი განსხვავებაა?

— ძალიან. რუსეთში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოსვლებზე თამაშს, ამ კომპონენტის დახვეწაზე ბევრს მუშაობენ, ისევე როგორც ფეხით თამაშზე. აქ გაზრდილ მეკარეებს კი აშკარად ეტყობათ, რომ ამ მხრივ მოიკოჭლებენ, სამაგიეროდ კარის ხაზზე შეუდარებელნი არიან. ერთ-ერთი გამონაკლისი „კრილია სოვეტოვის“ ყოველმხრივ ძლიერი მეკარე დავით გვარამაძეა, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში ძალიან მაღალ დონეზე თამაშობს.

— ვინ არის შენი იდეალი?

— კიევის დინამოელი ალექსანდრ შოვკოვსკი და არგენტინის „ველეს სარსფილდის“ პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი, რომლის თამაშიც განსაკუთრებით საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მომეწონა. სამწუხაროდ, მისი თამაშის ხილვით განებივრებულნი არ ვართ.

— ჩილავერტს თავისი კოლეგებიც არაერთხელ გაუმწარებია...

— ჯარიმებს მართლაც ჩინებულად ასრულებს. ისე, სტანდარტულებიდან გოლები მეც გამიტანია. წლეულს დუბლებში ხუთი ბურთი შევაგდე — სამი პენალტიდან, ორი ჯარიმიდან, ხოლო შარშან ესპანეთში გამართულ ტურნირზე სამი გოლი გავიტანე, ორი ჯარიმიდან, ერთიც პენალტი.

— რომელი გუნდები მონაწილეობდნენ იმ ტურნირში?

— „ვალენსია“, „ესპანიოლი“, „ოვიედო“, „ბრონდბიუ“, „დორტმუნდი“, მასპინძელი „პალენსია“ და ჩვენ.

— ალბათ, ისიც გეხსომება, რომელი გუნდების მეკარეები დაამწუხრე.

— რა თქმა უნდა, „ვალენსიას“ და „ბრონდბიუს“ ჯარიმიდან შევუგდე, „ესპანიოლს“ — პენალტით.

— იმედია, გოლს საქართველოს ნაკრებშიც გაიტან.

— ვეცდები.

ვანო ოჟროპირიძე

გურიას ქონება ბანკში

გრიგოლეთის ბაზა და გურიას ორი ავტობუსი 33 ათასი ლარი ღირებულა

თბილისის „დინამოსა“ და TBC ბანკის დავასთან დაკავშირებული საქმე მართალია, ბოლომდე არ დასრულებულა, მაგრამ აქედანვე შეგვიძლია დავასკვნათ — დიღმის საწვრთნელი ბაზა საჯაროდ ვერ გაიყიდება. მიზეზიც მარტივია, „დინამომ“ ვალი თითქმის გაისტუმრა. რამდენიმე ათასს, რომელიც ბანკისთვის დარჩა გადასახდელი, კლუბის ხელმძღვანელობა 22 ოქტომბრამდე გადაიხდის.

თუმცა საფეხბურთო კლუბსა და ბანკს შორის დავა ამით არ ამოიწურება. ეტყობა, მოდაშია ბაზის, ანაც კლუბის ქონების დაგირავება და ამგვარი რამ მეათე ეროვნულში პირველი ჯგუფიდან გავარდნილ, ამჟამად რეგიონალური ლიგის ლანჩხუთის „გურიას“ მესვეურებსაც გაუფიქრებიათ.

ზუსტად ვერ დავადგინეთ, რომელი ბანკი დაყაბულდა „გურიას“ თავკაცებს, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ რამდენიმე ათეული ლარის სანაცვლოდ გრიგოლეთის ბაზა და გუნდის ორი ავტობუსიც გირაოში ჩაიდო.

მოარული ხმები ირწმუნებიან, კრედიტის გამცემი ორგანიზაცია „საქართველოს ბანკის“ ლანჩხუთის ფილიალი გახლავთო.

დანამდვილებით ვერც იმას მოგახსენებთ, ვინ მოაწერა ხელი „გურიას“ მხრიდან შესაბამის დოკუმენტებს.

ის კი ვიცით, რომ გრიგოლეთის ბაზა 23 ათასად (ძალიან შეუსაბამო ციფრი კია), ხოლო ავტობუსები თითო 5-5 ათასად დაგირავეს.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ ბაზას რამდენიმე ჰექტარი მინაც თან მიჰყვება და „გურიას“ მესვეურებს ფაქტობრივად ჩალის ფასად შეუფასებიათ კლუბის ქონება.

ახლა თურმე ბანკი ურჩობს, ან ფული დააბრუნეთ, ანაც ბაზამ და ავტობუსებმა ჭირი მოგჭამათო.

„გურიასა“ და საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის“ ხელშეკრულება ვისაც ახსოვს, ისიც კარგად ეცოდინება, რომ იქ ლანჩხუთელთა მხარე ბაზისა და კვების საკითხებს თავის თავზე იღებდა. ბაზაზე ბოდიშიო — ამბობს თურმე ბანკი, კვებაზეც ხელმოკლედ არიან „გურიას“ სახელით მოთამაშე ოლიმპიკელები.

რეგიონალურ ლიგაში 4 ტური მიილია, „გურიას“ 4 თამაშიდან 4 მარცხი დაუგროვდა და...

არავის გაუკვირდეს, რომ ერთ დროს ძლევამოსილი და სახელიანი „გურია“ საერთოდ გაქრეს საფეხბურთო რუკიდან.

დათო დანელია

ლევან კობიაშვილი: იოჰან ბოსკამპმა უკეთესად გვათამაშა

— ლევან, რას მივაწეროთ „ფრაიბურგის“ თამაშისა და სატურნირო მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესების ფაქტი?

— არ ვიცი, როგორ გითხრათ. მართალია, ცუდად დავიწყეთ, მაგრამ მაშინაც ყველა აღნიშნავდა, რომ თამაშის ხარისხი ურიგო არ გვქონდა. ალბათ, უბრალოდ არ გვიმართლებდა. ისეთი ქულები დავკარგეთ... ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ვფიქრობ, საკმაოდ ნორმალური შედეგი მივიღეთ. „ფრაიბურგისთვის“ მეოთხე ადგილი მიღწევად უნდა ჩაითვალოს და ვეცდებით, კიდევ მოვუმატოთ. მართალია, მომავალში უფრო ძნელი შეხვედრები გველის, მაგრამ ამდენი მოგების შედეგად გუნდში ძალიან კარგი ფსიქოლოგიური ატმოსფერო შეიქმნა და ძალას არ დავიშურებთ. იმისათვის, რომ დღევანდელი მიღწევა შემთხვევითობას არ მიეწეროს.

— ფინკეს რაიმე ტაქტიკური გადაადგილებებისთვის ხომ არ მიუმართავს?

— არა. ოდნავ ცვლილებებს თუ არ გავითვალისწინებთ, გუნდი კვლავ ძველი სათამაშო სქემით მოქმედებს და რაიმე მნიშვნელოვანი გადაადგილება არ მომხდარა.

— ცქიტიშვილის ტრავმა სერიოზულია?

— როგორც თქვეს, ლევანი 2-3 კვირა ვერ ითამაშებს. ისე, ერთი კვირა უკვე გავიდა. თუ არ ვცდები, გუშინ უნდა დაეწყო ძუნძული. რამდენ ხანში განაახლებს ვარჯიშს, ეს ექიმების გადასაწყვეტია.

— გამოჯანმრთელებული იაშვილის მოედანზე დაბრუნებას როგორი რეზონანსი მოჰყვა კლუბში და გულშემატკივრებში?

— რა თქმა უნდა, გუნდიც და მაყურებელიც დიდ ხანს ელოდა იაშვილის დაბრუნებას. „ფრაიბურგს“ ძალიან სჭირდებოდა მისი მოედანზე ყოფნა. ძალიან ძნელია, რვათვიანი შესვენების შემდეგ უცებ განაახლო ისეთი შედეგიანობა, როგორიც იაშვილს ჰქონდა ტრავმამდე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი ნელ-ნელა შეძლებს ჩვეული ფორმის აღდგენას.

— ნაკრების შეკრებაზე რატომ ვერ ჩამოვიდა?

— ახლა კლუბს სამდღიანი შესვენება აქვს. მწვრთნელებმა საგანგებო ვარჯიშები დაუნიშნეს იაშვილს, რათა უკეთესად შეძლოს ძალების აღდგენა. ამის გამო „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობამ სთხოვა ჩვენს ფედერაციას, რომ თუ აუცილებლობა არ იყო, იაშვილის გამოძახებისგან თავი შეეკავებინა. როგორც ჩანს, შეთანხმდნენ.

— ბოლო შეხვედრებში „ფრაიბურგის“ შემადგენლობაში ტუნისელი ლეგიონერები — სელიმი და ბაია გამოირჩევიან. მწვრთნელების სიმპატიები მათკენ ხომ არ გადაიხარა, ქართველები ხომ არ დაიჩაგრნენ?

— არა. ასეთს ვერაფერს ვგრძნობ. ჩვენც თუ გავიტანთ გოლებს, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუმცა ამას გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

— 6 პენალტიდან მხოლოდ ორი გამოიყენეთ...

— ამ მხრივ მართლაც სასწაული გვჭირს. შტატიანი პენალტისტი არ გვყავს, რადგან თითქმის ყველამ მოახერხა თერთმეტმეტრიანის გაფუჭება. თუნდაც სელიმი ავიღოთ. მართალია, ორი თერთმეტმეტრიანი გაიტანა, მაგრამ სამი გააცუდა.

— ყოველი სეზონის წინ ფინკე მეთხუთმეტე ადგილს გეგმავს. წლეულს თუ შეცვალა შეხედულება?

— შარშან მართლაც თავიდანვე განაცხადა, რომ მეთხუთმეტე ადგილი ურიგო შედეგი არ იქნებოდა. გუნდის ბოლომდე შეთამაშებასა და ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრობდა. იქნებ წლეულს უკეთეს შედეგს მოელის, მაგრამ თავადაც კარგად იცის, რომ „ფრაიბურგი“ არ არის იმ დონის კლუბი, ბუნდესლიგაში დიდი მიზნებისთვის რომ იბრძოლოს. ალბათ, ისევ იმაზე ვიზრუნებთ, არ გავვარდეთ, მაგრამ ჩატარებულმა შეხვედრებმა დაამტკიცა, რომ თავისუფლად შეგვიძლია, მე-15 ადგილზე საგრძნობლად ზევით დავმკვიდრდეთ.

— ახლა ნაკრებზე და ალბანეთთან მომავალ მატჩზეც ვთქვათ.

— რა უნდა ვთქვათ. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაირი ძნელი არ გვაქვს. მეორე ციკლის ბოლო შეხვედრაა ეს უნდა ვცადოთ, ეროვნულ საგუნდოზე არ ჩავამთავრონ იგი. ხანაც თითქმის წელიწადია, ნაკრებს არ გაუმარჯვია. რაღაც კოეფიციენტისთვისაც ხომ უნდა ვიბრძოლოთ, რომ მომავალი შესარჩევის კენჭისყრისას ჩვენი ბურთულა ბოლო კალათაში არ აღმოჩნდეს.

— ლევან, ნაკრების ყველა შეკრებაზე იყავით გამოძახებული. ადრეც ხშირად გიწვევდნენ ეროვნულ გუნდში. რამდენიმე მწვრთნელთან გიმუშავიათ, ახლა კი ბოსკამპზე მინდა გკითხოთ. აჯობებს, რომ ჰოლანდიელი ნაკრების მწვრთნელად დარჩეს?

— თუ ბოსკამპის დროს ჩატარებულ შეხვედრებს გადავხედავთ, რა თქმა უნდა, შედეგი ფაქტობრივად არ იყო, ერთი თამაშიც არ მოგვიგია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა მდგომარეობაში ჩაბარა მან გუნდი... ჩემი აზრით, ადრინდელთან შედარებით მაინც გაცილებით უკეთესი ფეხბურთი გვათამაშა...

— ბუნდესლიგაში თამაშობთ. იქ მომუშავე მაღალი დონის მწვრთნელებზე გარკვეული წარმოდგენა გექნებათ. ამ გადასახედიდან რა შთაბეჭდილება გრჩებათ იოჰან ბოსკამპზე, აკმაყოფილებს იგი საშუალო ევროპელი სპეციალისტის მოთხოვნებს?

— თითოეულ გამოძახებაზე ორი-სამი დღით მიწევდა მასთან პროფესიული ურთიერთობა. რასაც მე ვხედავ და როგორი დამოკიდებულებაც ბოსკამპს აქვს ფეხბურთელებთან, აქედან გამომდინარე, საკმაოდ ნორმალურ მწვრთნელად აღვიქვამ. თუ ჯანშიას გამონაკლისს არ ჩავთვლით, არც ერთ ჩვენგანს პრობლემა არ გასჩენია. ყველასთან მეგობრულადაა. ამას თანამედროვე ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არ არის ის დრო, მარტო ზედმეტი სიმკაცრით რომ ცდილობდნენ რაღაცის დამტკიცებას. თითოეულ მოთამაშეს თავისებურად უნდა მიდგომა. პირადად ჩემთანაც კარგი დამოკიდებულება აქვს. სამწვრთნელო დონეს რაც შეეხება, ხომ იცით, ქართველები მაქსიმალისტები ვართ და მისგანაც სასწაულებს ელოდნენ... ჩემი აზრით, საკმაოდ ნორმალური ევროპული დონის სპეციალისტია.

ხვიჩა სანიკიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან კობიაშვილი

გოგა გახოკიძე

გოგა გახოკიძე: ყველა ბოსკამპის ნაკრებში დატოვებაზე მეკითხება

— გოგა, რატომ მაინცდამაინც ჰაიფას „მაკაბი“?

— როგორც იცით, პსვ-ში მეტწილად უთამაშებელი ვიყავი. ისე, დღემდე ვერ გამიგია, რა მიზეზით...

იძულებული გავხდი, ახალი ვარიანტები მომეძებნა. ლაპარაკი იყო ესპანურ „ოვიედოში“ გადასვლაზე, რომლის შესახებ პრესაშიც არაერთხელ დაიწერა. ჩემით რამდენიმე გერმანული კლუბიც დაინტერესდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ჰაიფას „მაკაბიმ“ სხვებთან შედარებით მეტი თანხა შესთავაზა „ეინდჰოვენს“ და ჰოლანდიელებმაც ერთი წლით ისრაელში გამანათხოვრეს.

— კონკრეტულად რა თანხა გადაიხადეს?

— ითქვა 400 ათასი დოლარი, თუმც, ვფიქრობ, მეტი უნდა იყოს.

— ახალ კლუბში როგორი სიტუაცია დაგხვდათ და რა შთაბეჭდილება შეგექმნათ ისრაელის ჩემპიონატის შესახებ?

— სიტუაცია საკმაოდ ნორმალურია, კარგად მიმიღეს კიდეც. რაც შეეხება იქაურ გათამაშებას, რა თქმა უნდა, შედარებით დაბალი დონეა, ვიდრე ჰოლანდიასა თუ რუსეთში. თუმცა არც ისე ხელწამოსაკრავია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

— თქვენი გუნდი ჩემპიონატს ლიდერობდა. თუმცა, ბოლო ტურში შინ 1:2 დამარცხდით იერუსალიმის „ჰაპოელთან“ და პოზიციები დათმეთ...

— მართლაც კარგად დავიწყეთ. ხუთი ტური წაუგებლად მივდიოდით და შინაურ შეხვედრაში დაგვიცდა ფეხი. რუსული „ალანიადან“ ჰოლანდიურ „ეინდჰოვენში“ გადასვლით გოგა გახოკიძის კარიერაში აღმასვლა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ... სამწუხაროდ, ჩვენებურის საფეხბურთო მომავალი ლამის ახალ კლუბში უთამაშებლობას შეეწირა. არადა, გუნდმა საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა გახოკიძეში და მასთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სათადარიგოთა სკამზე ყოფნამ ფეხბურთელის სათამაშო ფორმას საგრძნობლად დაამჩნია კვალი და გოგას არც თუ ხშირად მოუნია ეროვნულ ნაკრებში გამოძახებამ.

ამ რამდენიმე თვის წინ გახოკიძის ბედის ბორბალმა კვლავ წაღმა იწყო ტრიალი. პსვ-ს ჩვენებურის განათხოვრება ისრაელის ჰაიფას „მაკაბიმ“ შესთავაზა და გოგას უთამაშებლობასაც ბოლო მოეღო. მართალია, მას შედარებით დაბალი რანგის ჩემპიონატში მოუწია გადაბარგება, მაგრამ, რაც მთავარია, სათამაშო კონდიციები ნელ-ნელა აღიდგინა. ეს რომ ასეა, ეროვნული ნაკრების გუშინდელმა ვარჯიშმაც დაგვარწმუნა. მისი დამთავრების შემდეგ კი გოგას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— გოგა, უკრაინასთან შეხვედრის მერე ეროვნულ ნაკრებში არ გითამაშიათ. ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა, კარგა ხნის უთამაშებელი იყავით. ახლა თუ ხართ მზად, კვლავ მოირგოთ პირველი გუნდის მაისურა?

— ამას ალბათ მწვრთნელი ყველაზე კარგად შეაფასებს. მისი გადასაწყვეტია, ვითამაშებ, თუ არა. ვფიქრობ, საკმაოდ ნორმალურ ფორმაში ვარ.

— ალბანეთთან მატჩის შემდეგ იოჰან ბოსკამპს კონტრაქტი უმთავრდება. როგორ ფიქრობთ, აჯობებს მისი დატოვება შემდეგი შესარჩევი ციკლისთვის?

— ყველა მაგას მეკითხება. წინასწარ თქმა ძნელია. შეიძლება, გაამართლოს, ანაც პირიქით. ხომ იცით, ქართველებს მხოლოდ მოგება გვინდა... გასათვალისწინებელია, რომ მოკლე ვადაში გუნდის ჩამოყალიბება ძნელია. ბოსკამპის ნაცვლად ვინც არ უნდა მოსულიყო, მეტის მიღწევა გაუჭირდებოდა...

— ბევრ ცნობილ, თუ საშუალო დონის მწვრთნელთან მოგიწიათ შეხვედრა. თქვენი აზრით, აკმაყოფილებს თუ არა ბოსკამპი საშუალო ევროპული დონის სპეციალისტის მოთხოვნებს?

— კი. მისი ვარჯიშები და ტაქტიკური მონახაზები ჰოლანდიას მაგონებს. იქაური მწვრთნელების სტილი თითქმის არაფრით განსხვავდება ბოსკამპის მეთოდებისგან. ჰოლანდიაში მომუშავე სპეციალისტების უმრავლესობა ნამდვილად საშუალო ევროპული დონის მწვრთნელია.

ხვიჩა სანიკიძე

ქეცბაია რობსონს აშინებს

ბადრი ქეთილაძის ფოტო

თემურ ქეცბაია

ინგლისური „ივნინგ ქრონიკლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „ნიუკასლის“ ქართველმა ნახევარმცველმა თემურ ქეცბაიამ კარგ ევროპულ გუნდად დაახასიათა უეფას თასის მეორე ეტაპზე თავისი კლუბის მეტოქე, შვეიცარიული „ციურიხი“.

„იქ ჩემი ორი თანამემამულე, ძალიან კარგი ფეხბურთელები — გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი თამაშობენ. ჯამარაული გუნდის აშკარა ლიდერია და ყაველაშვილთან ერთად ყველაზე მეტად უნდა ვუფრთხილდეთ“ — თქვა ქეცბაიამ.

„ბოლოს, როდესაც თბილისში ერთმანეთი ვნახეთ, მითხრეს, რომ ცუდი სტარტი ჰქონდათ და ცხრილის ბოლოში არიან, თუმცა „ლიერსთან“ თამაშის ფრაგმენტები ვნახე და ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს“ — აღნიშნა ქართველმა. ქეცბაიას აზრით, „ციურიხის“ სუსტი მხარე დაცვაა. გუნდს ბევრი გააქვს, მაგრამ ბევრსაც უშვებს. ქეცბაიამ ასევე არ გამორიცხა, რომ თანამემამულეების წინააღმდეგ თამაში მოუწევს. „ციურიხთან“ გამეორებით მატჩში, მგონი, ჯანზე ვიქნები“ — განუცხადა ქართველმა „ივნინგ ქრონიკლის“ კორესპონდენტ ალან ოლივერს.

სიმონ მენაგდე

მურთაზ შელია ფეხბურთის კიდევ ითამაშებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი მურთაზ შელია კვლავ გამოჩნდა, ოღონდ ჯერჯერობით დიღმის საწვრთნელ ბაზაზე.

კარგად იცით, შელიამ ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ უკვე დატოვა და ახალი კლუბის ძიებაშია, მაგრამ ვერც ამისთვის იცლის. ფეხბურთელისთვის მთავარი საზრუნავი მკურნალობაა.

მას უკვე რა ხანია, საზარდული აწუხებს. გერმანიაშიც კი აპირებდა სამკურნალოდ წასვლას, მაგრამ გადაიფიქრა. უთქვამთ, რაღა გერმანიაში მიდიხარ, აქ, თბილისში, გიმკურნალებთო.

ჯერჯერობით ესაა. მურთაზ შელია ირწმუნება, ჩემი ჩამოწერა ნაადრევია, ფეხბურთს კიდევ ვითამაშებო. ღმერთმა ინებოს, ასე მოხდეს, მაგრამ საკითხავია, რომელ კლუბში ითამაშებს იგი ძველებურად.

გიორგი ვაშაკიძე

სლავიადან სობში

ბადრი ქეთილაძის ფოტო

ლევან ბერიშვილი

ალბათ, გაიკვირვებთ, საიდან სადო?!

„სლავია“ ჰქვია ახლა მპკც-ს, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ბელარუსის უმაღლესლიგელ ქალაქ მოზირის გუნდს, სადაც, მოგეხსენებათ, არცთუ დიდი ხნის წინ ერთდროულად რამდენიმე ქართველი ბურთაობდა. ბოლოსკენ კი მოზირს მხოლოდ ლევან ბერიშვილი შემორჩა. მაგრამ, რად გინდა, ქვეყნის ჩემპიონატში საპრიზო სამეულში მოსახვედრად მებრძოლ „სლავიას“ არ არგია.

თებერვალში იყო, ბერიშვილმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ ფეხბურთელი უთამაშებელია. ვარჯიშსაც კი მხოლოდ ახლახან შეუდგა.

— წლევანდელი სეზონი „სლავიაში“, ფაქტობრივად, გამიცდა. კლუბის ხელმძღვანელობას შევუთანხმდი, გუნდს ორი თვის შემდეგ შევუერთდები. მანამდე კი, ალბათ, ხობის „კოლხეთს“ დავეხმარები ეროვნულ ჩემპიონატში. ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია — გვითხრა ლევან ბერიშვილმა.

იუზა კაციტაძე

ხურცილავა სულაქველიძის, ჩივაძის და შენგელიას წინააღმდეგ

22 ოქტომბერს მოსკოვში, „ლუჟნიკების“ სტადიონზე, რუსული საფეხბურთო საზოგადოება უდიდეს მეკარეს — ლევ იაშინს გაიხსენებს.

ამ დღეს იაშინი 70 წლისა გახდებოდა. სწორედ ამ იუბილეს მიეძღვნება საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანთა პაექრობა.

მოედანზე ოთხი ქართველი გამოვა. მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე და რამაზ შენგელია.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: დასაევი, ხიდიატულინი, აბრამოვი, პოზდნიაკოვი, გლადილინი, გავრილოვი, ჩერენკოვი, პაპაევი, იარცევი, ჩანოვი, ოლშანსკი, კოლიადკო, შტრომბერგერი, ნიკონოვი, ტუკმანოვი, ესკოვი, ლარიონოვი, ოგანესიანი, ხურცილავა და შიკუნოვი.

ნაკრებს „დინამოს“ კლუბების წარმომადგენლები დაუხვდებიან: სულაქველიძე, შენგელია, ჩივაძე, ჩანოვი, კუზნეცოვი, დემიანენკო, ბურიაკი, იარემჩუკი, ლიტოვჩენკო, მიხაილიჩენკო, ბლოხინი, პილგუი, მახოვიკოვი, დოლმატოვი, კოხლოვი, იაკუბიკი, გერასიმეცი, კონდრატიევი.

ტელეკომპანია HTB + მატჩს პირდაპირ ეთერში აჩვენებს.

სიმონ მენაგდე

ლატვია, ჯონსონი და პახარსი ვიკინგმეს ელიან

ინგლისურ „საუთჰემპტონში“ მოთამაშე ლატვიელმა მარიანს პახარსმა (№17), გოლი „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ გაუტანა

9 ოქტომბერს ბებერ კონტინენტზე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩები გაიმართება და ოფიციალურად გამოვლინდება ის გუნდები, რომლებიც ფინალურ ეტაპზე (ჯგუფში პირველ ადგილზე გასულები) და პლეი ოფში (მეორეადგილოსნები) ითამაშებენ. მეორე შესარჩევ ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრებიც გამოდის, უკვე ცნობილია გამარჯვებულთა ვინაობა. ნორვეგიელებს ბელგია-ჰოლანდიის საგზური ჯიბეში აქვთ, სლოვენიელებს ბენილუქსში მოსახვედრად გადათამაშება ელით.

ამ დღეს, როდესაც ქართველები ტირანაში ალბანეთს ვეთამაშებით ჯგუფში ბოლო ადგილის გასარკვევად, რიგაში ლატვიის ეროვნული გუნდი ნორვეგიას უმასპინძლებს. ალბათ, ყველას მოეხსენება, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის. ნორვეგიას რევანშის წყურვილი კლავს, ბალტიისპირელებმა კი თავიანთი პრესტიჟი უნდა დაიცვან და ყველას დაანახონ, ერთი წლის წინ ოსლოში ვიკინგთა 3:1 ძლევა სენსაცია იყო, თუ კანონზომიერება.

ლატვიის ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა, ბრიტანელმა გარი ჯონსონმა, შეკრებაზე 23 ფეხბურთელს უხმო, რომელთაგან 10 ქვეყნის ჩემპიონს, რიგის „სკონტოს“ წარმოადგენს.

შეკრებაზეა ლატვიელთა ერთადერთი პრემიერლიგელიც, ინგლისურ „საუთჰემპტონში“ მოთამაშე თავდამსხმელი მარიანს პახარსი, რომელმაც პრემიერლიგის ბოლო ტურშიც გამოიჩინა თავი — ორშაბათს „დერბი ქაუნთისთან“ ფრედ 3:3 დამთავრებულ მატჩში მეორე ბურთი გაიტანა.

გარი ჯონსონს არც ლატვიის ჩემპიონატის ბომბარდირი, 22 მატჩში 20 ბურთის გამტანი, ლიეპაიას „მეტალურგის“ ვიქტორს დობრეცოვი დავიწყებია.

ერთი სიტყვით, ჯონსონს მატჩისთვის 18 კაცის შერჩევა მოუწევს, ლატვიის ნაკრების სრული სია კი ასეთია:

მეკარეები: ალექსანდრს კოლინკო, ანდრეის პიდელსი (ორივე სკონტო), ვიქტორს სპოლე (დინაბურგი), ოლეგს კარავაევსი (რიგა);

მცველები: მიხაილს ზემლინსკისი, იგორს სტეპანოვსი (ორივე სკონტო), ალექსანდრს ისაკოვსი (ლოკომოტივი), ვალერის ივანოვსი, ვალენტინს ლობანიოვსი (ორივე შინიკი, რუსეთი), იგორს კორაბლიოვსი (რიგა), ვიქტორს ლუკაშევიჩსი (ვენტსპილსი);

ნახევარმცველები: იურის ლაიზანსი, ოლეგს ბლაგონადეჟდინსი, ვიტალის ასტაფიევსი, ანდრეის რუბინსი, იმანტას ბლეიდელისი (ყველა სკონტო), ალექსეის შარანდო (რიგა);

თავდამსხმელები: მარიანს პახარსი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ვლადიმირს ბაბიჩევსი (სკონტო), ანდრეის შტოლცერსი (შახტარი, უკრაინა), ვიქტორს დობრეცოვსი, მარის ვერპაკოვსკისი, რომანს ბულდერსი (ყველა მეტალურგსი).

გიორგი ვაშაკიძე

ომი ზაგრებში, პრობლემები ბელგრადში



REUTERS ზაგრებიდან

ზაგრებში „მაკსიმირის“ სტადიონზე შესასვლელი ბილეთის რიგში ფანები მთელი კვირაა დგანან. ამ ფოტოზე პოლიციელებს უწესრიგობების შედეგად გონებადაკარგული ქომაგი გაჰყავთ

ხორვატ საფეხბურთო ჩინოსნებსა და პრესას არ შეუძლიათ სიტყვები „ომი“, „ბრძოლა“ და „შეტაკება“ მალიმალ რომ არ წარმოთქვან. ერთგან ისინი იუგოსლავიასთან შაბათის ისტორიულ თამაშზე ლაპარაკობენ.

ხორვატიის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით მან მატჩზე დასასწრები ბილეთების 200 ათასი შეკვეთა მიიღო, რაც „მაკსიმირის“ სტადიონის ტევადობას ხუთჯერ აღემატება.

მატჩის სპორტული მნიშვნელობა ცხადია, მაგრამ 1991-95 წლების ომისა და პოლიტიკური მტრობის ხსოვნა მის წინა დღეებს აშკარა მთავარ თემად გასდევს.

შეხვედრის შედეგის მიხედვით გაირკვევა ორი გუნდიდან რომელი შეინარჩუნებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსს. იუგოსლავია მერვე შესარჩევ ჯგუფს 16 ქულით ლიდერობს, ირლანდიას 15 ქულა აქვს, ხორვატიას 14. თითოეულ მათგანს ერთი მატჩიღა დარჩა. პირველ ადგილზე გასული ავტომატურად გადის ევრო-2000-ზე, მეორე ადგილოსანი კი პლეი ოფში მოხვდება.

მაგრამ მტრობა 22 კაცისა და ბურთის მასშტაბებს გაცილებით აღემატება.

„ეს მხოლოდ ათწლეულის უმთავრესი შეხვედრა არ გახლავთ, ეს საუკუნის მატჩია“ — თქვა ამ დღეებში ხორვატთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა, რომელმაც კარგად იცის, რომ მის გუნდს გამარჯვება სჭირდება.

მეორე მხრივ ფრემ შესაძლოა იუგოსლავიელები მეორე ადგილზე ჩაადგოს თუ სკოპიეში მაკედონია ირლანდიასთან წააგებს.

„შაბათის მატჩი ბრძოლაა, რომელიც ომში გამარჯვებულს გამოავლენს“— განაგრძობს ბლაჟევიჩი და დასძენს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა კარიერაში არ ჰქონია.

იუგოსლავიელთა თავკაცმა ვუიადინ ბოშკოვმა კი ბრძანა, რომ მისი გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოლებს, თუმცა ფრითაც კმაყოფილი დარჩება.

„თუ კაცი ქულის მოსაპოვებლად გადის მოედანზე, აუცილებლად ნულს წამოიღებს, ხოლო თუ სამი ქულა სურს, ერთს მაინც მოინადირებს.“

საბრალო ბლაჟევიჩს ტვინი აქვს ახდილი, მისი მობილური ტელეფონი არ ჩერდება, მეგობრები და ნათესავები ბილეთებს თხოვენ, სტადიონს გარეთ კი ასობით გულშემატკივარი ათეონებს ღამეებს. ისინი საძილე ტომრებითა და კარვებით გახლავან სალაროებთან მისული. თითოეულ გულშემატკივარს ორ ბილეთზე მეტის ყიდვის უფლება არ აქვს — პოლიცია სავანგებოდაა დარაზმული, ქომაგები ერთმანეთს რომ არ დაერიონ.

„გმადლობ ღმერთო“ — გაისმა რიგიდან და მავანმა მინას აკოცა. მას ბილეთი ერგო.

ბლაჟევიჩი იუგოსლავიელ კოლეგასთან სიტყვების ომშია ჩაბმული. მან კომენტარი გაუკეთა პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას, რომ იუგოსლავიელებს საკუთარი მზარეული ახლდებათ, რათა ხორვატებმა საკვებში რაიმე არ ჩაუყაროონ.

„ჩვენსა და მათ შორის განსხვავება სწორედ ეგ არის: ბელგრადში რომ ვიყავით, ჩვენ მზარეული არ გვხლებია. ისინი შეშინდნენ, ჩვენ კი არაფრის გვშინებია“ — ამბობს ხორვატთა მწვრთნელი.

ორი თვის წინ, ბელგრადში გამართული შეხვედრა უინტერესო, უგოლო ფრით დამთავრდა. ხორვატებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი ძელს, იუგოსლავიელებმა ერთხელ. იმ დღეს ნატოს 11 კვირიანი დაბომბვებით დაღლილ იუგოსლავიაში ვითარება იმიტომ იყო დაძაბული, რომ მეორე დღეს ანტისამთავრობო მიტინგები გახლდათ დანიშნული.

მეორე ტაიმი რომ მიმდინარეობდა „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე, განათება 45 წუთით გამოირთო, ხოლო მოედანზე ცრემლდენი გაზის ქილა ისროლეს. ქილა სადღაც VIP-თა თუ ჟურნალისტთა ლოჟიდან ყოფილა ნასროლი.

ამჟამად, ზაგრებში რისკის ფაქტორი მინიმუმამდეა შემცირებული. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ზაგრებში იუგოსლავიელ გულშემატკივრებს არ ელიან.

თუმცა, როგორც ჩანს, იუგოსლავიელებს ამჯერად სხვა პრობლემები უფრო აწუხებთ, ვიდრე ფეხბურთის თამაშია. იმ სერბულ გაზეთებში, რომელთაც სახელმწიფო აკონტროლებს, მთავარი თემა ქვეყნის აღორძინებაა შენებაა, ხოლო დამოუკიდებელი გაზეთები ოპოზიციონერთა ლიდერის, ვუკ დრაშკოვიჩის სამი თანაშემწის ავტოკატასტროფაში დაღუპვის ამბავს უტრიალებენ. ეჭვი აქვთ, რომ ავარია მოწყობილი იყო.

დავორ ჰურიჩი,
როიტერი

საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონური „ჩელსის“ მცველი მარსელ დესაი ტრავმებს იშუშებს. ამიტომ საეჭვოა მისი მონაწილეობა ისლანდიელთა წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ, სასამშაბათო თამაშში. თავად დესაი საკმაოდ პესიმისტურად არის განწყობილი. „ჩემი თამაში რისკის ტოლფასია“ — თქვა მან. შეგახსენებთ, ფრანგი ფეხბურთელი გასულ კვირას „გალათასარაისთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაშავდა. საფრანგეთის ნაკრები კი ორშაბათს შეიკრიბა. ისინი პარიზის გარეუბანში ემზადებიან მომავალი მატჩისთვის.

ფრანგებს მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს. თუმცა ამ შემთხვევაშიც მათ არა აქვთ გარანტია, რომ პლეი ოფის გარეშე მოხვდებიან ევრო 2000-ზე. მოგეხსენებათ, ქვეჯგუფში შექმნილი მდგომარეობის გამო უეფამ გადაწყვიტა, საფრანგეთ-ისლანდიის და რუსეთ-უკრაინის შეხვედრები ერთდროულად გამართოს.

„ჩვენ ალბათ პლეი ოფში მოგვიწევს თამაში, რადგანაც, ვფიქრობ, უკრაინა რუსეთს დაამარცხებს — თქვა ზიდანმა.

ფრანგები ამჟამად მესამე ადგილზე იმყოფებიან, რადგან რუსებს ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ. უკრაინელები მათ ერთი ქულით უსწრებენ. თუ რუსეთ-უკრაინის თამაში ფრედ დამთავრდება და ფრანგები მოიგებენ, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხვდებიან ისინი პირდაპირ ბელგია-ჰოლანდიაში. მაგრამ თუ უკრაინა რუსეთს დაამარცხებს, მაშინ ფრანგებს საშინაო თამაშში ფრეც ხელს აძლევთ.

„თუ ჩვენ ევროპის ჩემპიონატს [illegible] კატასტროფა იქნება. შეგეტანებთ [illegible] ტანოთ ისლანდიელებს“ — [illegible]

ფრანგთა მწვრთნელმა [illegible] ვიცით, რას უნდა ველოდეთ ისლანდიელებისგან. ჩვენთან პირველ შეხვედრაში ისინი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ, უკრაინელებს კი სულ სხვა თამაში შესთავაზეს. მათ თითქოს ორი სახე აქვთ. ისინი არაფერს კარგავენ, ამიტომ შეეცდებიან, „სტად დე ფრანსზე“ შეკრებილ მაყურებელს მთელი თავიანთი შესაძლებლობები აჩვენონ.

ლორან ბლანმა განაცხადა, რომ დამარცხების შემთხვევაში ნაკრებიდან წავა: „მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, ეს ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია. მას შეუძლია, ევრო 2000-ის კარი გაგვიღოს. ძალიან ძნელია, მაგრამ მინდა, ყველა დავარწმუნო, ჩვენ შეგვიძლია მოგება და მოვიგებთ კიდეც. სამწუხაროდ, ვეღარ მივიღებ მონაწილეობას 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მაშინ 36 ნლის ვიქნები. ფეხბურთისთვის თავის დანებებას წინა ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ვაპირებდი. სამწუხაროა, რომ გადამწყვეტ მატჩში ვერ ვითამაშე. ამიტომაც შემოვრჩი ფეხბურთს დღემდე“.

მაშინ, ნახევარფინალში ხორვატთა წინააღმდეგ, ბლანი მოედნიდან გააძევეს.

EURO 2000
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

IX ჯგუფი

შოტლანდია 1:0 ბოსნია

1:0 კოლინზი (26ბ)

შოტლანდია: სალივანი, ვიარი, დევიდსონი, ლამბერტი, ჰენდრი (კალდერვუდი 37), დეილი, დოდსი (მაკსვიგანი 90), ბარლი, გალახერი (ბურჩილი 80), ჰოპკინი, კოლინზი

ბოსნია: ბუსო, კაპეტანოვიჩი, ბაშირევიჩი, ჰიუჯოროვიჩი, ვარესანოვიჩი, ბარბარესი, იტიარევიჩი (ტოპიჩი 77), შაბიჩი, ბოლიჩი, მუიჩინი (ავდიჩი 84), ბალიჩი

მსაჯი: ლ. სუნდელი (შვედეთი)

„კარგად მახსოვს საფრანგეთის ნაკრების ამბავი. 1993 წელს მასაც ორი საშინაო მატჩი ჰქონდა დარჩენილი და ორივე წააგო. ამიტომაც არ ვფიქრობ მეორე შეხვედრაზე, ჩემი ამოცანაა ყველაფერი 90 წუთში მოვაგვარო“ — ამბობდა შოტლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი ბოსნიასთან შეხვედრის წინა დღეს.

მოაგვარა კიდეც, თუმცა ჯერ ის ავსხნათ, რას გულისხმობდა 90 წუთში და რომელ ორ თამაშზე ლაპარაკობდა. საქმე ისაა, რომ სქოთებს ამ კვირაში ორი შეხვედრა უწევთ ერთმა სამშაბათს, ბოსნიასთან ჩაიარა და მის დეტალებს ქვემოთ შევეხებით, მეორე კი შაბათს, ლიტვასთან გაიმართება. აი, ამ ორი შეხვედრიდან ერთის მოგება შოტლანდიას ესტონელებისთვის მიუწვდომელს ხდიდა.

როგორც გითხარით მიზანი მიღწეულია, შოტლანდიის ნაკრები ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი-ოფშია და ლიტვასთან მატჩი ფორმალობადღაა ქცეული.

...პირველი ტაიმის 26-ე წუთი იდგა, როდესაც ჯონ კოლინზმა საბედისწერო მნიშვნელობის პენალტის დარტყმა ითავა და ვინაიდან შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გასულა, თავისიანები მეცხრე შესარჩევი ჯგუფის ცხრილში ჩეხეთის ნაკრების შემდეგ მეორე ადგილზე გაიყვანა.

„თამაში არ მომეწონა, მხოლოდ შედეგი ჰქონდა კარგი. კარგად მოგვეხსენება, რომ პლეი-ოფში გაცილებით უკეთ გვმართებს გარჯა“ — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გოლის ავტორმა.

ამ საკითხში ფეხბურთელს მწვრთნელიც ეთანხმება: „შეუდარებლად უკეთ უნდა ვითამაშოთ თუ ფინალურ ეტაპზე გასვლა გვინდა, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ბოსნიასთან ხუთი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა“.

მართლაც, მთელი შესარჩევი შეჯიბრების განმავლობაში სქოთებს წამყვანი ხალხი აკლდათ. ამის დასამტკიცებლად გვარების ჩამოთვლა არც კი არის საჭირო, საკმარისია ვთქვათ, რომ კოლინზმა სამშაბათს პირველი გოლი გაიტანა. რატომ? იმიტომ, რომ თითქმის ყველა შეხვედრა გამოტოვა.

აქვე გვინდა ვახსენოთ კაპიტანი კოლინ ჰენდრი, რომელმაც მუხლის ოპერაცია გადაიტანა, ნაკრებს დაუბრუნდა და... 37-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა — თანაგუნდელ კელამ დევიდსონთან შეჯახებამ კვლავ მუხლი გაუხადა მისახედი.

ჰენდრიზე, ბოსნიასთან თამაშის წინ, ბევრს ლაპარაკობდნენ და აი, რატომ: რაც მის კლუბს, „გლაზგო რეინჯერსს“ მწვრთნელად ჰოლანდიელი დიკ ადვოკატი დაუდგა, ჰენდრი სათადარიგოდ იქცა. მოთამაშე, რომელიც 1998 წლის აგვისტოში 4,5 მილიონი გირვანქა ღირდა ახალ სეზონში ერთხელაც ვერ ეღირსა მატჩის ძირითად შემადგენლობაში დაწყებას. ბოსნიასთან 37 წუთით თამაში უფრო მეტი გამოდგა, ვიდრე „რეინჯერსის“ შეხვედრებში სათადარიგოდ შესვლათა ჯამი. ცნობისთვის, სამშაბათის მატჩი კოლინ ჰენდრის სანაკრებო კარიერაში 42-ე გახლდათ.

სანამ კოლინზი დევიდ ჰოპკინის მონადირებულ პენალტს გაიტანდა, ბოსნიელმა ელვირ ბალიჩმა — მადრიდის „რეალის“ წევრია — კინაღამ ანგარიში გახსნა. საერთოდაც, ბალიჩისა და ბოლიჩის წყვილი — ბოლიჩსაც ბალიჩივით ელვირი ქვია — ფრიად აწუხებდა მასპინძელთა დაცვას, ხოლო საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე ბალიჩმა სულაც ძელს გაარტყა ბურთი.

76-ე წუთზე ჰოპკინსაც შეეძლო ანგარიშის შეცვლა.

კოლინზმა პენალტი აუღელვებლად დაარტყა. მის ცაცია დარტყმას სტუმრების დებიუტანტმა მეკარემ ალან გუსომ ვერაფერი დაუპირისპირა, მაგრამ:

„ასეთი პენალტი მსაჯს ჩვენს კარში რომ დაენიშნა, ძალიან დამწყდებოდა გული“ — აღიარა კოლინზმა.

კრეიგ ბარლი, შოტლანდიის ნაკრების ნახევარმცველი: „მე თუ მკითხავთ, ეს სულაც არ იყო პენალტი. საერთოდაც, ამ შესარჩევ ჯგუფში ვმერყეობდით, არადა, წინ ნამდვილი ჯოჯოხეთია. მგონი, პლეი-ოფში მოხვედრილ გუნდთა უმეტესობა ჩვენთან შეხვედრას ოცნებობს. ვინც გინდა გვერგოს, ჩვენ აუტსაიდერები ვართ“.

პოლ ლამბერტი, შოტლანდიის ნაკრების კიდევ ერთი ნახევარმცველი: „ბოსნიელებივით ვერ ვფლობდით ბურთს. მეორე ტაიმში სტუმრებმა გვჯობეს“.

ის პენალტი არ იყო

REUTERS ფლაზგოდან

შოტლანდიელი ბილი დოდსი ბოსნიელ სერგეი ბარბარესს გაექცა

მიხეილ სურგულაძე

ჩეხეთი	9	9	0	0	24:5	27
შოტლანდია	9	4	3	2	12:10	15
ესტონეთი	9	3	2	4	14:13	11
ლიტვა	9	3	2	4	8:13	11
ბოსნია	9	2	2	5	10:16	8
ფარერები	9	0	3	6	4:15	3

9 ოქტომბერი: ესტონეთი — ბოსნია; ჩეხეთი — ფარერები, შოტლანდია — ლიტვა

ბლატერმა ბევრი ილაპარაკა



ჯოჯოხეთი რას მიქვიან, ფული ფიფასაც ანათებს და სწორედ ამიტომაა ატეხილი მსოფლიო დ ევროპულ ფეხბურთში დიდი ალიაქოთი — აქეთ ახალი შეჯიბრებები და აქეთვე ახალი შემოსავლის წყაროები.

დაწვრილებით გახსენება აღარ ღირს იმისა, რომ 1995 წელს ვინმე უნიჭო ბელგიელი ფეხბურთელის, ჟან მარკ ბოსმანის, ჩივილმა დალაგებული საფეხბურთო ევრომეურნეობა სულ ყირაზე დააყენა. ვინც ეს ამბავი და მისი არსი 1999 წლის ბოლომდე ვერ შეიტყო, ვერც შეიტყობს. ჩვენ კი ისა ვთქვათ, რომ ფიფას პრეზიდენტს, ზეპ ბლატერს ბრიუსელში ანუ ევროკავშირის ცენტრში დიდი მუშაობა გაუწევია.

რა უნდა ბლატერს? ბლატერს უნდა, რომ ბოსმანისა და ბოსმანიზმის ჯინაზე, 7 დეკემბრამდე — ამ დღეს ტოკიოში მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართება — საქმე ისე მოაწყოს, რომ მცირე კლუბები თავიანთი გაწვრთნილი ფეხბურთელების დიდ კლუბებში გაშვებისთვის საკომპენსაციო თანხას იღებდნენ ის მოთამაშეები, რომელთაც კონტრაქტის ვადა არ გასვლიათ იყიდებოდნენ და ყველაფერთან ერთად სატრანსფერო თანხას ლიმიტი ჰქონდეს.

„ჩვენი მოლაპარაკებები ბრიუსელის სხვადასხვა რანგის მოხელეებთან წარმატებით ვითარდება და იმედი გვაქვს, რომ შეთანხმებას ძალიან მალე მივაღწევთ“ — თქვა პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენცია სწორედ ბრიუსელში მოეწყო, მაგრამ ფიფას მთავარმმართველი იქ მხოლოდ ევროკავშირელებთან მოსალაპარაკებლად არ იყო ჩასული. ბელგია, მოგეხსენებათ, ჰოლანდიასთან ერთად მომავალ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს და ამიტომაც შეიყარნენ იქ ფიფა-უეფას ბოსები. მათი საზრუნავი ამჯერად დოპინგ-კონტროლი გახლდათ.

„ჩვენი პროექტის თანახმად ევრო 2000-ის დღეებში იმუშავებს შეჯიბრებისგან სრულიად დამოუკიდებელი და საჯაროობას მოკლებული სამედიცინო-საკონტროლო კომისია“ — განმარტა ბლატერმა.

ამის შემდეგ სიტყვა დღევანდელი ევროპის ყველაზე რეკლამირებულ გუნდზე „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ჩამოვარდა. გაირკვა, რომ იოზეფ ბლატერი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის არ იყოს, მანჩესტერელებს ფეხბურთის ასოციაციის თასზე თამაშისკენ მოუწოდებს.

ეს ამბავიც ძალიან ცნობილია საიმისოდ, რომ დაწვრილებით გავიმეოროთ. უბრალოდ, გავიხსენოთ, რომ იანვარში ფიფა აპირებს კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას და ამ შეჯიბრებაში „იუნაიტედი“ ჰყავს მიწვეული, ხოლო გუნდი იმ მოტივით, რომ ყველა პრიზის გათამაშებაში მონაწილეობას ვერ გაწვდება ფიფასეული შეჯიბრების სასარგებლოდ უარს ამბობს 127 წლიან ინგლისურ თასზე გამოსვლაზე.

„მადრიდის „რეალის“ მაგალითით ვხედავთ, რომ გამოსავლის მოძებნა შეიძლება. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ხომ სამეფო თასის ფორმატი ისე გადააკეთა, რომ „რეალი“ მასში მონაწილეობას არ გაურბის“ — აღნიშნა ბლატერმა.

„რეალი“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მსგავსად ერთდროულად გამოდის, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე თასზე და ჩემპიონთა ლიგაში. ამასთან, ისევე, როგორც იუნაიტედი იგი კლუბთა მსოფლიო პირველობაზეა მიწვეული.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ შექმნილი მდგომარეობიდან ასეთი გამოსავალი ნახა: ის კლუბები, რომლებიც ამ ქვეყნიდან ჩემპიონთა ლიგაში არიან გასული „სამეფო თასის“ ორი რაუნდიდან გაანთავისუფლა. ხოლო საკუთრივ „რეალს“, იანვარში, ჩემპიონატის კალენდრის თავისუფალი გადაკეთების ნება მისცა, რასაც პრიმერა დივიზიონის ყველა მონაწილე დაეთანხმა.

ბლატერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სხვადასხვა ქვეყნის ლიგებში გუნდების რაოდენობის 16-მდე შემცირებისა და მთელს დედამიწაზე კალენდრების შეჯერების აუცილებლობას.

„შეუძლებელია ფეხბურთელები კვირაში სამჯერ ვათამაშოთ. ნებისმიერ შემოქმედს დასვენება სჭირდება“ — დასძინა მან, მაგრამ იქვე დაამატა სინამდვილეში საითკენაც მიყავდა — თუ კალენდრების ჰარმონიზაცია შევძელით, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატების — სანაკრებოზეა საუბარი — ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებაზე ფიქრსაც გავაგრძელებთო.

მიხეილ სურგულაძე

ფეხბურთის რუკასთან ერთად ევროპაში

ბელარუსს ახალი ჩემპიონი ჰყავს — „ბატე ბორისოვი“, გუნდი, რომელმაც ჩემპიონატის დასასრულამდე 3 ტურით ადრე მოიპოვა ქვეყნის უპირველესი გუნდის ტიტული. ორშაბათს „ბატემ“ სოლიგორსკის „შახტიორი“ დაამარცხა და ახლა უახლოეს მდევარ „დნეპრ-ტრანსმაშს“ 11 ქულით უსწრებს. აღსანიშნავია მთავარი მწვრთნელის, იური პუნტუშის დამსახურება, რომელმაც 1997 წლის სეზონში უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადარჩენილი „ბატე“ ახლა ჩემპიონი გახდა. ქვეყნის ბოლო წლების ყველაზე ტიტულიანი გუნდი კი მინსკის „დინამოა“, რომელიც 1992 წლიდან 1996 წლის სეზონამდე 5-ჯერ ზედიზედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მინსკის „დინამო“ ერთადერთი გუნდია ბელარუსში, რომელმაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გაიმარჯვა და ეს 1982 წელს მოახერხა.

უძრაინულ „პრიკარპატიეს“ მცველი ანდრეი ხომინი გასულ კვირას ავტოკატასტროფაში დაიღუპა. თავისი ხანმოკლე კარიერის მანძილზე ფეხბურთელმა „პრიკარპატიეს“, „ვორსკლასა“ და კიევის „დინამოს“ რიგებში მოასწრო თამაში. ბოლო დროს იგი „პრიკარპატიეს“ ღირსებას იცავდა. რამდენჯერმე უკრაინის ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს. ხომინი უკრაინის ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული ფეხბურთელის რეპუტაციით სარგებლობდა.

ინგლისის ნაკრების კაპიტანი იმ მრავალრიცხოვან ფეხბურთელთა ჯგუფს შეუერთდა, რომლებიც საკუთარ ნაკრებს ბელგიელებთან ამხანაგურ მატჩში ვერ დეხმარებიან. არსენალელი მცველის ტონი ადამსის მსგავსად შირერსაც ტრავმა აწუხებს. მატჩს სავარაუდოდ მანჩესტერელები — პოლ სქოულზი და დევიდ ბექემიც გამოტოვებენ. ასე რომ, მთავარ მწვრთნელ კევინ კიგანს მრავალი საფიქრალი გაუჩნდა.

გულგარეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ხრისტო სტოიჩკოვი ახალ ამპლუაში მოგვევლინა. იგი ამიერიდან ქვეყნის პირველი გუნდისა და 21 წლამდელთა ნაკრების დამხმარე მწვრთნელად იმუშავებს. 33 წლის ფეხბურთელი შესაბამისად დიმიტარ დიმიტროვსა და სტოიჩო მლადენოვს დაეხმარება. სტოიჩკოვი, რომელიც მალე ევროპულ სამწვრთნელო სკოლაში ჩარიცხვას აპირებს, ჯერჯერობით ნაკრებებში ანაზღაურების გარეშე მუშაობს. შეგახსენებთ, რომ მან თავისი უკანასკნელი სანაკრებო მატჩი ორი თვის წინ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ინგლისის წინააღმდეგ ჩაატარა. საერთოდ ჯამში მან 83-ჯერ იასპარეზა ნაკრებში.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეზიდენტი მარტინ ედვარდსი 68 მილიონი დოლარით გამდიდრდა მას შემდეგ, რაც კლუბის აქციების მცირე წილი გაყიდა. ინგლისური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ივლისში მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბის აქციების შეძენით ბრუნეის სულთანი იყო დაინტერესებული. სურვილს გამოთქვამდა აგრეთვე ინგლისურ-ირლანდიური კომპანია. ედვარდსების ოჯახი კლუბს 1960 წლიდან განაგებს, თავიდან ამას უფროსი ედვარდსი — ლუისი აკეთებდა, ახლა კი, როგორც იცით, მისი ვაჟი მარტინი ფლობს კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტს. აბა, რომელ მეპატრონეს აძლევს ხელს, მის კომპანიის აქციათა პაკეტის მსხვილი მფლობელები ჰყავდეს. ეს მნიშვნელოვნად ართულებს კონტროლს. შარშან ედვარდსი აპირებდა, კლუბი ტელეკომპანია „სკაი-ბისთვის“ მიეყიდა, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობის ჩარევით მოლაპარაკებები ჩაიშალა.

ჰოლანდიური სუპერკლუბის — ამსტერდამის „აიაქსის“ მეკარემ, 35 წლის სტენლი მენცომ ტრავმა მიიღო და რამდენიმე ხნით დააკლდება გუნდს. მენცომ, როგორც იცით, წლეულს გუნდში ედვინ ვან დერ საარი შეცვლა, რომელიც ახლა ტურინის „იუვენტუსში“ ასპარეზობს. ვეტერანი გოლკიპერი მენცო 1984-1994 წლებში უკვე თამაშობდა „აიაქსში“ და 322 მატჩიც ჩაატარა, შემდეგ კი ბელგიურ „ლიერსში“ გადავიდა. წლეულს იგი კვლავ დააბრუნეს ამსტერდამულ კლუბში.

ესპანეთის ჩემპიონატის სუპერმატჩში, რომელიც მომავალ კვირას „ნიუკამპზე“ „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალს“ შორის გაიმართება, „რეალი“ ორ წამყვან მცველს — ფერნანდო იეროსა და რობერტო კარლოსს მოისაკლისებს. ორივე მათგანი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს თამაშს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის განაჩენს ელოდება წინა ტურის მატჩში მოედიდან გაძევებული „რეალის“ უელსელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკიც, რომელიც მსაჯმა შელაპარაკების გამო შერისხა. დანაკლისი ექნება „ბარსელონასაც“ — მას არ ეყოლება გასულ შაბათს ვალიადოლიდელებთან შეხვედრაში, წითელი ბარათით დასჯილი უინსტონ ბოგარდი.

მოლდოვას ნაკრების მთავარი მწვრთნელი ივან დანილიანცი ამ დღეებში თანამდებობიდან გადადგა. ამის მიზეზი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გუნდის წარუმატებლობაა. დანილიანტის თავკაცობით ნაკრებმა რვა თამაშიდან ვერც ერთი მოიგო, მხოლოდ ოთხი ქულა მოაგროვა და ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფება. საერთოდ კი ნაკრებში ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მისმა შეგირდებმა 13 მაჩტიდან მხოლოდ ორის მოგება შეძლეს. მოლდოვას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, პაველ ჩიობანუს ცნობით, ახალი კანდიდატის ვინაობა ორ დღეში გაირკვევა. ყველაზე სავარაუდოა, რომ ვაკანტურ პოსტს ქვეყნის 21-წლამდელთა ახლანდელი თავკაცი ალექსანდრუ მაციურა დაიკავებს.

იტალიური „რომას“ ფორვარდმა ფრანჩესკო ტოტიმ ტრავმა მიიღო და მინიმუმ სამი კვირით დასვენება მოუწევს. იგი ვერ ითამაშებს შაბათს გასამართ ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ჯგუფის მატჩში იტალიასა და ბელარუსს შორის. ნაკრების თავკაცმა დინო ძოფმა მილანის „ინტერში“ მოთამაშე სუპერფორვარდ კრისტიან ვიერისა და ტურინის იუვენტუსელ ფილიპო ინძაგის უხმო. შეკრებაზე იმყოფება ინძაგის თანაგუნდელი ალესანდრო დელ პიეროც, რომელსაც დიდი ხანია, ტრავმა აწუხებს და სავარაუდოდ, მატჩს სასტარტოში ვერ დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურამ“ ბელარუსის დედაქალაქ მინსკში მინიმუმ ქულა უნდა მოიპოვოს, რათა ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა გაინაღდოს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

გეყოფა პატრიკ, დაშოშმინდი

ეს ვიეირა (№4) ვინ ყოფილა

„არსენალის“ ფრანგ ნახევარმცველს, პატრიკ ვიეირას საქმეს ურჩევენ, აბრალებენ, რომ ინგლისის პირველობის ბოლო ტურში, „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ, ჯერ მოწინააღმდეგეს შეადუჟა, შემდეგ კი პოლიციელის საცემად გაიწია. ის ყველაფერი მისი მოედნიდან გაძევების მერე მომხდარა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ, წესისა და რიგის დაცვით, ვიეირას ორკვირიანი ვადა მისცა ბრალდებაზე პასუხის მოსამზადებლად და სასამართლოზე თუ რაღაც ამის მაგვარზე დაიბარა. აი, რა წერია ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში:

„ჩვენ გვაცნობეს, რომ ვიეირას გაძევების შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მომხდარ ინციდენტს დამოუკიდებლად იძიებს პოლიცია. გვატყობინებენ, რომ ძიება ამ კვირის ბოლომდე გასტანს, რაც ასოციაციაში ოფიციალური მოკვლეული დოკუმენტის გაგზავნით დასრულდება“.

84-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ფრანგს წითელი ბარათი ერგო — ეს გახლდათ ვიეირას მეოთხე გაძევება ბოლო 21 თვის განმავლობაში — რაზეც მან საშინელი რეაქციით უპასუხა. „ვესტ ჰემის“ მცველი ნილ რადოკი ამბობს, რომ არსენალელმა, მოედნიდან ლამის ხელგადაგრეხილი რომ გაიყვანეს, მას შეაფურთხა.

„მის დაშვიდებას ვცდილობდი, მან კი პირდაპირ სახეში შემადუჟა“.

მსაჯი რას ამბობს? BBC-ს რადიოში გამოსვლისას მაიკ რიდმა თქვა, რომ ოქმში ფურთხების შესახებ არაფერი ჩაუწერია.

„არსენალის“ მწვრთნელი, ვიეირას თანამემამულე არსენ ვენგერი რას იტყოდა, როგორც ყოველთვის თავის ფეხბურთელის დაცვას მიჰყო ხელი. მან განაცხადა, რომ „ვესტ ჰემის“ იტალიელმა თავდამსხმელმა, პაოლო დი კანიომ ვიეირას ერთი გემრიელად უთავაზა და მსაჯის მოსატყუებლად გაიშოტა.

მოკლედ, დიდი არეულობაა, სტატისტიკოსებს კი არ დაეზარათ და გამოჩხრიკეს, რომ ფრანგ ნახევარმცველს რაც „არსენალში“ გადავიდა, პირველ 30 კვირაში 30-ჯერ აჩვენეს ყვითელი ბარათი.

1998 წლის მარტში, „აპტონ პარკზე“ იყო ასეთი შემთხვევა — მაშინაც „ვესტ ჰემი“ და „არსენალი“ თამაშობდნენ, ოღონდ ახლანდელისგან განსხვავებით თასის მეოთხედფინალურ შეხვედრას — როდესაც ვიეირამ მეტოქის მცველს, იან პირსს სთხლიშა და მსაჯისგან შეუმჩნეველი დარჩა.

ფრანგის ხულიგნობას კაციშვილი ვერ გაიგებდა მავან დალოცვილს ვიდეოპარატურა რომ არ გამოეგონებინა. გადაახვიეს ფირი, დაატრიალეს თავიდან და დამნაშავეს 3 ათასი გირვანქა ჯარიმად გამოუწერეს.

1998 წლის იანვარში, „ქოვენთრისთან“ თამაშის დროს, ვიეირამ სპენალტე რაღაც დაშავა და როდესაც მსაჯმა დაუსტვინა ნახევრადფრანგულ — ნახევრადინგლისური გინებით შეამკო ეს პატივცემული კაცი. ასოციაციამ ნახევარმცველი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, ხოლო ვენგერმა 3 ათასი დაუქვითა და უთხრა შენ გიჟი ხომ არ ხარო.

საჯაროდ კი მწვრთნელი მას ყოველთვის იცავს. ისიც კი უთქვამს, სტუმრად როცა ვართ ვიეირას ხშირად, როგორც ზანგს ლანძღავენო.

1998 წლის სექტემბერში, შეფილდში, ვიეირამ იქაური „უენსდის“ ფანი გამოთათხა და კვლავ საჯარიმო ჩეკი, ამჯერად 20 ათასიანი იხილა. ვენგერმა ისევ მხარი დაუჭირა.

ახლა კი, ჩვენი გმირი თუ ანტიგმირი, გასახდელის გვირაბში პოლიციელსაც შეხლია.

ჰო, კიდევ ვიეირა 1998 წლის დეკემბერში, „ჩარლტონ ატლეტიკთან“ თამაშის დროს გააძევეს...

პაპუნა კედია

არ გააბრაზოთ ედმუნდო

ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავმა, ედმუნდომ, სასამართლოში აპელაცია შეიტანა. საქმე ეხება ავარიას, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა. სამმა მოსამართლემ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი განაჩენს, რომელიც 1995 წლის დეკემბერში გამოიტანეს. იმ ავადსახსენებელ დღეს სამი კაცი დაიღუპა.

„გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო. ახლა ედმუნდოს სასჯელის მოხდა მოუწევს" — განაცხადა დაზარალებულთა ადვოკატმა.

ერთ-ერთი დაღუპულის მამამ კი შენიშნა: „არის სამართლიანობა ამ ქვეყანაში".

მაგრამ ბრაზილიის ტელევიზიით და რადიოთი გამოაცხადეს, რომ ედმუნდო, რომელიც არ ესწრებოდა საქმის მოსმენას, გაუჩინარდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან მეგობრებთან ერთად ისაუზმა. იგი არ გამოჩნდა თავის სახლში, რიოს ფეშენებელურ კვარტალში. მეზობლებიც ვერ ამბობენ, სად შეიძლება იმყოფებოდეს.

სამშაბათს მერკოსურის თასზე „ვასკუ" პარაგვაულ „სიერო პორტენოს" მასპინძლობდა, მაგრამ ედმუნდო არ გამოჩენილა. საქმე ისაა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ედმუნდომ ღამე ციხეში უნდა გაატაროს.

დღისით იგი თავისუფალია და შეუძლია საქმე აკეთოს, ფეხბურთი ითამაშოს. იმ ავარიის შედეგად, რომლის დროსაც ედმუნდო თავისი ერთ-ერთი მანქანის საჭეს უჯდა, მხოლოდ მცირედი დაჟეჟილობით გადარჩა.

ედმუნდოს ადვოკატები ახალი აპელაციის შეტანას აპირებენ ბრაზილიის უმაღლეს სასამართლოში და იმედოვნებენ, რომ განხილვამდე მათ კლიენტს ციხიდან გამოუშვებენ.

ედმუნდო, რომლის სრული სახელია ედმუნდო ალვეშ დე სოუზა, განთქმულია თავქარიანობით და ავი ზნით. ათიოდე დღის წინ, თავისი შვილის დაბადების დღეზე, მას აზრად მოუვიდა მაიმუნი ლუდით გამოეთრო. ცხადია, ცხოველთა დაცვის საზოგადოების აქტივისტთა სარჩელმაც არ დააყოვნა.

კვირას მან შოკში ჩააგდო ტელემაყურებლებიც — „ვასკუს" და „ფლამენგოს" შეხვედრის შემდეგ უხამსად ილაპარაკა.

მის ჩხუბებს ხომ სათვალავი არა აქვს. ეჩხუბება ყველას: თანაგუნდელებს, ჟურნალისტებს, პლაჟზე მზეს მიფიცხებულ სალხსაც კი. ვიდეოკამერების მსხვრევაც არ არის მისთვის უცხო.

1997 წელს, იტალიაში გადაბარგებამდე, მან თავისებური ანტირეკორდიც დაამყარა — ერთ სეზონში შვიდი წითელი ბარათი მიიღო.

ედმუნდომ გამოტოვა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. 1998 წელს კი ორჯერ გამოვიდა შეცვლაზე, ისიც მეტად მოკლე დროით.

შეიცვლის თუ არა ზნეს ედმუნდო, ამას დრო აჩვენებს.

ამ დღეებში კი ბრაზილიაში მეორე სასამართლო პროცესი დაიწყო. საქმე პელეს შვილს, ყოფილ მეკარეს, ედინიოს ეხება. აქაც ფატალურად დამთავრებული ავარიაა მიზეზი. აღნიშნული შემთხვევა 1992 წელს მოხდა. როგორც ჩანს, ბრაზილიელებს ტელესერიალებივით გაჭიმული სასამართლო პროცესები უყვართ.

გიორგი დარჯანია

„ვასკუს" და „ფლამენგოს" მატჩის შემდეგ ედმუნდომ უხამსად ილაპარაკა

ნიუკასლში მატჩია

ამ დღეებში ინგლისური კლუბი „ნიუკასლ იუნაიტედი" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელით მომძლავრდა. ერთ-ერთი მათგანი იტალიის სერია A-ს ახალწვეული გუნდის — „ტორინოს" ნახევარმცველი, 27 წლის პიეტრო პრენტეა. იგი კვირის მატჩს პრემიერლიგაში „მიდლსბროს" წინააღმდეგ ტრიბუნიდან ადევნებდა თვალყურს, ხოლო ამის შემდეგ ერთი კვირა გამოსაცდელი ვადა აქვს. თუ იგი „ნიუკასლმა" მოიწონა, ალბათ საბოლოოდ დაიტოვებს ალბიონზე. აღსანიშნავია, რომ პრენტეს შეძენა „კაჭკაჭების" ყოფილ თავკაც რუდ გულიტსაც სურდა, მაგრამ მაშინ „ტორინომ" ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ბობი რობსონმა გუნდში კიდევ ორ სამხრეთამერიკელს უხმო. ერთ-ერთმა მათგანმა ლუკას კამინელიმ უკვე გაიფორმა ყველა ოფიციალური საბუთი და ესპანური „გრენადიდან" სეზონის ბოლომდე „ნიუკასლში" განათხოვრებით გადავიდა. რობსონი კამინელის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს და აღნიშნავს, რომ მას ამაში პრემიერლიგის გამოცდილება დიდად გამოადგება.

კიდევ ერთი ახალგაზრდა ბრაზილიელი — ფუმაკა გადავიდა სათამაშოდ ინგლისში. თუმცა მის ხელში ჩასაგდებად „ნიუკასლს" „ბარნსლისთან" და „კოლჩესტერთან" მოუხდა საქმის გარჩევა, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ ბრაზილიელის გადაბირებას.

მერკოსურის თასი

B ჯგუფი

ინდეპენდიენტე 1:0 გრემიო

1:0 გრაფი (77)

კორინთიანსი 2:0 ველეს სარსფილდი

1:0 ფრედი რინკონი (20), 2:0 პრატეში (65)

ინდეპენდიენტე (არგენტინა)	6	3	2	1	6:4	11
კორინთიანსი (ბრაზილია)	6	3	1	2	10:5	10
გრემიო (ბრაზილია)	6	2	2	2	5:6	8
ველეს სარსფილდი (არგენტინა)	6	0	3	3	2:8	3

D ჯგუფი

ვასკუ და გამა 5:1 სიერო პორტენო

1:0 ვიოლა (31), 2:0 პაულო სეზარი (74), 3:0 პაულო ისიდორო (76), 3:1 რომანი (79), 4:1, 5:1 რამონი (88პ, 90)

ნასიონალი 1:2 პენიაროლი

0:1 პანდიანი (21), 0:2 ანტონიო პაშეკუ (62), 1:2 დელგადო (81)

პენიაროლი (ურუგვაი)	6	3	3	0	10:7	12
ნასიონალი (ურუგვაი)	6	3	1	3	10:6	10
ვასკუ და გამა (ბრაზილია)	6	2	2	2	9:8	8
სიერო პორტენო (პარაგვაი)	6	0	2	4	9:17	2

ურუგვაის „პენიაროლმა" 2:1 მოუგო „ნასიონალს". გამარჯვებულთაგან გოლები ვალტერ პანდიანიმ და ანტონიო პაშეკუმ გაიტანეს. საბოლოოდ D ჯგუფში „პენიაროლმა" გაიმარჯვა. მეორე ადგილი „ნასიონალს" ერგო. გათამაშების ფორმულის მიხედვით, შემდეგ ეტაპზე პირველადგილოსნებთან ერთად სამი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადის. ახლა „ნასიონალს" სხვა ჯგუფებში თამაშების დასრულებამდე ლოდინი მოუწევს, მათი ბედი ამის შემდეგ გაირკვევა.

„ინდეპენდიენტეს" ბრაზილიურ „გრემიოსთან" შეხვედრაში კლაუდიო გრაფმა მოუტანა გამარჯვება. ერთადერთი გოლი დამთავრებამდე 13 წუთით ადრე გავიდა. ამ მოგებით არგენტინული კლუბი B ჯგუფში 11 ქულით პირველ ადგილზე აღმოჩნდა.

ბრაზილიის ჩემპიონმა „კორინთიანსმა" 2:0 მოუგო „ველეს სარსფილდს". გოლები კოლუმბიელმა ფრედი რინკონმა და პრატეშმა შეაგდეს. ეს მატჩი „ველესმა" ცხრა კაცით დაასრულა. მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი და მინდორზე სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანეს. არგენტინელებს მეორე ტაიმში მალდონადო და გონსალესი გაუძევეს. „კორინთიანსი" კი 10 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. გაძევებულ მალდონადოს ალბათ დამატებით დასჯიან. მოედნიდან გასვლისას მან მაყურებელს უხამსი ჟესტი უჩვენა.

ამრიგად, „პენიაროლი" და „ინდეპენდიენტე" შეუერთდნენ ბრაზილიურ წყვილს — „კრუზეიროს" და „პალმეირასს", რომლებიც ადრევე გავიდნენ შემდეგ ეტაპზე.

„სელტიკი" თანამემამულე კლუბებს აღარ კადრულობს

სელტიკს შოტლანდიის ჩემპიონატი აღარ აკმაყოფილებს

შოტლანდიის „სელტიკის" პრეზიდენტმა ალან მაკდონალდმა სურვილი გამოთქვა, მონაწილეობა მიიღოს მინი ევროლიგის შექმნაში, სადაც მისი კლუბიც მიიღებს მონაწილეობას. ამ განცხადებამ შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაცია აღაშფოთა. მაკდონალდი არსებულ სისტემას ეკონომიკურ კრახს უწინასწარმეტყველებს. მისი აზრით, უფრო ეფექტური იქნება, თუ შოტლანდიის, ჰოლანდიის, ბელგიის და პორტუგალიის საუკეთესო კლუბები ცალკე ლიგას შექმნიან. მან ეს იდეა კლუბის აქციონერთა კრებაზე წამოაყენა. კლუბის დირექტორმა კენი დალგლიშმა თქვა, ვიმედოვნებ, ხუთ წელიწადში კლუბს სხვა ლიგაში ვიხილავთ.

შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციაში კი განაცხადეს: „დაგვღალა ამ ამბებმა. უეფა-ს კანონები მაინც არ იძლევა ამის ნებას".

ალან მაკდონალდი: „სელტიკს" ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვს თავისი დღევანდელი სტატუსის გამო. იგი პოტენციურად მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია, ჩვენ კი გეოგრაფიულ ჩარჩოებში ვართ მოქცეული. გუნდის თამაშებს საშუალოდ 59 ათასი მაყურებელი ესწრება. ამ მაჩვენებლით „სელტიკი" მსოფლიოს ხუთ საუკეთესო კლუბს შორის იმყოფება. მიუხედავად ამისა, ჩვენი სატელევიზიო შემოსავლები მეტად მცირეა. შედარებისთვის, „მანჩესტერი" საშინაო თამაშების ტრანსლაციიდან დაახლოებით 10 მილიონ ფუნტს იღებს (16,5 მილიონი დოლარი). ასე იყო წინა სეზონში. ჩვენ კი მხოლოდ 3,4 მილიონი გვერგო".

მაკდონალდი იმედოვნებს, რომ შეუთანხმდება „აიაქსის" ხელმძღვანელობას და შექმნიან ლიგას, სადაც ამ ორი კლუბის გარდა იასპარეზებენ: „ფეიენოორდი", „ეინდჰოვენი", „ანდერლეხტი", „ბრიუგე", „ბენფიკა", „პორტუ", „სპორტინგი" და „გლაზგო რეინჯერსი".

„ისეთი ქვეყნები, როგორიცაა იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი და გერმანია, 50 მილიონ სატელევიზიო მაყურებელს უყრიან თავს. ჰოლანდიაში ეს მაჩვენებელი 15 მილიონია. ჩვენთან შოტლანდიაში კი 5 მილიონი. ახალი ლიგის შექმნით ჩვენც შევძლებთ 50 მილიონი მაყურებლის მოზიდვას".

„სელტიკს" ანგარიშზე 35 მილიონი ფუნტი აქვს. აქედან 6,75 მილიონი მან წინა სეზონში გამოიმუშავა. თუმცა, თავისი იდეების განსახორციელებლად კიდევ 14 მილიონი სჭირდება.

ფედერაციის პრეზიდენტმა ასეთი განცხადება გააკეთა: „სელტიკი" და „რეინჯერსი" დიდი კლუბებია, რადგან იებენ ქვეყნის ჩემპიონობას და თამაშობენ ევროტურნირებზე. მაგრამ თუ ისინი სტატუსს შეიცვლიან, მათი შედეგები არც ისე კარგი იქნება".

შოტლანდიის წლევანდელ ჩემპიონატში „რეინჯერსმა" ყველა მატჩი მოიგო. „სელტიკმა" კი შვიდი თამაშიდან მხოლოდ ერთი წაგო.

ფენერბაჰჩემ ზემანი გადაიბირა

ზდენეკ ზემანი

თურქული კლუბის — „ფენერბაჰჩეს" ოფიციალური განცხადებით, გუნდს სათავეში ფეხბურთის ჩეხი სპეციალისტი ზდენეკ ზემანი ჩაუდგება. ოთხშაბათს მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ კარიერას თურქეთში გააგრძელებს. „ფენერბაჰჩეს" პრესატაშის — აბდულა კიგილის ცნობით, ზემანი კონტრაქტს ხელს შაბათს მოაწერს, ხოლო ოფიციალურად გუნდს 11 ოქტომბრიდან ჩაიბარებს. შეგახსენებთ, რომ ზემანი გასულ სეზონში იტალიის სერია A-ში მოღვაწეობდა და „რომას" წვრთნიდა. შემდეგ პოსტი დატოვა და ივნისში მის ადგილას ფაბიო კაპელო დაინიშნა, რომელიც წლეულს რომაულ კლუბს მშვენიერ ფეხბურთს ათამაშებს.

„ფენერბაჰჩემ" ზემანის მიმართ ინტერესი მას შემდეგ გამოამჟავნა, რაც თურქული კლუბი გასულ კვირას მთავარმა მწვრთნელმა რიდვან დილმენმა დატოვა და ამის მიზეზი გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობა გახდა, რაც გასულ კვირას უეფას თასიდან გამოვარდნით დაგვირგვინდა. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირში „ფენერბაჰჩე" ასპარეზობიდან უნგრულმა მტკ-მ გამოთიშა.

თურქები ზემანთან მოლაპარაკებას სამი დღის მანძილზე აწარმოებდნენ. დადიოდა ჭორებიც, რომ „ფენერბაჰჩეს" მწვრთნელად „პარმას" ყოფილი თავკაცი ნევიო სკალა სურდა, მაგრამ ახლა ყველაერი საბოლოოდ გაირკვა. ზემანი თურქეთში აგრძელებს კარიერას.

თამაშიც დაიწყეს და ჩხუბიც

ДАИWYЧ მორაგბეთა საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩები.

მედლებისთვის მებრძოლმა გუნდებმა სამი მატჩის გამართვა მოასწრეს. აქვე გეტყვით, რომ თითოეულ მათგანში ნამდვილად უძლიერესმა გაიმარჯვა. თუმც, როგორც უკვე საქართველოს პირველობისთვის ტრადიციად იქცა, თამაშებს თან სდევდა ჩხუბი და აყალმაყალი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც მორაგბეები, ისე გულშემატკივრები. შედეგად მივიღეთ ის, რომ „ყოჩები“ — „დათვები“-ის 4 ოქტომბრის შეხვედრაში ხელაძემ ნეკნი გაიტეხა, ტყეშელაშვილმა მოიტეხა ფეხი, ხოლო იმავე დღეს „ასკ“ — „ლოკომოტივის“ მატჩში ანდღულაძეს ცხვირი დაუზიანდა.

თუ 29 სექტემბერს „დათვებთან“ შეხვედრაში ასკ-მა ნამდვილად ღირსეული მეტოქეობა გაუწია მასპინძელ ბათუმელებს და, შეიძლება ითქვას, რომ ბევრით არაფრით ჩამორჩა, 4 ოქტომბერს, „ლოკომოტივთან“, მხოლოდ ერთი ჯარიმის გატანა შეძლო. სანაცვლოდ, მორაგბეებმა თავისი ემოცია და ფიზიკური ძალა გუნდურ ჩხუბში გამოავლინეს, რაც მეორე ტაიმის შუაში მოხდა.

„დათვები“ ორივე შეხვედრაში შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. მართალია, ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ, მაგრამ ოსტატობამ და გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა.

პირველ ოთხეულში უკვე ჩატარებული მატჩების შედეგების მიხედვით

ბათუმი
29 სექტემბერი

დათვები 34:22 (17:17) ასკ

დათვები: ფირცხალავა, გურეშიძე, ნინიძე (ლლონტი), აბაშიძე (რეხვიაშვილი), თედორაძე, სვანიძე, აბდალაძე, ჩირგაძე, გაბედაია (გიორგაძე), მაჩიტიძე, ჯანაშია, ძოწენიძე, ე. ძაგნიძე, ჩუბინიძე, დავდაძე (შერვაშიძე).
5ლ — ძოწენიძე (2), ე. ძაგნიძე, მაჩიტიძე, შერვაშიძე; 3გ. და 1ს — მაჩიტიძე
ასკ: ლიქოკელი, ხუჯაშვილი (შენგელია), ზ. მაისურაძე, ჭელიძე (ვალიშვილი), უჩავა, სვანიძე, გაფრინდაშვილი, მონაშვილი, აბუსერიძე, მაღრაძე, კილაურიძე, კაპარაძე, კოდუა, კიკნაძე, ზაქარიაძე.
2ლ — უჩავა, ლ — ხუჯაშვილი, აბუსერიძე
გ — უჩავა
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

თბილისი
4 ოქტომბერი

ყოჩები 24:23 (3:10) დათვები

ყოჩები: ფირაშვილი, ჭავჭავაძე (კიკიუაშვილი), ესაკია, ხურცილავა (გუშარაშვილი), სულთანიშვილი, ურუშაძე, ტყეშელაშვილი, ჭელიძე, ხელაძე, ტეფნაძე, ბარძიმაშვილი, პეტრიაშვილი, წიკლაური, ხეხელაშვილი, მხეიძე.
2ლ — ურუშაძე, ტეფნაძე; 1გ — ტყეშელაშვილი; 3ს — ტყეშელაშვილი (2), ტეფნაძე
დათვები: აშვეთია, ფირცხალავა (აბაშიძე), რეხვიაშვილი, სვანიძე, გურეშიძე, გოგისვანიძე (თედორაძე), ფხაკაძე (ნინიძე), აბდალაძე, გიორგაძე, მაჩიტიძე, ჯანაშია, ძოწენიძე, ხონელიძე, ჩუბინიძე, შარვაშიძე.
3ლ — ხონელიძე, გიორგაძე, აბდალაძე; 1გ — მაჩიტიძე; 2ს — მაჩიტიძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

თბილისი
4 ოქტომბერი

ასკ 3:26 (3:19) ლოკომოტივი 1

ასკ: შენგელია, ლიქოკელი, ზ. მაისურაძე, მათიაშვილი, უჩავა, გ. მაისურაძე (ვ. კაპანაძე), კაკაბაძე (ქათამაძე), მინაშვილი, აბუსერიძე, კიკნაძე, მაღრაძე, კ. კაპანაძე, იაშვილი, კოდუა, ზაქარიაძე (ენუქიძე, ჭელიძე)
1ს — უჩავა
ლოკომოტივი 1: კერესელიძე (თოფურიძე), ჯაველიძე, მაჭუტაძე, მოგელაძე (ულუნტი), ჩადუნელი, ხუჯაშვილი, კახიანი, ცხომელიძე (უდესიანი), სარიშვილი, კვინიხიძე, ანდღულაძე (ცხადაია), ძნელაძე (ჩაჩუა), გუგავა, მხეიძე, ბუგიანიშვილი.
4ლ — კახიანი (2), ბუგიანიშვილი (2); 3გ — კვინიხიძე
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

ასეთი სატურნირო ვითარება შეიქნა:

	თ	მ	ფ	ნ	ქ
დათვები	18	16	1	1	48
ლოკომოტივი 1	17	14	1	2	41
ყოჩები	17	14	0	3	40
ასკ	18	8	2	8	31

თუ ცხრილის მდგომარეობას და გუნდების სიძლიერეს გავითვალისწინებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა, ალბათ, პირველ სამ გუნდს შორის გაიმართება, თუმცა ასკ-საც შეუძლია სიურპრიზების შემოთავაზება.

რაც შეეხება პირველობის დანარჩენ მონაწილეებს, მათ შორის შეხვედრები ჯერ არ გამართულა.

გთავაზობთ პირველი ოთხეულის დანარჩენი შეხვედრების განრიგს:

10.10 დათვები → ლოკომოტივი 1, ასკ — ყოჩები
14.10 ყოჩები — ლოკომოტივი 1
18-19.10 ასკ — დათვები, ლოკომოტივი 1 — ყოჩები
25.10 დათვები — ყოჩები, ასკ — ლოკომოტივი 1
30-31.10 ლოკომოტივი 1 — დათვები, ყოჩები — ასკ
06.11 დათვები — ასკ, ყოჩები — ლოკომოტივი 1
11-12.11 ყოჩები — დათვები, ლოკომოტივი 1 — ასკ
17.11 დათვები — ლოკომოტივი 1, ასკ — ყოჩები
22-23.11 ასკ — დათვები, ლოკომოტივი 1 — ყოჩები
29.11 დათვები — ყოჩები, ასკ — ლოკომოტივი 1
06.07.12 ლოკომოტივი 1 — დათვები, ყოჩები — ასკ

ახლა საქართველოს რაგბის კავშირის მომავალ გეგმებზეც ვთქვათ. საგაისო ჩემპიონატში უმაღლესი ლიგა შეიქმნება, რომელშიც ექვსი გუნდი ითამაშებს — ოთხი პრიზიორი და ორიც V და VI ადგილებზე გასულები. ამას გარდა ჩამოყალიბდება პირველი ლიგაც, რომელიც ექვსი გუნდით იქნება წარმოდგენილი — წლევანდელი პირველობის ბოლო სამ ადგილზე გასული და ჭაბუკური ჩემპიონატის პირველი სამი გუნდი.

ვინ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში, ამაზე ახლავე შეიძლება ლაპარაკი. დათვებს, ყოჩებს, ლოკომოტივი 1-ს და ასკ-ს შორის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ვერავინ ჩაერევა. ამას სატურნირო ცხრილიც მოწმობს. მათ მიერ დაგროვებული ქულათა მარაგი, განსაკუთრებით „დათვების“, ამ გუნდების სიძლიერესა და ოსტატობაზე თავად მეტყველებს. რაც შეეხება V და VI ადგილებს, მათ, ალბათ, ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე „ხორდა“ და „უნივერსიტეტი“ დაიკავებენ.

ზაზა ბენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

ეგრე არ არის, სიაუ!..

მსოფლიოს თასის სადისციპლინო კომისიამ სამშაბათს ტონგელ უკანხაზელ სიუა ტაუმალოლოს სამი კვირით აუკრძალა ბურთობა. „ზღვის არწივმა“ ახალ ზელანდიასთან წაგებულ მატჩში (9:45) რამდენჯერმე სახიფათოდ შებოჭა მეტოქენი, რაც, შეხვედრის არბიტრებისგან განსხვავებით, „ოლ ბლექსის“ ხელმძღვანელებს არ გამოჰპარვიათ. ჰოდა, მათაც არ დამალეს თავიანთი აღშფოთება და ტაუმალოლოსთვისაც მსოფლიოს თასი, ფაქტობრივად, დამთავრდა.

იგი 26 ოქტომბრამდეა დისკვალიფიცირებული და მეორე და შესამე ტურებში (იტალიასთან და ინგლისთან) თავისიანებს მხოლოდ ქომაგობთლა თუ დაეხმარება. ტონგას შემდეგ ეტაპზე გასვლა კი, ცოტა არ იყოს, საეჭვოა.

ტაუმალოლი ისევე დაისაჯა, როგორც არგენტინელი რობერტო გრაუ, ვინც უელსთან მატჩში მოწინააღმდეგე კოლინ ჩარვისთან მუშტი-კრივი გამართა. ჩარვისს კი ამ ინციდენტისთვის ორკვირიანი მოკვეთა აკმარეს, რითაც უელსელთა ხელმძღვანელობა ძალიან განაწყენებულა. აქაოდა ჩვენიანმა მუშტები მხოლოდ მას შემდეგ მოიქნია, რაც არგენტინელმა უმოწყალო გვემა დაუწყოო. ასეა თუ ისე, ჩარვისს დისკვალიფიკაცია მაინც არავინ შეუმცირა.

სამშაბათსვე თვიქნემში შეკრებილმა სადისციპლინო კომისიამ არაბაირ სანქციებს არ მიმართა სამოელი ბრენდენ რეიდისა და ესპანელი ხოსე მიგელ ვილაუს წინააღმდეგ, რომელთაც ბრალად ასევე ჩხუბისა და აყალმაყალის ატეხა ედებოდათ პირველი ტურის მატჩებში.

რეიდის იაპონელებთან თამაშისას მეტოქისთვის გვარიანად უთავაზებია სახეში, რაც მსაჯსაც შეუნიშნავს და იგი ყვითელი ბარათითაც დაუსჯია, თანაც ამ მომენტის მერე გატანილი სამოელთა ლელოც გაუუქმებია. ვილაუს კი ურუგვაელებთან წაგება ვერ აუტანია და ერთ-ერთი სამხრეთამერიკელისთვის ხელი გაურტყამს. თუ რატომ არ დასაჯეს ეს ორი მოჩხუბარი.

მელომანი ლომუ

ჯონა ლომუ

კარდიფი, ბრისტოლში (ინგლისი), ახალი ზელანდიისა და ტონგას შეხვედრაში „ოლ ბლექსის“ ძირითად შემადგენლობაში ტომით ტონგელმა ჯონა ლომუმაც ითამაშა. 1995 წლის მსოფლიოს თასის ვარსკვლავისთვის, რომელიც ახლა 24 წლისაა, ეს პირველი მატჩი იყო, ბოლო ცამეტი თვის მანძილზე, როცა სასტარტო შემადგენლობაში დააყენეს.

ლომუს თავისი ღირსებებიდან არაფერი დაუკარგავს. იგი უწინდებურად ძლიერია. მარცხენა ფრთის მოთამაშე ისეთივე სწრაფია, ბურთს მარცხენა ხელით მკერდზე იკრავს, მარჯვენათი მოწინააღმდეგეებისგან იცავს თავს და მეტოქის სალელოე მოედნისკენ ჯიქურ მიიწევს. მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელია.

ტონგასთან მან ორი ლელო გაიტანა. პირველის დროს ოკეანელების დაცვის ხაზი ძალისმიერად გაარღვია. შემდეგ კი ტონგელებს ზიგზაგებითა და მოკლე აჩქარებებით აურია გზა-კვალი.

„თავს მართლაც მშვენივრად ვგრძნობ. ვფიქრობ, ასეთ კარგ ფორმაში ადრე არასოდეს ვყოფილვარ. ახლა ყველაფერს გავაკეთებ, რათა დანარჩენ მატჩებშიც ძირითად შემადგენლობაში მოვიპოვო ადგილი და იმედი მაქვს, ამას მოვახერხებ“ — თქვა ჯონა ლომუმ. მას 1997 წელს თირკმლებმა ულალატეს, რის გამოც ერთი პირობა სპორტული კარიერის დასრულებაც კი განიზრახა. თუმცა შემდეგ ლომუმ ჯანმრთელობა აღიდგინა და მომდევნო წელს „შავებსაც“ შეუერთდა. მაგრამ იქ თავის პოსტზე ძლიერი კონკურენტი — ტანა უმაგა დახვდა და აგერ, წინა კვირამდე თავისი ადგილი ვერ დაიბრუნა.

„ნაკრებში ოცდაცამეტჯერ მითამაშია, მაგრამ ახლა ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს პირველად ჩავიცვი ახალი ზელანდიის შავი კვართი“ — თქვა გულაჩუყებულმა ლომუმ.

ლომუ თუ უმაგა? „ოლ ბლექსის“ მთავარ მწვრთნელ ჯონ ჰარტს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ფაქტობრივად, არც კი უცდია. ორივე მორაგბე უდიდესი ძალაა და რომელიმე მათგანზე უარის თქმა, ახალი ზელანდიისთვისაც კი, წარმოუდგენელია. ჰოდა, ჰარტიც ადგა და ტონგასთან ორივე ათამაშა, ოლონდ უმაგა მარცხნიდან მარჯვენა ფლანგზე გადაიყვანა. სამი ერის პირველობაზე მარჯვენივ მთთამაშე კრისტიან კალენმა კი ცენტრში გადაინაცვლა.

„ჯონამ ბევრი ივარჯიშა და მართლაც მშვენიერ ფორმაშია. ყველამ ვიცით, რომ მას ძალიან უნდა, ძველებურად ათამაშდეს და ამ მსოფლიოს თასსაც ამისთვის გამოიყენებს“ — თქვა ამას წინათ ჯონ ჰარტმა და ტონგასთან მატჩიც ამას ადასტურებს.

თვით ლომუ კი გარეგნულად ძალიან მშვიდადაა. ვარჯიშებისგან თავისუფალ დროს იგი ბრისტოლისა და ლონდონის დათვალიერებას ანდომებს, თანაც, ავტობუსშია თუ სასტუმროში, მუდამ მუსიკას უსმენს. თუმცა ინგლისთან მომავალ მატჩსაც არ ივიწყებს, რომელიც ამ ტურნირის ფავორიტთა პირველი დიდი ორთაბრძოლა იქნება.

თქვენ თუ ამას დალევთ...

მსოფლიოს თასზე ნამიბია ერთ-ერთი სუსტი გუნდია და ეს თავადაც კარგად უწყიან. ამიტომაც ისინი ჯგუფიდან გასვლაზე არც კი ოცნებობენ. ისინი უკვე შინ დაბრუნებისთვის საჭირო ფორმალობებს აგვარებენ და 17 ოქტომბრისთვის ამხანაგური მატჩიც დაუგეგმავთ. გაგანია მსოფლიოს თასის დროს, რომელიც ამ დროს მათთვის უკვე დამთავრებული იქნება, ნამიბიელები ფრანკფურტში გერმანელებს გაეჯიბრებიან. ამ ტესტის შემდეგ კი იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა) გაფრინდებიან და იქიდან შინ სამი წაგებით და ერთი მოგებით (ალბათ, გერმანელებს მაინც დაჯაბნინან) დაბრუნდებიან.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში აფრიკელებს ფიჯიმ იოლად მოუგო. წაგება ნამიბიელთა თავკაცებისთვის მოულოდნელი სრულებით არ ყოფილა, მაგრამ ანგარიშში დიდმა სხვაობამ (18:67) ისინი ძალიან დანაღვლიანა. „ფიჯისთან მეტ-ნაკლებად თანასწორად თამაშს ვგეგმავდით და ასე მწარედ დამარცხებას ნამდვილად არ ველოდით. ჩვეულებრივ, გაცილებით უკეთესად გამოვიყურებით ხოლმე“ — თქვა იმ შეხვედრის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რუდი ჟუბერმა.

მეორე ტურში ნამიბიის მოწინააღმდეგე საფრანგეთია. ბორდოში, თქმა არ უნდა, უეჭველად მასპინძლები გაიმარჯვებენ და თანაც დიდი ანგარიშით. აფრიკელებს მხოლოდ იმის იმედი აქვთ, იქნებ ერთი ლელო მაინც გავიტანოთ და ფიჯიზე უფრო სასტიკად არ დავმარცხდეთო. ამით მათ თავის ქვეყანაში რაგბის პროპაგანდა უნდათ გააძლიერონ. ისე, სამხრეთ აფრიკის მეზობელი სახელმწიფოს, სადაც რაგბს კარგა ხანია, თამაშობენ, 1,6 მილიონი მოქალაქიდან მხოლოდ 500 მორაგბე რომ ეყოლება, ნამდვილად ცოტაა.

ბორდოს მატჩისთვის მზადება კი უკვე კარგა ხნის დაწყებულია. ნამიბიელებმა „ლესკიურის“ სტადიონი მოინახულეს და მისით ერთობაც მოიხიბლენ. შემადგენლობაში, მენეჯერ უოლტერ დონის თქმით, სამი-ოთხი ცვლილებაა მოსალოდნელი. გუნდის გადახალისება ტრავმების ბრალი არაა, ეს უბრალოდ ტაქტიკური მოსაზრებებით მოხდება. გუშინ საღამოს კი ნამიბიის ნაკრებს ბორდოელებმა ფრანგული სამზარეულო და თავისი განთქმული ღვინოები დააგემოვნებინეს. თუმცა, თავში არ აგვივარდესო და ნამიბიელმა მორაგბეებმა ძვირფასი „ბორდო“ მხოლოდ თითო ჭიქა მიირთვეს. აი, ფრანგულ კერძებს კი სულ ბდღვერი ადინეს.

გაიოზ თალაკვაძე

ნამიბიელი სან ფურტერი (ბურთით) და მისი თანაგუნდელები ფიჯელებთან ვერას გახდნენ და ფრანგებს რაღას დააყლებენ

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

სამშაბათიდან, 12 ოქტომბრიდან „კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) იმუშავებს 11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე

ბერმანია. მეორე ბუნდესლიგა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
ფიურტი	7	4	3	0	9:4	15	2	2	0	3:0	2	1	0	6:4
კიოლნი	7	4	2	1	13:7	14	3	1	0	9:2	1	1	1	4:5
ალემანია	7	4	2	1	13:12	14	2	2	0	9:5	2	0	1	4:7
ჰანოვერი	7	4	1	2	14:9	13	2	1	1	9:6	2	0	1	5:3
ნიურნბერგი	7	4	1	2	10:7	13	3	0	0	6:1	1	1	2	4:6
კოტბუსი	7	4	0	3	13:6	12	3	0	1	9:4	1	0	2	4:2
ბერლინი	7	3	3	1	11:9	12	2	1	0	5:2	1	2	1	6:7
ქემნიცი	7	3	1	3	10:9	10	2	1	0	6:1	1	0	3	4:8
კარლსრუე	7	2	3	2	12:11	9	1	1	2	6:6	1	2	0	6:5
მაინცი	7	2	3	2	7:9	9	1	2	0	3:2	1	1	2	4:7
კიკერსი	7	2	3	2	7:11	9	2	2	0	5:3	0	1	2	2:8
ბოხუმი	7	2	2	3	11:9	8	1	0	2	8:5	1	2	1	3:4
გლადბახი	7	2	1	4	9:12	7	1	0	2	6:6	1	1	2	3:6
ფორტუნა	7	2	1	4	8:12	7	2	0	1	5:4	0	1	3	3:8
ზტ. პაული	7	1	3	3	5:8	6	0	3	1	1:3	1	0	2	4:5
ობერჰაუზენი	7	1	2	4	9:13	5	1	1	2	7:9	0	1	2	2:4
ვალდჰოფი	7	1	2	4	9:14	5	1	1	1	6:4	0	1	3	3:10
ოფენბახი	7	0	3	4	5:13	3	0	0	3	2:7	0	3	1	3:6

ინგლისი. პირველი დივიზიონი

ჩარლტონი	8	6	1	1	16:7	19	5	0	0	11:2	1	1	1	5:5
სიტი	10	6	1	3	14:6	19	4	0	1	11:3	2	1	2	3:3
ფულემი	9	5	4	0	13:5	19	3	1	0	6:1	2	3	0	7:4
ბირმინგემი	10	5	3	2	19:12	18	3	2	0	14:6	2	1	2	5:6
იფსვიჩი	9	5	2	2	20:10	17	4	0	1	12:4	1	2	1	8:6
ჰადერსფილდი	9	5	1	3	19:12	16	4	0	0	15:4	1	1	3	4:8
ბარნსლი	9	5	1	3	23:18	16	4	0	1	17:6	1	1	2	6:12
სტოკპორტი	9	5	1	3	11:12	16	3	1	0	7:3	2	0	3	4:9
გრიმსბი	10	4	2	4	10:13	14	3	1	1	5:3	1	1	3	5:10
ბოლტონი	9	3	3	3	15:12	12	2	2	1	10:9	1	1	2	5:3
ბლეკბერნი	9	3	3	3	12:9	12	2	1	1	5:2	1	2	2	7:7
კრ. პალასი	10	3	3	4	16:18	12	2	2	1	10:4	1	1	3	6:14
ნორვიჩი	11	3	3	5	11:14	12	2	0	3	4:6	1	3	2	7:8
პორტსმუთი	9	3	3	3	11:16	12	2	2	1	6:3	1	1	2	5:13
შეფილდ იუნ.	9	3	2	4	14:19	11	2	2	1	10:6	1	0	3	4:13
ვესტ ბრომვიჩი	8	1	7	0	8:7	10	0	5	0	4:4	1	2	0	4:3
ნოტინგემი	9	2	4	3	12:12	10	2	2	0	8:4	0	2	3	4:8
პორტვეილი	10	3	1	6	12:15	10	3	0	2	7:5	0	1	4	5:10
ქუინზ პარკი	8	2	3	3	9:10	9	2	2	0	7:4	0	1	3	2:6
ვულვზი	9	1	5	3	7:11	8	0	2	2	3:5	1	3	1	4:6
ქრიუ	8	2	2	4	10:16	8	1	1	1	3:4	1	1	3	7:12
ტრანმერი	10	2	2	6	9:17	8	1	2	2	6:9	1	0	4	3:8
სუინდონი	10	2	2	6	7:17	8	1	1	3	4:11	1	1	3	3:6
უოლსოლი	10	1	3	6	8:18	6	0	2	3	4:9	1	1	3	4:9

ინგლისი. მეორე დივიზიონი

როვერსი	10	7	1	2	15:8	22	4	1	0	8:3	3	0	2	7:5
უიგანი	9	5	4	0	18:8	19	4	1	0	10:3	1	3	0	8:5
ბარნლი	10	5	4	1	12:6	19	4	1	0	10:4	1	3	1	2:2
ბრენტფორდი	10	4	6	0	16:9	18	4	2	0	10:3	0	4	0	6:6
ნოტსი	9	5	2	2	15:9	17	2	1	1	5:3	3	1	1	10:6
სტოკი	10	5	2	3	16:11	17	2	2	1	7:5	3	0	2	9:6
ბორნმუთი	10	5	2	3	15:11	17	4	1	0	11:3	1	1	3	4:8
ლუთონი	10	5	2	3	14:11	17	4	1	0	12:6	1	1	3	2:5
ბერი	10	4	4	2	17:13	16	4	1	0	14:7	0	3	2	3:6
უიკომბი	10	4	4	2	15:12	16	2	2	1	10:7	2	2	1	5:5
პრესტონი	10	4	4	2	13:13	16	2	1	2	5:8	2	3	0	8:5
ჯილინგემი	10	3	4	3	13:13	13	2	1	2	6:6	1	3	1	7:7
რეკსჰემი	10	4	1	5	13:15	13	3	0	2	8:7	1	1	3	5:8
ბრისტოლი	8	3	2	3	13:12	11	2	2	0	9:4	1	0	3	4:8
ოქსფორდი	10	3	2	5	12:13	11	2	1	2	7:5	1	1	3	5:8
მილუოლი	8	2	4	2	9:11	10	2	2	0	7:5	0	2	2	2:6
კარდიფი	10	2	4	4	12:15	10	1	4	0	5:4	1	0	4	7:11
კოლჩესტერი	9	3	0	6	8:20	9	2	0	2	5:7	1	0	4	3:13
ჩესტერფილდი	9	2	2	5	8:10	8	1	0	3	4:6	1	2	2	4:4
რედინგი	9	2	2	5	14:20	8	2	2	1	7:6	0	0	4	7:14
სკანთორპი	10	2	2	6	6:14	8	1	1	3	4:6	1	1	3	2:8
კემბრიჯი	10	1	4	5	15:20	7	1	3	1	9:9	0	1	4	6:11
ბლექპული	10	1	3	6	11:20	6	1	3	1	5:5	0	0	5	6:15
ოლდემი	9	1	1	7	7:13	4	1	0	3	3:4	0	1	4	4:9

თურქეთი

გალათასარაი	5	4	0	1	13:6	12	1	0	1	6:2	3	0	0	7:4
ფენერბაჰჩე	5	3	2	0	11:5	11	2	1	0	6:3	1	1	0	5:2
ბეშიქთაში	5	3	1	1	12:2	10	2	1	0	6:1	1	0	1	6:1
ტრაბზონი	5	3	1	1	8:4	10	1	0	1	3:2	2	1	0	5:2
დენიზლი	5	3	1	1	8:5	10	2	0	1	6:4	1	1	0	2:1
ანთალია	5	3	1	1	8:6	10	1	1	1	3:4	2	0	0	5:2
გაზიანთეფი	5	3	1	1	6:4	10	1	0	1	3:3	2	1	0	3:1
ალთაი	5	2	2	1	8:4	8	1	1	0	3:0	1	1	1	5:4
გენჩლერბირ.	5	2	2	1	5:6	8	1	2	1	2:5	1	0	0	3:1
ქოჯაელი	5	1	3	1	8:5	6	0	1	0	1:1	1	2	1	7:4
გიოზთეფე	5	1	3	1	4:3	6	1	2	0	3:1	0	1	1	1:2
სამსუნი	5	2	0	3	5:10	6	2	0	1	4:2	0	0	2	1:8
ერზურუმი	5	1	2	2	5:7	5	0	2	1	3:4	1	0	1	2:3
ისთანბული	5	1	1	3	2:7	4	1	0	1	2:4	0	1	2	0:3
ბურსა	5	1	0	4	4:9	3	1	0	2	4:6	0	0	2	0:3
ადანა	5	0	2	3	7:10	2	0	0	2	4:6	0	2	1	3:4
ვანი	5	0	1	4	3:13	1	0	0	2	0:8	0	1	2	3:5
ანკარაგიუჯიუ	5	0	1	4	2:13	1	0	1	1	1:3	0	0	3	1:10

ინგლისი. მესამე დივიზიონი

ბარნეტი	10	7	3	0	19:9	24	3	2	0	12:7	4	1	0	7:2
როჩდეილი	10	6	2	2	11:3	20	1	2	2	2:3	5	0	0	9:0
პეტერბრო	10	6	2	2	13:9	20	4	1	0	9:4	2	1	2	4:5
დარლინგტონი	10	5	3	2	11:7	18	3	2	0	7:1	2	1	2	4:6
როტერჰემი	10	5	2	3	19:8	17	4	0	1	12:1	1	2	2	7:7
ტორკი	10	5	2	3	14:10	17	1	2	2	7:6	4	0	1	7:4
საუთენდი	10	5	2	3	14:12	17	3	1	1	8:4	2	1	2	6:8
ექსეტერი	10	5	2	3	12:11	17	4	0	1	7:6	1	2	2	5:5
ჰალიფაქსი	10	5	1	4	13:10	16	3	0	2	9:5	2	1	2	4:5
ბრაიტონი	10	4	3	3	19:11	15	3	0	2	12:4	1	3	1	7:7
სუონსი	9	4	1	4	8:8	13	2	0	2	5:4	2	1	2	3:4
ნორთჰემპტონი	10	4	1	5	7:9	13	2	1	2	3:3	2	0	3	4:6
პლიმუთი	10	3	3	4	15:16	12	2	3	0	11:5	1	0	4	4:11
ლინკოლნი	10	3	3	4	10:12	12	2	2	1	4:3	1	1	3	6:9
შენსფილდი	10	3	3	4	10:12	12	2	2	1	9:4	1	1	3	1:8
ჰალი	10	3	3	4	9:11	12	2	2	1	8:6	1	1	3	1:5
შრიუსბერი	10	3	3	4	8:13	12	1	2	2	5:4	2	1	2	3:9
კარლაისლი	10	3	3	4	12:18	12	3	1	1	8:7	0	2	3	4:11
მაკლსფილდი	10	3	2	5	13:15	11	1	1	3	5:7	2	1	2	8:8
ჰარტლპული	10	3	1	6	12:11	10	2	0	3	6:5	1	1	3	6:6
ჩელტენემი	9	3	0	6	4:9	9	1	0	4	2:7	2	0	2	2:2
ლეიტონი	10	2	2	6	9:18	8	2	0	3	5:7	0	2	3	4:11
იორკი	10	1	4	5	8:16	7	1	2	2	3:6	0	2	3	5:10
ჩესტერი	10	1	3	6	10:22	6	0	1	4	2:10	1	2	2	8:12

იტალია. სარია B

ატალანტა	6	5	1	0	12:5	16	3	0	0	7:3	2	1	0	5:2
ბრეშა	6	4	2	0	9:2	14	2	1	0	7:2	2	1	0	2:0
პესკარა	6	3	2	1	10:8	11	2	1	0	7:4	1	1	1	3:4
სამპდორია	6	3	2	1	7:5	11	1	2	0	4:3	2	0	1	3:2
ტერნანა	6	3	2	1	6:5	11	2	1	0	3:1	1	1	1	3:4
ვიჩენცა	6	3	1	2	12:5	10	2	1	0	10:2	1	0	2	2:3
ნაპოლი	6	2	3	1	8:4	9	2	1	0	7:2	0	2	1	1:2
ემპოლი	6	3	0	3	4:9	9	3	0	0	4:1	0	0	3	0:8
საკოია	6	2	2	2	6:9	8	2	1	0	4:2	0	1	2	2:7
ჯენოა	6	2	1	3	7:5	7	2	0	1	6:2	0	1	2	1:3
ტრევიზო	6	2	1	3	8:8	7	2	0	1	5:3	0	1	2	3:5
ალძანო	6	2	1	3	6:8	7	2	0	1	4:3	0	1	2	2:5
პისტოიეზე	6	2	1	3	4:7	7	2	0	1	4:3	0	1	2	0:4
რავენა	6	1	3	2	8:7	6	1	1	1	5:3	0	2	1	3:4
კიევო	6	2	0	4	7:8	6	2	0	1	4:2	0	0	3	3:6
კოზენცა	6	1	3	2	6:7	6	1	0	2	3:4	0	3	0	3:3
ჩეზენა	6	1	3	2	5:6	6	1	2	0	2:1	0	1	2	3:5
მონცა	6	1	2	3	5:8	5	1	2	0	2:1	0	0	3	3:7
სალერნიტანა	6	1	2	3	6:12	5	1	2	0	4:2	0	0	3	2:10
ფერმანა	6	0	2	4	3:11	2	0	2	1	1:2	0	0	3	2:9

იტალია. სარია C1/a

ჩიტადელა	5	3	2	0	9:5	11	2	1	0	7:4	1	1	0	2:1
სპალ	5	3	1	1	7:3	10	1	1	0	2:0	2	0	1	5:3
სიენა	5	3	1	1	6:4	10	1	0	1	2:2	2	1	0	4:2
კარარეზე	5	2	2	1	6:4	8	1	2	0	4:2	1	0	1	2:2
ლივორნო	5	2	2	1	6:5	8	1	1	1	3:3	1	1	0	3:2
მოდენა	5	2	1	2	7:5	7	0	1	2	2:4	2	0	0	5:1
რეჯანა	5	2	1	2	5:3	7	1	0	2	2:3	1	1	0	3:0
პიზა	5	2	1	2	4:4	7	1	0	1	3:3	1	1	1	1:1
ლუმეცანე	5	1	3	1	4:4	6	0	2	1	1:2	1	1	0	3:2
ალბინოლეფე	5	1	3	1	5:6	6	0	2	0	2:2	1	1	1	3:4
კომო	5	1	3	1	4:5	6	0	3	1	1:4	1	2	0	3:1
ლეკო	5	1	3	1	3:4	6	0	1	1	0:2	1	2	0	3:2
ბრეშელო	5	1	2	2	6:7	5	0	1	1	3:4	1	1	1	3:3
ლუკეზე	5	1	2	2	6:9	5	1	1	0	3:2	0	1	2	3:7
ვარეზე	5	0	4	1	4:5	4	0	2	1	2:3	0	2	0	2:2
მონტევარკი	5	0	3	2	4:6	3	0	2	1	2:3	0	1	1	2:3
კრემონეზე	5	0	3	2	2:5	3	0	1	1	1:2	0	2	1	1:3
სანდონა	5	0	3	2	1:5	3	0	0	2	0:4	0	3	0	1:1

იტალია. სარია C1/b

კროტონე	5	4	1	0	14:5	13	3	0	0	10:2	1	1	0	4:3
ანკონა	5	4	0	1	7:2	12	3	0	0	5:1	1	0	1	2:1
დი სანგრო	5	2	3	0	6:4	9	1	1	0	3:2	1	2	0	3:2
ვიტერბეზე	5	3	0	2	10:9	9	2	0	0	5:2	1	0	2	5:7
კატანია	5	2	2	1	6:3	8	1	2	0	3:1	1	0	1	3:2
პალერმო	5	2	2	1	5:3	8	1	2	0	4:2	1	0	1	1:1
ლოდიჯანი	5	2	2	1	5:6	8	2	1	0	3:1	0	1	1	2:5
ასკოლი	5	2	1	2	9:4	7	2	0	1	7:1	0	1	1	2:3
აველინო	5	2	1	2	5:7	7	2	1	0	5:2	0	0	2	0:5
სტაბია	5	1	3	1	5:5	6	0	2	1	3:4	1	1	0	2:1
ნოჩერინა	5	1	3	1	4:4	6	1	1	0	2:1	0	2	1	2:3
არეცო	5	1	2	2	5:5	5	1	1	0	4:2	0	1	2	1:3
ფ. ანდრია	5	1	2	2	3:5	5	1	1	0	1:0	0	1	2	2:5
გუალდო	5	1	2	2	6:9	5	1	1	0	4:3	0	1	2	2:6
ბენევენტო	5	1	2	2	2:6	5	1	0	1	1:2	0	2	1	1:4
ჯულიანოვა	5	1	1	3	2:6	4	1	0	2	2:4	0	1	1	0:2
ატლეტიკო	5	0	2	3	1:4	2	0	1	1	0:1	0	1	2	1:3
მარსალა	5	0	1	4	2:10	1	0	1	1	1:3	0	0	3	1:7

ესპანეთი. მეორე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
ესტრემადურა	7	6	1	0	11:3	19	4	0	0	7:1	2	1	0	4:2
ლას პალმასი	7	5	1	1	17:5	16	3	0	1	12:3	2	1	0	5:2
სალამანკა	7	4	3	0	10:4	15	3	1	0	8:3	1	2	0	2:1
ბადახოსი	7	3	4	0	7:4	13	2	2	0	6:4	1	2	0	1:0
კომპოსტელა	7	3	2	2	11:8	11	1	1	1	4:2	2	1	1	7:6
ლევანტე	7	3	2	2	13:11	11	3	0	0	7:0	0	2	2	6:1
ალბასეტე	7	3	2	2	8:8	11	2	1	1	5:4	1	1	1	3:4
უელვა	7	3	2	2	6:7	11	1	1	1	2:2	2	1	1	4:5
ოსასუნა	7	3	1	3	8:7	10	2	1	0	6:2	1	0	3	2:5
მერიდა	7	2	4	1	7:6	10	1	2	0	4:2	1	2	1	3:4
ეიბარი	7	2	3	2	12:9	9	1	2	1	5:4	1	1	1	7:5
სპორტინგი	7	3	0	4	11:12	9	1	0	2	4:5	2	0	2	7:7
ვილიარეალი	7	2	3	2	7:8	9	0	2	1	1:5	2	1	1	6:3
ელჩე	7	1	5	1	7:7	8	1	3	0	4:3	0	2	1	3:4
კორდობა	7	2	2	3	6:6	8	2	0	2	5:4	0	2	1	1:2
ტენერიფე	7	2	2	3	7:9	8	1	1	1	3:3	1	1	2	4:6
ლოგრონიესი	7	1	4	2	12:13	7	1	2	1	8:8	0	2	1	4:5
ლეიდა	7	1	2	4	7:10	5	0	2	2	3:5	1	0	2	4:5
ატლეტიკო B	7	1	2	4	6:12	5	1	1	1	5:6	0	1	3	1:6
ტოლედო	7	1	1	5	4:12	4	0	0	3	1:7	1	1	2	3:5
ხეტაფე	7	0	3	4	6:12	3	0	2	2	4:7	0	1	2	2:5
ლეგანესი	7	0	3	4	6:16	3	0	2	1	2:3	0	1	3	4:13

პორტუგალია

ბენფიკა	6	5	1	0	11:1	16	3	0	0	6:0	2	1	0	5:1
სპორტინგი	6	3	3	0	11:5	12	2	1	0	5:2	1	2	0	6:3
პორტუ	6	3	3	0	8:2	12	2	1	0	6:1	1	2	0	2:1
გიმარაეში	6	3	2	1	8:5	11	3	0	0	5:0	0	2	1	3:5
ბოავიშტა	6	3	2	1	5:3	11	2	1	0	4:1	1	1	1	1:2
სალგეირუში	6	3	1	2	6:6	10	2	1	0	3:0	1	0	2	3:6
ბელენენსეში	6	2	3	1	8:4	9	1	2	0	5:3	1	1	1	3:1
ჟილ ვისენტე	6	2	2	2	7:4	8	2	1	0	6:1	0	1	2	1:3
სანტა კლარა	6	2	2	2	9:8	8	1	1	1	4:6	1	1	1	5:2
მარიტიმუ	6	2	2	2	7:6	8	2	1	0	4:0	0	1	2	3:6
ალვერკა	6	2	2	2	6:7	8	2	1	0	4:2	0	1	2	2:5
რიუ ავე	6	2	2	2	8:12	8	1	1	1	5:7	1	1	1	3:5
ლეირია	6	1	3	2	5:5	6	1	2	0	4:1	0	1	2	1:4
სეტუბალი	6	1	1	4	8:12	4	1	1	1	6:5	0	0	3	2:7
ბრაგა	6	1	1	4	6:10	4	0	1	2	0:2	1	0	2	6:8
ამადორა	6	0	4	2	5:10	4	0	2	1	3:6	0	2	1	2:4
ფარენსე	6	1	1	4	2:11	4	1	0	2	2:5	0	1	2	0:6
კამპომაიორენსე	6	0	1	5	3:12	1	0	1	2	3:6	0	0	3	0:6

ჰოლანდია

პსვ	6	6	0	0	27:5	18	4	0	0	19:3	2	0	0	8:2
აიაქსი	7	5	2	0	24:11	17	2	1	0	8:5	3	1	0	16:6
ფეიენოორდი	7	4	2	1	15:5	14	3	0	1	9:3	1	2	0	6:2
ვალვაიკი	7	4	2	1	11:7	14	1	2	1	5:5	3	0	0	6:2
როდა	7	4	1	2	12:9	13	2	0	2	8:7	2	1	0	4:2
ტილბურგი	7	4	1	2	17:18	13	2	1	1	10:10	2	0	1

ბეკერის საიდუმლო

გერმანელ ჩოგბურთის ვარსკვლავ ბორის ბეკერს რომ მოენდომებინა, სულ იოლად დაიცავდა სხვა ქვეყნის, ისრაელის ღირსებას. მისი დედა ელვირა თურმე ებრაელია და გერმანიაში მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა, როცა საბჭოთა „გამათავისუფლებელ“ არმიას გაერიდა.

ბეკერმა, რომელიც თავისი ქვეყნის ერთ-ერთი უპოპულარულესი ადამიანია, ეს ამბავი ჟურნალ „ინსაიდ ტენისს“ გაანდო.

„დედაჩემი ჩეხოსლოვაკიიდან მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაიქცა, როდესაც რუსებმა მისი მშობლიური ქალაქი დაიპყრეს. იგი წლების მანძილზე ცხოვრობდა ჰაიდელბერგის ლტოლვილთა ბანაკში.“

ელვირა ბეკერის გადაწყვეტილება, თავშესაფარი გერმანიაში ეძია, ცოტა ძნელად ასახსნელია, ნაცისტებმა ხომ ომის განმავლობაში 6 მილიონზე მეტი ებრაელი გაწყვიტეს საკონცენტრაციო ბანაკებში. ახლა გერმანიაში ამ ეროვნების 50 ათასზე ნაკლები წარმომადგენელი ცხოვრობს და ნეონაცისტებისგან თავის დასაცავად ხშირად პოლიციის დახმარება სჭირდებათ.

„დედაჩემს წლების მანძილზე კარვებში ეძინა, მამაჩემი კი მკაცრი კათოლიკური ოჯახიდან იყო. ასე რომ, მე ცოტათი ებრაელი ვარ, ცოტათი გერმანელი. ალბათ, ამიტომაც გამოვდექი თანამემამულეებზე შემწყნარებელი“ — აღნიშნა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა.

თავის დროზე ბორისს კოლეგიალურად და აგრესიულად განწყობილი გერმანელებისგან კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა, რაკიღა მეუღლედ შავკანიანი ამერიკელი ბარბარა ფელტუსი ირჩია. ბარბარასაც და მის 5 წლის ვაჟიშვილ ნოასაც კანის ფერის გამო ქუჩაში ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას. გაღიზიანებულმა ბეკერმა ერთხანს ფლორიდაში გადასახლება დააპირა, მერე ეს გადათქვა, მაგრამ თანამემამულეებს რასიზმსა და ნაციზმში დასდო ბრალი.

საინტერესოა, როგორ შეხვდებიან გერმანელები თავიანთი კერპის ებრაელობას.

ტეგლა ლორუპე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგასი მილიონებს არიგებს



ანდრე აგასი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ახლახან დასრულებული აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებული ანდრე აგასი დიდი ხანია, მატერიალურად ეხმარება უპატრონო და უსახლკარო ბავშვების ფონდს.

ამ რამდენიმე დღის წინ ხოტორა ვარსკვლავმა მეხუთე ყოველწლიური კონცერტი ჩაატარა „დიდი სლემი ბავშვებისთვის“, რომელშიც ისეთი ცნობილი პიროვნებები მონაწილეობდნენ, როგორებიც მომღერალი ელტონ ჯონი და ოსკაროსანი მსახიობი რობინ უილიამსი არიან.

კონცერტზე, რომელსაც ანდრეს მშობლიურ ქალაქ ლას ვეგასში „MGM გრენდ გარდენმა“ უმასპინძლა, ფონდისთვის 3,9 მილიონი დოლარის შეგროვება მოხერხდა. 6000 მაყურებლისთვის იმღერეს ვარსკვლავებმა — ლუთერ ვანდროსმა, გლორია ესტეფანმა და ლიენ რაიმსმა, მერე კი სპეციალური აუქციონი მოეწყო.

რობინ უილიამსთან სამი სადილის უფლება 385 ათას დოლარად გაიყიდა. აუქციონზე აგრეთვე გამოტანილი იყო ერთსაათიანი საჩოგბურთო გაკვეთილი თავად აგასისთან და მის გელფრენდ შტეფი გრაფთან, თუმცა ამ პატივის ღირებულებაზე არაფერს იტყობინებიან.

არანჩა მილიონებს მალავს

არანჩა სანჩეს-ვიკარიოს ამ ბოლო ხანებში ისეთივე უსიამოვნებები შეექმნა ეროვნულ საგადასახადო ინსპექციასთან, როგორიც თავის დროზე გერმანელ ვარსკვლავებს — შტეფი გრაფსა და ბორის ბეკერს ჰქონდათ. მას 7,5 მილიონი დოლარის გადახდას სთხოვენ.

ესპანური საგადასახადოს განცხადებით, 1989-93 წლებში არანჩას 629 მილიონი პესეტა (3,9 მილიონი დოლარი) დავალიანება დაუგროვდა, გარდა ამისა, 580 მილიონი ჯარიმის სახით აქვს გადასახდელი.

თავის მხრივ, როლან გაროსის სამგზის ჩემპიონი ამტკიცებს, რომ კაპიკსაც არავის მისცემს, რადგან დროის ნახევარზე მეტს ანდორაში (ესპანეთსა და საფრანგეთს შორის მოქცეულ პატარა სამთავროში) ატარებს და შემოსავალზე გადასახადსაც იქვე იხდის.

არანჩას წინააღმდეგ სამხილი პოლიციამ 1995 წელს, მისი ოჯახის კუთვნილი ბარსელონური სახლის გაჩხრეკისას მოიძია. ჩოგბურთელის ადვოკატები ცდილობდნენ, ჩხრეკა უკანონოდ ეღიარებინათ, მაგრამ ახლახან დასრულებული პროცესი წააგეს — სასამართლომ დაადგინა, რომ ყველაფერი კანონიერი იყო, რადგან ინსპექტორებს არანჩას მამის და აგენტის ზეპირი თანხმობა ჰქონდათ.

ახლა საქმე სხვა სასამართლოში გადაინაცვლებს, რომელიც დაადგენს, მართლა ცხოვრობს თუ არა სანჩეს-ვიკარიო ანდორაში, თუ არა, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ჯიბეების ამოტრიალება მოუხდება.

ესპანელს ერთ რჩევას არ დავამადლით — არანჩა, ჩამოდი ჩვენთან.



არანჩა სანჩეს-ვიკარიო

კონორსმა ანდრე დაცინა



ჯიმი კონორსი

ლეგენდარული ჯიმი კონორსის აზრით, ანდრე აგასი წარსულის დიდი ჩემპიონების გვერდით მოხსენიების ღირსი არ არის.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანს ბრიტანელ ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, აგასი პიტ სამპრასისა და კონორს-მაკინროი-ბორგის სამეულის მსგავს აღიარებას თუ იმსახურებსო.

„მე მას ჩვენს გვერდით არც კი მოვიხსენიებდი — მიუგო ამერიკელმა, თან ისიც იუარა, რომ აგასიმ თამაშის სტილი მისგან გადაიღო — იმიტაცია პატივისცემის უპირველესი გამოხატულებაა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემი ყალიბი კარიერის დამთავრებისთანავე გატყდა“.

აგასიმ, რომელიც ორი წლის წინ კლასიფიკაციაში 141-ე იყო, წლეულს ზედიზედ სამი „მეოჯორის“ ფინალში გააღწია, როლან გაროსი და „ოუფენი“ მოიგო და პირველი ჩოგანიც გახდა, მაგრამ კონორსზე ეს მიღწევები დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენს.

„29 წლის ასაკში უკან დაბრუნება არ არის სწორი. მის კარიერაში პიტ სამპრასისგან განსხვავებით, ძალიან ბევრი დაღმასვლა იყო. აგასის ნიჭის პატრონი საუკეთესოთა ხუთეულიდან არასოდეს უნდა გავარდნილიყო“.

თავად ანდრე, კონორსის კომენტარებით, ბუნებრივია, ნასიამოვნები ვერ დარჩებოდა. „ძალიან დამწყდა გული, ეს რომ წავიკითხე, რადგან ჯიმის დიდ ჩემპიონად მივიჩნევ. პასუხის გაცემას არ ვაპირებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისი ნათქვამი ძალიან არ მომეწონა“.

ავთანდილ სვანიძე

ლორუპეს კაცები არ სჭირდებიან

გუშინ პატივი ერთხელაც წარმოგიდგინოთ ტეგლა ლორუპე, 26 წლის კენიელი მანდილოსანი, რომელმაც გუშინწინ ზედიზედ მესამედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი ნახევარმარათონში. ჩემპიონატს პალერმომ უმასპინძლა. მაფიის ისტორიულ ციტადელში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამძლეფილტვებიანმა მორბენლებმა მოიყარეს თავი და მაყურებელთა დაინტერესებამაც საკმაოდ მაღალ დონეს უწია. მიუხედავად ამისა, თავად ლორუპეს თავისი გამარჯვება ერთ რიგით მოვლენად მიაჩნია და თვლის, რომ მისი მთავარი მიზანი სიდნეის ოლიმპიადის მოგებაა, რაშიც იოტისოდენადაც არ ეპარება ეჭვი. ლორუპეს გამარჯვებებს მარათონებზე მართლაც ყველა მიეჩვია. სანამ 21097 მეტრზე დაჯაბნიდა მეტოქეებს, კენიელმა გასულ კვირას ბერლინში სუფთა მარათონი ანუ ორჯერ გრძელი გზა გაირბინა და აქაც, რასაკვირველია, უპრობლემოდ გაიმარჯვა, რის შემდეგაც ალალი ბოდიში უძღვნა ბერლინელ გულშემატკივრებს: 2 საათი, 20 წუთი და 43 წამი ჩემთვის მართლაც უხეირო შედეგია და მომიტევეთ, 2:20-იან ზღვარში რომ ვერ ჩავეტიეო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლორუპე ნელ-ნელა სხვა დისტანციებსაც იპყრობს და საკმაოდ ფართო დიაპაზონის მორბენლად ყალიბდება. ამას სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე 10 კილომეტრზე რბენაში მისგან გამომუშავებული ბრინჯაოს მედალიც მოწმობს. კენიელის გერმანელი მწვრთნელი, ფოლკერ ვაგნერი აღზრდილის ტრიუმფებით უკმაყოფილო რაღად უნდა იყოს, თუმცა მიღწეულს არ სჯერდება და ახალ გრანდიოზულ გეგმებს აწყობს, რომლებშიც ბერლინის მარათონი თურმე საერთოდ არ შედიოდა და მხოლოდ ლორუპე — „ნაიკის“ ახლადჩასახულმა თბილმა სარეკლამო ურთიერთობებმა განაპირობეს კენიელის მასში გამოსვლა.

გარდა უკვე ხსენებულებისა, კიდევ ნიუ იორკისა და როტერდამის მარათონების მომგები ლორუპე ახლა ოლიმპიადისთვის გაცხოველებული ვარჯიშის გაგრძელებას აპირებს, რაც კვირაში 230 კილომეტრის გარბენაში გამოიხატება. ამასთან ლორუპე საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს მარათონებზე მორბენალ მამაკაცთა შესაძლებლობებს და ეთანხმება მათ, ვინც ქალებისთვის ცალკე მარათონულ რბენებს მოითხოვს. „მე უმამაკაცებოდაც შემიძლია უმაღლესი შედეგების ჩვენება, ამიტომ ამ „კავალრებს“ ვთხოვდი, ფეხებში ნუ გამებლანდებიან“ — ეს არცთუ ირონიას მოკლებული სიტყვები სწორედ იმ 26 წლის კენიელი ქალბატონის საკუთრებაა, ვისაც ეს წერილი ეძღვნება და ვისაც საკუთარი თავისა სჯერა.

პალერმოში ლორუპესგან დაწუნებულმა მამაკაცებმაც ირბინეს და თუ არა კენიელი, მაშ ვინღა მოიგებდა ამ გარბენსაც? ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, პოლ ტერგატი მთელ დისტანციაზე ლიდერობდა, მაგრამ სამხრეთაფრიკელი ჰენდრიკ რამაალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასევე მთელ დისტანციაზე კენიელს საკუთარი ჩრდილივით მისდევდა და ბევჯერ ლამის ქუსლებზე დააბიჯა. ფინიშამდე ასიოდე მეტრით ადრე კენიელმა ტრადიციულად აიწყვიტა და დაფეთებულივით გავარდა წინ. ის იყო რამაალმა უიმედოდ შეხედა მეტოქის ზურგს, თანდათან რომ შორდებოდა და უცებ (ჰოი, საოცრებავ!) ტერგატი ბილიკებზე ეშმაკმა იცის საიდან მოხვედრილ მსაჯს დაეჯახა (!). რამაალმა ამით ისარგებლა და მხიარული ჭენებით გაუსწრო კიდეც მეტოქეს, მაგრამ ბარაქალა ტერგატს. მან კვლავ მოიკრიბა ძალა და ზედ ფინიშზე ისევ დაწინაურდა.

დავით გულუა

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება — 19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორია გაცოცხლდება. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების და სპორტის მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი.

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.

2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?

3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

დავით ხახალეიშვილი

კიუდო

დაიბადა 1971 წლის 28 თებერვალს, ქუთაისში. დსთ-ს ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ყოცე-ჩემპიონი (1991, 1993), ბრინჯაოს მედალოსანი (1993, 1995), ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1997, 1996) სამბოში

1. ყველაზე სასიხარულო და სასიამოვნო მოგონება 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებაა. უბედნიერეს ადამიანად ვთვლიდი თავს.

— ყველაზე გულდასაწყვეტი? ატლანტის ოლიმპიადა უბრძოლველად წამაგებინეს, უსაშინლეს მდგომარეობაში ჩამაგდეს. გახსენებაც არ მინდა.

2. ახალს ვერაფერს ვიტყვი. ყველამ, დიდმა თუ პატარამ ერთად უნდა მიიტანოს გულთან სპორტის პრობლემები. სხვანაირად არაფერი გამოვა. უპირველესად ბავშვთა სპორტს ეკუთვნის ყურადღება. სახელმწიფო, რა თქმა უნდა,- მოვალეა იზრუნოს სპორტის განვითარებაზე, მაგრამ ყველაფერს ვერ გაწვდება. სპორტი გარკვეულწილად ბიზნესიცაა, ამიტომ ბევრი რამ კერძო სტრუქტურებზეა დამოკიდებული, ოღონდ სახელმწიფომ შეღავათებიც უნდა გაითვალისწინოს.

3. ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, შოთა ჩოჩიშვილი. ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო სალუქვაძე.

რუსეთი საქართველოსთან ერთიანობას ...

მოიწევენ, ქართველები ევროპისკენ

ვალერ დოლიძეს ფოტო



ვახტანგ მურვანიძე

გუშინ ქართველი ფიგურისტებისთვის ვენაში ახალი სპორტული სეზონი გაიხსნა. გახსნაში ტურნირს ვგულისხმობთ, თორემ სეზონი ოფიციალურად 1 მაისიდან იწყება და მთელი ზაფხული ვარჯიშებს ეთმობა. ავსტრიის დედაქალაქში ჩვენებურთაგან ახალგაზრდა ვახტანგ მურვანიძე ისრიალებს, რომელმაც წლეულს მწვრთნელი შეიცვალა. მისი ძველი დამრიგებელი იგორ რუსაკოვი ლეიკემიითაა დაავადებული და სპორტისთვის ვეღარ იცლის. გასული წლის მსოფლიოს პირველობისთვის მურვანიძე, ფაქტობრივად, მარტო ემზადებოდა. არადა, იმ ტურნირში ასაკის კვალობაზე ურიგოდ არ უასპარეზია — მე-17 ადგილი დაიკავა, მანამდე კი იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატში მეხუთე იყო. ახლა ის არაერთი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელ, საქვეყნოდ ცნობილ ელენე ჩაიკოვსკაიასთან ემზადება. მის შვიდკაციან ჯგუფში მურვანიძე ისეთი ფიგურისტების გვერდით დახვეწს ოსტატობას, როგორებიც მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი მარია ბუტირსკაია და ბრინჯაოსმედალოსანი იულია სოლდატოვა არიან.

ვენაში კარლ შეფერის სახელობის მემორიალი მიმდინარეობს. ესაა „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი. მერე კი მურვანიძეს დიდი პრიზის შეჯიბრებები ელის. ამ პრიზის გათამაშებაში ბოლო მსოფლიოს პირველობის 12 საუკეთესო მონაწილე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ვახტანგი საერთაშორისო ფედერაციამ „ველური ბარათით" პერსონალურად მიიწვია. იგი 4 ნოემბერს გერმანიაში იასპარეზებს, 25-28 ნოემბერს — სანკტ პეტერბურგში. ამ პრიზის მესამე ტურნირი კი გაისად, თებერვლის დასაწყისში გაიმართება ისევ ვენაში. გაისადვე ჩატარდება ევროპისა და მსოფლიოს პირველობებიც.

მურვანიძე ამჟამად მოსკოვშია და ოლიმპიურ კომპლექსში ემზადება. მთელი აგვისტო კი ჩაიკოვსკაიას ჯგუფთან ერთად ვენაში გაატარა შეკრებაზე, რასაც წინ ხანგრძლივი შეკრება უძღოდა მოსკოვში.

მურვანიძის გარდა წლეულს მსოფლიოს ყინულზე ჩვენი იუნიორებიც ისრიალებენ. გოგონათა ინდივიდუალურ ასპარეზობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოსასვლელად ნათია ბაქრაძე და ნინო აბაშიძე ემზადებიან, ოღონდ მათგან ჩვენმა ფედერაციამ ერთი უნდა შეარჩიოს. ორივემ ხანგრძლივი შეკრება გაიარა მოსკოვში. თორნიკე ტუკვაძე კი წელიწადზე მეტია, ამ ქალაქში ცხოვრობს და სვეტლანა ალექსეევას მეთვალყურეობით ვარჯიშობს. ის წყვილებში იასპარეზებს და პარტნიორობას მოსკოველი ტატიანა სევიანერი გაუწევს. ეს გოგო რუსეთის მოქალაქე კია, მაგრამ როგორც საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის გენერალური მდივანი, ირაკლი ჯაფარიძე ირწმუნება, თანხმაა, საქართველოს სახელით გამოვიდეს და ასეც მოხდება. ამ ბავშვების მოსკოვში ვარჯიში საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოყოფილი თანხებით ფინანსდება.

როგორც ჯაფარიძემ გვითხრა, რუსი ალექსანდრე ჩისნიხისა და ბელარუსი ევგენია ფილონენკოს ინტერნაციონალურ დუეტს საქართველოს სახელით ასპარეზობა მოუწადინებია. ნატურალიზებამ ხომ თანამედროვე სპორტში ძალიან მოიკიდა ფეხი. როცა სპორტსმენი თავისი ქვეყნის ნაკრებში ვერ ხვდება, მაშინ ისეთ ქვეყანაში გადასვლას ცდილობს, სადაც სპორტის ეს სახეობა შედარებით ნაკლებადაა განვითარებული, რაც დიდ ტურნირებში გამოსვლის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ დიდებში სინქრონული წყვილი არ გვყავს. ამიტომ უცხოელთა ჩვენით დაინტერესება ბუნებრივია. ისე კი, ფილონენკო იუნიორებში ინდივიდუალურ ასპარეზობაში მსოფლიოს ჩემპიონია. რა გამოვა აქედან, ჯერ არ ვიცით. ირინე სლუცკაიასთან დაკავშირებული შარშანდელი ამბავი კი გვახსოვს, როცა ყველაფერი თითქოს გადაწყვეტილი გვეგონა, მაგრამ ბოლოს მაინც უარი მივიღეთ. თუმცა ამჯერად საქმე იქამდეა მიყვანილი, რომ ჩისნიხ-ფილონენკოს საბუთები უკვე თბილისშია.

ცოტა ხნის წინ თბილისში ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაციასთან არსებული ბავშვთა სპორტის განვითარების კომისიის ხელმძღვანელი, კანადელი დევიდ დორი და მისი უნგრელი მოადგილე გეორგ შალლაკი იმყოფებოდნენ. მათ თბილისის საციგურაო სკოლა დაათვალიერეს და აქაური ყინულის მომცრო ზომებით უკმაყოფილონი დარჩნენ. თანხების გამოყოფაზე საუბარი არ ყოფილა. მათ მხოლოდ ის აინტერესებდათ, რამდენად პოპულარულია ეს სახეობა ბავშვებში. ამ სკოლაში კი 350 ნორჩი ვარჯიშობს. როცა ქართულმა მხარემ ფინანსურ დახმარებაზე ჩამოაგდო სიტყვა, დორიმ შორს დაიჭირა, ასეთ პატარა ყინულზე დიდი მოციგურავე ვერ გაიზრდებაო. მაშინ ჯაფარიძემ სტუმარს შეახსენა, რომ სწორედ ამ ყინულზე ფეხადგმულმა მურვანიძემ აჯობა კანადელ ჩემპიონს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ეს კი შეუვალი არგუმენტი აღმოჩნდა.

საბოლოოდ სტუმრები მაინც კმაყოფილები წავიდნენ საქართველოდან. ამას დორის მიერ ირაკლი ჯაფარიძის სახელზე გამოგზავნილი წერილიც ადასტურებს, რომელიც გულთბილი სიტყვებითაა სავსე. მაგრამ იქ ფინანსებზე არაფერია ნათქვამი, მხოლოდ მორალურ მხარდაჭერას გვთავაზობენ. თუმცა ჯაფარიძე იმედოვნებს, რომ ეს მატერიალურ დახმარებაში გადაიზრდება.

თბილისის საციგურაო სკოლა კი შემწეობას ითხოვს. შეუფერხებელი მუშაობისთვის მას ყოველწლიურად დიდძალი ფრეონი, 20 ტონამდე მარილხსნარი, უწყვეტი დენი და წყალი სჭირდება. სკოლა მერიის კუთვნილებაა და იგი მას საყიდლებში, დენის, წყლისა და სხვა კომუნალურ გადასახადთა დაფარვაში კი ეხმარება, მაგრამ ეს პრობლემას ბოლომდე მაინც ვერ ხსნის. საქმე ისაა, რომ სკოლა 35 წელია, მუშაობს და მისი ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია. ამ მიზეზით რამდენიმე დღის წინ ვარჯიშიც კი შეფერხდა (მილი გასკდა), მისი განახლების საშუალება კი ფედერაციას არა აქვს.

ირაკლი თავაძე

საუკუნეში ერთხელ!

19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის
დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!

19 ოქტომბერს, 17 საათზე, ფილარმონიაში!

გეძლევათ შანსი, მოხვდეთ სპორტის ვარსკვლავთა საუკუნოვან ზეიმზე, დააწესოთ პრიზი და მთელი საქართველოს თვალწინ გადასცეთ თქვენს რჩეულს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99-08-22, 99-94-09

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა | საინფორმაციო მხარდაჭერა

თავკაცები ბჭობენ და წყვეტენ

ათენში, იქ, სადაც უხსოვარ დროს ოლიმპიადები ჩაისახა, დღეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრებს მოუყრიათ თავი და მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს უყრიან საფუძველს. ამ გადაწყვეტილებათა მეტი წილი ალბათ ასევე უპრობლემოდ გავა ოლიმპიური კომიტეტის 110-ე საგანგებო სესიაზე, რომელიც 11-12 დეკემბერს ლოზანაში უნდა შედგეს. აღმასკომმა პირველად ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში სპორტსმენებს თავისი რიგებისკენ მწვანე შუქი აუნთო. სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ 15 სპორტსმენი სოკ-ის სრულუფლებიანი წევრი გახდება და 8 წელს დარჩება მასში, ხოლო ერთი მათგანი აღმასკომშიც დაიდებს ბინას. რჩეულთა ვინაობას თავად ოლიმპიადის მონაწილეები დაასახელებენ.

გარდა ამისა, აღმასკომის ათენურ თათბირზე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილეს. ათენის 2004 წლის ოლიმპიადისთვის დაგეგმილია ე.წ. ანტიდოპინგური პასპორტების შემოღება, რომელშიც სპორტსმენის დოპინგ-ტესტების შედეგები აღინუსხება მთელი მისი კარიერის მანძილზე. თითქმის გადაწყვეტილია საერთაშორისო ანტისადოპინგო საგენტოს შექმნაც, ეგაა ოღონდ, ჯერჯერობით მისი ადგილმდებარეობისა და ფინანსირების საკითხები ვერ მოგვარებულა. საგენტოს სავარაუდო ბიუჯეტში ამჟამად ფრანგების დაპირებული 600 ათასი დოლარიღა მოიაზრება. რაც შეეხება 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტიში გასამართ ზამთრის თამაშებს, მათ შორის შესაძლოა ბევრი ახალი სახეობა ვიხილოთ: 1500 მეტრიანი შორტ-ტრეკი და ქალთა ბობსლეი, სკელეტონი (საცაგო სპორტის ნაირახეობა) და სათხილამურო სპრინტერული რბოლები...

დაბოლოს, როგორც გაირკვა, ინგლისის დედოფალი, ელისაბედ II, რომელიც ფორმალურად ავსტრალიის სახელმწიფოს მეთაურად ითვლება, სიდნეიში ოლიმპიადის გახსნაზე ვერ ჩავა, ამიტომ აღმასკომის გადაწყვეტილებით თამაშებს ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი გახსნის. იმავდროულად, სოკ-ის აღმასკომმა უარყო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წინადადება, ავსტრალიელ აბორიგენთა დროშას ოლიმპიურ არენაზე სხვა ქვეყანათა დროშების დარად ეფრიალა და ამით ეს უძველესი ხალხი ცოტათი დაამწუხრა.

ყველა მოტელი დაკავებულია

მათ, ვისაც სინეის ოლიმპიურ თამაშებამდე მთელი 11 თვით ადრე თადარიგის დროულად დაჭერა და ავსტრალიის უდიდესი ქალაქის სასტუმროებში საოლიმპიადოდ ნომრების დაჯავშნა გადაუწყვეტიათ, ვაცნობებთ, რომ უკვე გვიანაა... გაზეთ „აუსტრალიანის“ ინფორმაციით, სადღეისოდ ოლიმპიადის 18 დღიანი პერიოდისათვის სიდნეის სასტუროებში დაუჯავშნელი რჩება 16 (!) ნომერი და მათაც უახლოეს დღეებში კი არა, საათებში ტურისტთა მოზღვავებული მსების ყველაზე იღბლიანი წარმომადგენლები ჩანთქავენ. გაზეთის ცნობები ფრიად სანდოა, რადგან ჟურნალისტთა კვლევის არეში სიდნეის 10 პრესტიჟული სასტუმრო და 131 ქალაქგარეთა მოტელი მოექცა 8400 ნომრის საერთო რაოდენობით. რჩება კიდევ 37 მოტელი 1250 ნომრით, რომლებიც შეკვეთებს მომავალი წლის დაწყებამდე არ ღებულობენ. მათი მეპატრონეები ახლა სიხარულისგან ალბათ დავლურს ცეკვავენ, რადგან საოლიმპიადო აჟიოტაჟი ნომრების ღირებულებას ბევრად აზრდის და ბევრად მეტი ფულის მოზვეტის საშუალება მიეცემათ. მოკლედ, ძვირფასო თანამემამულენო, თუმცა ავსტრალიას წასვლა ჩვენთვის პრობლემა არაა, რა გინდათ სიდნეიში, ტელევიზორი არ გირჩევნიათ?

დავით გულუა

ღღბლიანი დალასელები

5 ოქტომბერი

დეტროიტი — დალასი 2:3

0:1 2:0 0:2

0:1 ზუბოვი 16'38(1); 1:1 მერფი 33'48(1); 2:1 დიუშენი 34'13(1); 2:2 სლოუნი 43'26(1); 2:3 ჰალი 51'18(2)

„დღეს ნამდვილად ბედი გვწყალობდა“ — ვის-ვის და დალასის სუპერფორვარდ ბრეტ ჰალს მშვენივრად მოეხსენება, რომ მისი გუნდის გამარჯვება სრულიად ალოგიკური იყო. თუმცა იღბალმა ამჯერადაც ძლიერს გაუღიმა და თასის მფლობელმა კვლავ მოიგო, თანაც ისე, ორი წამყვანი მოთამაშე — მაიკ მოდანო და დერილ სიდორი აკლდა.

არადა, დეტროიტი შეუდარებელი იყო, განსაკუთრებით პირველ ორ პერიოდში. „წითელფრთიანებმა“ ჯერ კიდევ საგამოფენო მატჩებში აყარეს შავი დღე მეტოქეებს, ჰაშეკის ბუფალოსაც დამაჯერებლად მოუგეს და ახლაც არ მიუძღვით ბრალი იმაში, რომ დალასელებმა სამივე შაიბა შემთხვევით გაუტანეს. ყველაფერი კი კენ რეგეტის უხეში შეცდომით დაიწყო. ზაფხულში შეძენილმა 35 წლის მეკარემ უიოლესი შაიბა გაუშვა. არადა, ეს სტუმართა პირველი დარტყმა იყო ამ მატჩში, როცა მანამდე დეტროიტს უკვე 13-ჯერ(!) გამოეცადა ედ ბელფორი. გაცხარებულმა მასპინძლებმა მეორე პერიოდში ზეწოლა გაამძიერეს და ახალწვეული სტივ დიუშენის გოლით, როგორც იქნა, დაწინაურდნენ.

მაგრამ, აკი ვთქვით კიდეც, იმ საღამოს ბედი დალასელებს სწყალობდათ. ბოლო მესამედში ჯერ ბლეიკ სლოუნმა (ნჰლ-ში პირველი შაიბა), მერე კი ჰალმა ბორტიდან ასხლეტილი შაიბები რეგეტის კარისკენ გაგზავნეს, ბოლო წუთებზე კი სტუმრებმა დეტროიტელთა კიდევ ერთ შტურმსაც გაუძლეს. ბრწყინვალე ბელფორმა სასწაულებრივად იხსნა თავისი კარი სტივ აიზერმანისა და სერგეი ფიოდოროვის დარტყმებისგან. მარცხის მიუხედავად, მასპინძლები მხნედ გამოიყურებოდნენ: „მთავარია, ჩვენი საკადრისი და შარშანდელისგან განსხვავებული თამაში ვაჩვენეთ. თუ ასე გავაგრძელეთ, შედეგსაც აუცილებლად მივაღწევთ“ — თქვა ფორვარდმა ბრენდან შენაჰანმა და, ალბათ, მართალიცაა.

REUTERS დეტროიტიდან

დალასელი რიჩარდ მატვიჩუკისა (24) და დეტროიტელი სტივ აიზერმანის ორთაბრძოლა

რეინჯერსი — ოტავა 1:2

0:1 0:1 1:0

0:1 ჰოსა 18'27(1); 0:2 ჰოსა 38'36(2); 1:2 სტივენსი 51'14(1)

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვარსკვლავმრავალი რეინჯერსი საუკეთესო ფორმისგან ჯერ კიდევ შორსაა. იქნებ „რეინჯერთა“ მოგებული ჩემპიონატის დასაწყისი ბოლო სამი წლის — დეტროიტისა და დალასის პაექრობამ, უშელავათო ბრძოლა ყოველი პირველობის დამდეგს როდი იმართება

[illegible] ბა) ჩინებული [illegible] ბრალიც [illegible] მაგრამ ნიუიორკელები [illegible] ვერ გაიმართლეს. [illegible] ნელი [illegible] ბა. [illegible] ბა. [illegible] ბა.

1 ტური

საუკეთესო მოთამაშე

მაქუკა ტურაშვილი -ვითა-

მაქუკა ტურაშვილის ფოტო

„ვითა“ — სდასუ-ს ორივე ტაიმში ჩემპიონი ლიდერობდა, მაგრამ ეს შეხვედრა სხვა მატჩებისგან განსხვავებით მაინც ყველაზე დაძაბული გამოდგა. სდასუ-ს მცდელობას, გარდატეხა შეეტანა თამაშში, ერთ მუშტად შეკრული „ვითა“ არ ანებებდა, რომლის რიგებშიც საუკეთესო უდავოდ გუნდის კაპიტანი მაქუკა ტურაშვილი იყო. აღნიშნულ შეხვედრაში ტურაშვილი მსროლელად თამაშობდა. „ტურამ“ დაცვაში საუკეთესო თამაშს შეტევებიც შეუხამა და „ვითას“ ჯულაბას 22 ქულით შეეწია.

— მამუკა, შარშანდელ ფინალში „ვითამ“ „აზოტის“ წინააღმდეგ დიდებულად ითამაშა ზონური დაცვა. თქვენ ამჯერადაც ზონური დაცვის შედეგად დაამარცხეთ მეტოქე, „ვითასთვის“ იგი ტრადიციული სისტემა ხომ არ გახდება?

— რატომ მაინცდამაინც ზონური დაცვა. ჩვენ არც შემტევ კალათბურთზე, პრესინგსა და პერსონალურ დაცვაზე ვამბობთ უარს. გუნდს გააჩნია, ყველა გზა უნდა მოსინჯო და სადაც სისუსტეს ნახავ, ის ადგილი უნდა გამოიყენო.

— შეხვედრის დროს იყო მომენტები, როდესაც 22 ქულას უგებდით მეტოქეს, მაგრამ შემდეგ თქვენი უპირატესობა 6 ქულამდე შემცირდა. რა მოხდა, ნაადრევად ირწმუნეთ გამარჯვება თუ მოკლე სკამის გამო გადაიღალეთ?

— უფრო მოკლე სკამის ბრალი იყო. მთელი მატჩის სიმძიმემ 6 კაცის მხრებზე გადაიარა. თანაც, შეხვედრა, ისევე როგორც ცხოვრება, კარდიოგრამასავითაა. ყოველთვის ერთ დონეზე ვერც ცხოვრებაში იქნები და ვერც მოედანზე.

— მოედანზე ყველას სჯობდით. თქვენ თუ დარჩით თქვენი თამაშით კმაყოფილი?

— ჩემი თამაშით კმაყოფილი არასდროს ვყოფილვარ. ამჯერადაც მეტი შემეძლო გამეკეთებინა გუნდისთვის. ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საშუალო დონეზე ვითამაშე.

— რის გამო ვერ გამოავლინეთ თქვენი შესაძლებლობები ბოლომდე?

— ბოლო დროს „ვითაში“ შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო 25 დღე არ გვივარჯიშია და მეორე ტაიმის ბოლო წუთებში გადავიღალე. მართალია, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ ვაკეში მდებარე მძლეოსნობის მანეჟში, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ჩემი აზრით, გუნდი დღეში სამჯერ უნდა ვარჯიშობდეს. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში კი ამის პირობები არ არის. იგი ძალზე გადატვირთულია და ხანდახან საერთოდ ვერ ვახერხებთ დარბაზში შესვლას.

— თქვენს სამქულიანებს უვარჯიშებლობა ნამდვილად არ ეტყობოდა...

— გუნდი ძირითადად ტანმაღალმა კალათბურთელებმა დატოვეს. ცენტრში ახალკაცის იმედად ვართ და ამიტომ მიმდინარე ჩემპიონატში აქცენტს სამქულიანებზე გავაკეთებთ.

— ხშირ შემთხვევაში, როდესაც გუნდი ფინანსურ პრობლემებს განიცდის, იგი მთლიანად იშლება. „ვითაში“ კი სულ სხვა სიტუაციაა. კალათბურთელთა ნახევარი წავიდა, ნახევარი დარჩა. თქვენ თვითონ უცნაურად არ გეჩვენებათ აღნიშნული სიტუაცია?

— ბავშვი აღარ ვარ და ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები „ვითაში“ მაქვს გატარებული. „ვითა“ ჩემთვის მარტო გუნდი არ არის, იგი ჩემი ცხოვრების ნაწილია.

— თქვენ თუ გჭონდათ მიწვევა სხვა გუნდებიდან?

— ასეთი წინადადებით არავის მოუმართავს, მაგრამ კიდეც რომ ყოფილიყო, მაინც „ვითაში“ დავრჩებოდი. როგორც კაპიტანს, სხვანაირად მოქმედების უფლება არ მაქვს. გაჭირვებაში გუნდს ვერ მივატოვებ.

— „ვითა“ ჩემი ცხოვრების ნაწილიაო, ამბობთ. თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თქვენი საკალათბურთო მოღვაწეობის შესახებ?

— დავიბადე თბილისში, 1970 წლის 28 ივნისს. ვარჯიში დავიწყე გივი ჩუბინიძის ხელმძღვანელობით. ვარ თამაზ ოქრუაშვილისა და გია მიქაძის „მართვის“ პირველი იაობის წარმომადგენელი. შემდეგ ვთამაშობდი სსრკ-ს ჩემპიონატში მოასპარეზე „დინამოს“ დუბლებში. საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში გამოვდიოდი თელავის „ბურჯში“. შემდეგ ერთი სეზონი გავატარე სპერნეთის „ფილიპოსში“. ერთი წლის შემდეგ ჩავირიცხე „ვითაში“. 1996 წელს კვლავ „ფილიპოსში“ თამაში გადავწყვიტე, მაგრამ ოჯახური პირობების გამო თბილისში ჩამოვედი და ისევ „ვითას“ დავუბრუნდი.

— რამდენიმე შეხვედრა თქვენ სდასუ-შიც ჩაატარეთ...

— მართალია. 1996 წელს დროებით უგუნდოდ ვიყავი და სდასუ-ს ხელმძღვანელობამ მთხოვა: გია სანაძე ვერ თამაშობს და ცოტა ხნით დაგვეხმარეო. ბატონ თამაზ ოქრუაშვილს, მაშინდელი სდასუ-ს მთავარ მწვრთნელს, ხათრი ვერ გავუტეხე და რამდენიმე შეხვედრა მართლაც ვითამაშე. შემდეგ გუნდის პრეზიდენტი თემურ ქორიძე აღარ მიშვებდა, მე კი „ვითაში“ თამაში მსურდა. საბოლოოდ მაინც ჩემი გავიტანე და „ვითას“ დავუბრუნდი.

— რას თვლით თქვენი, როგორც კალათბურთელის, დადებით და უარყოფით თვისებად?

— ძალიან ემოციური ვარ როგორც მოედანზე, ასევე ცხოვრებაში. ემოციურობის გამო ხშირად ვზარალდები და ხშირად კი პირიქით. ასე რომ, ემოციურობა ჩემთვის დადებითი თვისებაცაა და უარყოფითიც. ვერა და ვერ ვისწავლე მარცხენა ხელით თამაში და ყველაზე უფრო ამ პრობლემის დაძლევა მიჭირს. დადებით თვისებად კი იმას ვთვლი, რომ ბოლო წამებამდე ვიბრძვი მოედანზე და ბიჭებისგანაც ამას ვითხოვ. ჩემი გაღიზიანების უმთავრესი მიზეზი კი ისაა, თუ ბიჭები მოდუნდნენ და ბოლომდე არ იბრძვიან.

— თქვენს სროლებს ხშირად გადაუწყვეტიათ მატჩის ბედი. მაგალითისთვის 1993-94 წლების საქართველოს ჩემპიონატის ფინალში „თბილისთან“ და 1997 წელს კვიპროსში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ავსტრიასთან ჩაგდებული ბურთიც იკმარებდა. თქვენი აზრით, კონკრეტულად რა თვისებაა საჭირო, რომ ურთულეს და გადამწყვეტ სიტუაციაში ზუსტად იმოქმედო?

— კარგი რამეა იღბალი, მაგრამ... ქართულად ვერ ვიხსენებ, რუსები რომ იტყვიან „ჟილკიანი“ თუ არ ხარ, კალათბურთს ვერ ითამაშებ.

— კარგი გუნდი შეიქმნა ბათუმში, უფრო გაძლიერდა სტუ-ც. თქვენი აზრით, ვინ იქნება ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი?

— ჯაფარიძე რომ არ წასულიყო „აზოტიდან“, რუსთაველებს თითქმის განაღდებული ჰქონდათ ჩემპიონობა, მაგრამ ჯაფარიძის გარეშეც ყველაზე მეტი შანსი მათ აქვთ. ეს გუნდი სხვაზე უფრო შეკრულია და შეთამაშებული.

— „ვითა“ ასე იოლად შეელევა ოქროს მედლებს?

— როდის იყო, „ვითა“ უბრძოლველად რამეს თმობდა?

როლანდ ლაბუჩიძე

ქართველი მწვრთნელების უმრავლესობას სწავლას გართულებულ ეკონომიკურ პირობებში

ამბობს ჯანლუკა ვიალის პირველი მწვრთნელი



ლასლო კილიკი



მაურიციო მონდონი

გურამ დოლიძისა და ვალერ ბურკაძის ფოტოები

საქართველოში ორი უცხოელი კალათბურთის სპეციალისტი, იტალიელი მაურიციო მონდონი და უნგრელი ლასლო კილიკი იმყოფება. ეს ხალხი აგერ უკვე მეხუთე დღეა, ქართველ მწვრთნელებს ლექციასემინარებს უკითხავს და ცოდნას უღრმავებს. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში დილაობით თეორიული მეცადინეობები ტარდება, საღამოს სამი საათი კი პრაქტიკულ წვრთნას ეთმობა. ორიოდ დღეში ჩვენი სტუმრები სხვა ქვეყნისკენ აიღებენ გეზს, აქ დანერგილი სიახლეებისა და ჩვენებურ მწვრთნელთა უნარის შესამოწმებლად კი გაისადაც გვესტუმრებიან. ერთი სიტყვით, ფიბა სწავლასმოწყურებულ მწვრთნელებს მთელ პროგრამას სთავაზობს და ახლა ყველაფერი სწორედ ქართველთა მარიფათზეა დამოკიდებული.

ჩვენს მწვრთნელებს საკმაოდ სერიოზულ ხალხთან მოუხდათ საქმის დაჭერა. საკმარისია, ვერის ბაღში შეიხედოთ და ამაში თავადაც დარწმუნდებით. ენერგიული უცხოელები მთლიანად სამუშაო პროცესში არიან ჩართულნი და თავიანთ კოლეგებს ბავშვთა კალათბურთში დასანერგ ახლებურ მეთოდებს აცნობენ. თავის მხრივ, ქართველებიც სმენად არიან ქცეულნი, ზოგი გულმოდგინედ ინიშნავს ნიშანდობლივ დეტალებს, ზოგი კი აშკარად სასოწარკვეთილია, გაოცებული შეჰყურებს ახალმოვლენილ მასწავლებლებს...

ჩვენი სტუმრების მაღალ სამწვრთნელო კვალიფიკაციაზე ორიოდ სიტყვით ვერაფერს იტყვი. თუმცა ის ფაქტი, რომ ლასლო კილიკს წლების მანძილზე უნგრეთის ქალთა ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად უმუშავია, თავისთავად ბევრზე მეტყველებს. ამ ხნის განმავლობაში ბატონი ლასლო სამჯერ ევროპის ჩემპიონატზეც გასძღოლია უნგრელ ქალებს და სამჯერვე ბრინჯაოთი ხელდამშვენებული დაბრუნებულა უკან. მოსკოვის ოლიმპიადაზე კი თანამემამულე მანდილოსნები ოთხეულშიც მოახვედრა.

ყოველივე ეს იტალიელმა მაურიციო მონდონიმ გვიამბო, რომელმაც თანამოსაქმე უამრავი საქებარი სიტყვით შეამკო. მერე კი ვრცელ ინტერვიუზეც თავაზიანად დაგვთანხმდა და საკუთარი თავიც წარგვიდგინა:

— დავიბადე კრემონაში, სიყმაწვილეც ამ ქალაქში გავატარე. იმდენად პატარა ვიყავი, რომ აღარც კი მახსოვს, რამ შემაყვარა ბურთი და კალათა. ერთი კია, მთელი ცხოვრება ამ სახეობას შევალიე და უკალათბურთოდ თავი ვეღარც წარმომიდგენია.

მწვრთნელობაც დიდი ხნის წინ დავიწყე. უკლებლივ ყველა ასაკის სპორტსმენებთან მიმუშავია. ერთხანს იტალიის მეორე დივიზიონის გუნდებსაც ვწვრთნიდი, მაგრამ გულმა მაინც ბავშვებისკენ გამიწია და დღესდღეობით ექვსიდან თორმეტ წლამდე ნორჩებს ვზრდი. იტალიის კალათბურთის ფედერაციასთან ერთად ფიბა-სთანაც ვთანამშრომლობ და საქართველოშიც სწორედ მათი დავალებით ჩამოვედი.

— ფიბა-სთან რა ფორმით თანამშრომლობთ?

— სანამ ამას გიპასუხებდეთ, გეტყვით, რომ ამ ორგანიზაციაში 1983 წლიდან ვმოღვაწეობ. მაშინ ფიბა-ს უშუალო ხელმძღვანელობით და უნგრელების დიდი მონდომებით ამ ქვეყანაში მინი-კალათბურთის სკოლა დავაარსე. იგივე გავაკეთე პოლონეთში ჩეხეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, ტუნისში, არგენტინაში, მგონი, უკვე სათვალავიც ამერია. ეხლაც, როცა თავისუფალი დრო მრჩება, სხვადასხვა ქვეყანაში ვმოგზაურობ და მწვრთნელებს ლექციებს ვუკითხავ. ამისათვის კი ფიბა-სგან სოლიდურ გასამრჯელოს ვიღებ.

— თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით გვითხარით თქვენი ამჟამინდელი ვიზიტის შესახებ.

— სულ ახლახან ფიბა-მ შეიმუშავა პროგრამა სახელწოდებით „ახალი მწვრთნელი-2000“. ამ საქმეში დიდი ფულია ჩადებული, მიზანი კი, რა თქმა უნდა კალათბურთის პოპულარიზაციაა. ძირითადი აქცენტი განვითარებად ქვეყნებზეა გადატანილი. ეხლაც აქედან სომხეთში მივემგზავრებით, სადაც ამავე მისით ერთ კვირას დავყოფთ. ბოლოს კი ბელარუსში ჩავალთ და იქაურ მწვრთნელებთან წავიმუშავებთ. ეს ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილია. გაისად ამ დროს კიდევ გესტუმრებით, ოღონდ, ბუნებრივია, სულ სხვა მოთხოვნებით.

— ამაში რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ჩვენმა მუშაობამ აუცილებლად ნაყოფი უნდა გამოიღოს. მომავალ წელს რომ ჩამოვალთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ დროს ტყუილად არ ვკარგავთ. თუ მწვრთნელებთან იმავე საკითხებზე მოგვიწევს საუბარი, რასაც მათ ახლა ვასწავლით, გამოდის, რომ ყველაფერი წყლის ნაყვა ყოფილა.

— როგორი წარმოდგენა შეგექმნათ ქართველ კოლეგებზე?

— თქვენ მწვრთნელებზე კონკრეტული აზრი არ გამაჩნია. მე, უბრალოდ, ვნახე სხვადასხვა ასაკის გუნდები და ამით უკვე ყველაფერი ნათელია. უამრავი საკითხი გაქვთ მოსაგვარებელი ბავშვთა, ასევე გარდამავალი ასაკისა და კადეტთა კალათბურთში. ყოველივეს კი ერთი მთლიანი პრობლემა მოაქვს, რასაც თქვენი ეროვნული ნაკრების წარუმატებლობაც ადასტურებს.

— უპირველესად რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა მწვრთნელებმა? პრობლემებიო, რომ ამბობთ, კონკრეტულად რა ხარვეზები გაქვთ მხედველობაში?

— რაც ვნახე, თქვენთან ყველაფერი არასწორად კეთდება. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. თუნდაც ბავშვებზე ვთქვათ. უბრალოდ, ის ელემენტარული პლუსებიც კი ვერ შევნიშნე, რაც აუცილებელი წინაპირობაა დიდი კალათბურთის სათამაშოდ. 7-8 წლის ბიჭები ვეტერანებივით მოძრაობენ, სრულიად მოუმზადებლები არიან ფიზიკურად, დაკარგული აქვთ წონასწორობა, არა აქვთ პასის კულტურა და არ შესწევთ ორიენტაციის უნარი. ვერ ისვრიან, ვერ ხტებიან, ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი რამ ჩამოვთვალე.

— თქვენი მისიაც ხომ ის არის, რომ ბავშვები სწორი პროგრამით აღიზარდონ. ამისათვის კი ჯერ მწვრთნელები უნდა ამაღლდნენ სათანადო დონეზე. მონდომება თუ ეტყობათ ქართველებს?

— ზოგიერთი მწვრთნელი ძალიან მოწადინებულია, ზოგი კი ისეთი უმეტესელო თვალებით შემოგაქერის, გგონია, ვერასდროს ვერაფერს ისწავლის. ძალიან მიყვარს აქტიური მსმენელები, რაღაცას რომ გეკითხებიან, ინიშნავენ. თქვენთანაც არიან ასეთები, მაგრამ უმეტესობა აქ გასართობად მიდის და არა სასწავლებლად. სხვა რა შეიძლება იფიქრო, როცა ცდილობ, რაღაცა გააგებინო, ის კი სიგარეტის მოსაწევად გავა, შემოვა და გაზეთს ჩაჩერდება, ზოგიც ტელეფონით ირთობს თავს. ყველაფერ ამას მეც და კილიკიც ვაფიქსირებთ. იმ სიაში, რომელიც ფიბა-ს უნდა გადავცეთ, პირობას გაძლევთ, რომ არაპროფესიონალები და დაუდევრები ვერ მოხვდებიან.

— რამდენადაც ვიცი, თქვენგან რეკომენდაციამიღებული მწვრთნელები ფიბა-სგან შესაბამის სერთიფიკატებსაც მიიღებენ...

— ასეა. ჩვენ აქ შევარჩევთ 7-8 მწვრთნელს, რომელთა ბიოგრაფიებსაც დახასიათებებს დავურთავთ და ყველაფერს ამას ფიბა-ს წარვუდგენთ. შემდეგ ისინი განსჯიან, თუ რომელი მათგანი იმსახურებს ფიბა-ს სერთიფიკატს, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც ჩვენზეა. ფიბა გადაწყვეტილების მიღებამდე მე და კილიკს აზრს დაგვეკითხება.

— დავუშვათ, ჩვენმა მწვრთნელებმა სერთიფიკატები გაიხადეს. მომავალში რა ბედი ელით მათ?

— ასეთ შემთხვევაში ქართველი მწვრთნელებიც იმავეს გააკეთებენ, რასაც ჩვენ, იმ განსხვავებით, რომ მათ ჯერჯერობით უცხოეთში არავინ მიავლენს. ისინი საქართველოშივე დარჩებიან და ჩვენგან შეძენილ ცოდნას კოლეგებს გაუზიარებენ. მათ ეძლევათ ამის შესაძლებლობა და თუკი ქართველები მომავალშიც თავს გამოიჩენენ, ფიბა-ს შეუძრნეველი არც ეს დარჩება. ერთი სიტყვით, ყველაფერი დროის და მონდომების ამბავია.

— უკვე საკმაო ხანია, ვსაუბრობთ და აქამდე ქართველებზე კარგი არაფერი დაგცდენიათ...

— ჩვენ კალათბურთზე ვლაპარაკობდით და... საერთოდ პირში მთქმელი კაცი ვარ, რასაც ვფიქრობ, არ ვმალავ. კალათბურთში ასეა, სხვა მხრივ კი მოსაწონი ბევრია საქართველოში. პირდაპირ ვეტყვით, აღფრთოვანებული ვარ თბილისელი გოგონებით. ძალიან ლამაზები არიან, რაც მთავარია, ჭკვიანური გამომეტყველება აქვთ.

— სიტყვამ მოიტანა და, დაოჯახებული თუ ხართ?

— სხვათა შორის, ჩემი მეუღლეც კალათბურთელი იყო. ძალიან დიდი ხნის წინ მის ერთ-ერთ თამაშს დავესწარი და მაშინვე გულში ჩამივარდა. მერე ახლობელს ვთხოვე, ჩემთვის გაეცნო. უცნაურია, მაგრამ ჩვენი მაჭანკალი თვით ჯანლუკა ვიალის და იყო. ალბათ, გსმენიათ ვიალის შესახებ..

— სულ დამავიწყდა, რომ კრემონადან ხართ. ვიალიც ხომ სწორედ ამ ქალაქიდანაა.

— ეგ კი არა, ჯანლუკას ძალიან კარგად ვიცნობ. თუ დამიჯერებთ, სანამ ფეხბურთელი გახდებოდა, კალათბურთზე დადიოდა. როგორ გგონიათ, კრემონაში ვისთან ივლიდა კალათბურთზე?

— რა თქმა უნდა, თქვენთან...

— მართალია. ათ წლამდე ვიალის კალათბურთში ვავარჯიშებდი. ბავშვობიდანვე ძალიან სწრაფი და ზუსტი იყო, თუმცა თავიდანვე ფეხით თამაში უფრო იზიდავდა. ამისთვის რამდენჯერმე დავსაჯე კიდეც, ვუხსნიდი, რომ კალათბურთს ხელით თამაშობენ და არა ფეხით. ბოლოს მაინც ფეხბურთის სიყვარულმა გადასძლია და... ხომ ნახეთ, მწვრთნელადაც როგორ ივარგა. მე ვიალით ყოველთვის ვამაყობდი.

გიორგი ბიკაშვილი
ირაკლი ფირაშვილი

სტეფანია ფრთად?

5 ოქტომბერს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კლუბების საწვრთნელი ბანაკები გაიხსნა. გუნდები ხანგრძლივი, მარათონული სეზონისათვის საბოლოო მზადებას შეუდგნენ. საწვრთნელი ბანაკი სიეტლშიც გაიხსნა, ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას გუნდი „სუპერსონიქსი“ თავის საშინაო დარბაზში „კი არენაში“ იწყებს მზადებას. გუნდში ნახევარი შემადგენლობა შეიცვალა და უამრავი რამ არის მოსაგვარებელი. მთავარი მწვრთნელი პოლ ვესტფოლიც ცდილობს, სეზონის დაწყებამდე მოათავოს ყველაფერი. განსაკუთრებით მწვავედ დგას ფრთის საკითხი.

ვესტფოლის ხელში ფრთობის რამდენიმე კანდიდატია: რუბენ პატერსონი, ლაზარო ბორელი და მათ შორის ვოვა სტეფანია, მაგრამ მათი სახელები ამერიკის საკალათბურთო წრეებში დიდად არ ქუხს. „სიეტლში“ სასტარტო ხუთეულში მოხვედრის კანდიდატების სპორტული თვისებები რომ გავაერთიანოთ, სუპერვარსკვლავს მივიღებთ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია და ვესტფოლსაც სახუთეულოდ ერთ-ერთი მათგანის ამორჩევა მოუწევს.

კანდიდატთაგან ყველას გააჩნია რაიმე კარგი საკალათბურთო თვისება, მაგრამ ერთი რამ ყველას საერთო აქვს: სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა. ვესტფოლმა, რა თქმა უნდა, იცის, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი, მაგრამ ერთია, როცა მოთამაშეს ვარჯიშზე ადევნებ თვალს და მეორეა თამაშში, ნამდვილ საქმეში რომ ამოწმებ.

რა შანსები აქვს სტეფანიას, მოხვდეს „ზებგერითების“ სასტარტო ხუთეულში ფრთად? ვოვას ეს შეუძლია. მას აქვს ერთი დიდი პლუსი — 213-სანტიმეტრიანი კაცის კვალობაზე საკმაოდ სწრაფი და მოქნილია. მთავარი მწვრთნელის აზრით, სტეფანიას აქვს ყველა იარაღი, მაგრამ იგი თამაშისას თითქოს ოდნავ შეზღუდულია და მთლიანად ვერ ავლენს თავის ძალას. დასავლეთ კონფერენციაში, სადაც „სიეტლი“ გამოდის, ბევრ მაღალ კალათბურთელს შეხვდებით, რომლებიც ფრთის ამპლუაში ირჯებიან. სტეფანია ამ ადგილას თამაშს მთლიანად შეჩვეული არაა, ამიტომაც მას დრო დასჭირდება.

ფიდელ კასტროს რეჟიმს ამერიკაში გამოქცეულ კუბელს, ლაზარო ბორელს აქვს როგორც მკაფიო პლუსი, ასევე მინუსი. პლუსი ისაა, რომ კუბელი ემიგრანტი თავს კარგად გრძნობს მეტოქის ფარის სიახლოვეს, ბურთის კალათში ჩაგდების ბევრი ხერხი იცის და, როგორც თვითონ ამბობს, მათ წარმატებით იყენებს თამაშის დროს. მინუსი კი ისაა, რომ კუბელს ერთი ოფიციალური თამაშიც არ ჩაუტარებია ამერიკაში და შეუძლებელია, იგი მზად იყოს იმ სრულყოფილებამდე აყვანილი კალათბურთისთვის, რომელსაც ნბაში თამაშობენ. ამასთან, ბორელი საერთოდ ვერ ლაპარაკობს ინგლისურად და მოიკოჭლებს დაცვაშიც.

კიდევ ერთი კანდიდატი გახლავთ „ლეიკერსიდან“ წლეულს გადასული რუბენ პატერსონი, რომელსაც, იმის გამო რომ „ლეიკერსის“ ვარჯიშებზე მუდმივად კობი ბრაიანტს მეურვეობდა, მეტსახელად „კობის შემჩერებელს“ ეძახიან. პატერსონს რომ მოუსმინოს კაცმა, მისი მჯობნი დაცვაში მსოფლიოში არ მოიძებნება და ამას იგი ყოველთვის ხაზს უსვამს პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას: „მე შევაჩერებ სკოტი პიპენს, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, პიპენთან მიწევს თამაში, თუ გრანტ ჰილთან, ეგ ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს“. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო, სეზონი ერთ თვეში დაიწყება.

თითქოს მოთამაშეები აკლდა და „სიეტლის“ ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი ფრთა აიყვანა, შარლოტელი თავისუფალი აგენტი ჩაკ პერსონი. იგი გამოცდილია. 35 წლის კალათბურთელს ლიგაში 12 სეზონი გაუტარებია, მაგრამ ასაკის გამო ნაკლებსავარაუდოა, ამ ვეტერანს ხშირად მოუწიოს მოედანზე ყოფნამ.

ირაკლი ფირაყვილი

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. III ტური. 6 ოქტომბერი

A ჯგუფი

შოლე 70:77 ბარსელონა
პაოკ 83:63 ცსკა

D ჯგუფი

ეფესი 73:67 ბუდუჩნოსტი

AFP შოლედან

შოლე — ბარსელონა 70:77. შოლელი დერონ ჰეიესი (№12) ბარსელონელ იგნასიო როდრიგესს გაურბის

საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. III ტური. 5-6 ოქტომბერი

A ჯგუფი

აეკ (საბერძნეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 69:53, ჰონკა (ფინეთი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 98:101, შარლეროა (ბელგია) — ავტოდორი (რუსეთი) 78:64

სატურნირო მდგომარეობა: აეკ 6 ქულა, შარლეროა 6, ჩერნო მორე 5, ჰაპოელი 4, ჰონკა 3, ავტოდორი 3

B ჯგუფი

პამესა (ესპანეთი) — ზადარი (ხორვატია) 71:66, სავინსკი (სლოვენია) — არსენალი (რუსეთი) 91:83, აქილეასი (კვიპროსი) — დელტა (ესტონეთი) 69:55

სატურნირო მდგომარეობა: პამესა 6 ქულა, ზადარი 5, სავინსკი 5, არსენალი 4, აქილეასი 4, დელტა 3

C ჯგუფი

შალონ-საონი (საფრანგეთი) — მაკაბი (რაანანა, ისრაელი) 55:67, აპოელი (კვიპროსი) — რიგო (პოლანდია) 68:74, ალბაკომპი (უნგრეთი) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 82:71

სატურნირო მდგომარეობა: ალბაკომპი 6 ქულა, ლიეტუვოს რიტასი 5, შალონ-საონი 5, რიგო 4, მაკაბი 4, აპოელი 3

D ჯგუფი

ტაუ (ესპანეთი) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 61:55, ბოსნა (ბოსნია) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 59:52, ილიაბუმი (პორტუგალია) — პეკაესი (პოლონეთი) 61:83

სატურნირო მდგომარეობა: ტაუ 6 ქულა, ბოსნა 5, პეკაესი 5, პარი სენ ჟერმენი 5, ილიაბუმი 3, რაბოტნიჩკი 3

E ჯგუფი

სენტ პიოლტენი (ავსტრია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 72:81, პარტიზანი (იუგოსლავია) — ტელეკომი (გერმანია) 76:70, პორტუ (პორტუგალია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 74:60

სატურნირო მდგომარეობა: პორტუ 6 ქულა, პარტიზანი 6, ირაკლისი 5, სლოვაკოფარმა 4, ტელეკომი 3, სენტ პიოლტენი 3

F ჯგუფი

კინდერი (იტალია) — ცეპტერი (პოლონეთი) 77:49, ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 94:92, მატავი (უნგრეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 71:69

სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 6 ქულა, ნორჩიოპინგი 5, ცეპტერი 5, ვენტსპილსი 4, მატავი 4, ფენერბაჰჩე 3

G ჯგუფი

ოკაბი (ბელგია) — სპლიტი (ხორვატია) 60:71, ადეკო (იტალია) — დარუშაფაკა (თურქეთი) 82:87, პლანია (შვედეთი) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 72:65

სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 6 ქულა, სპლიტი 5, ადეკო 5, პლამია 5, ოკაბი 3, ლონდონ თაუერზი 3

H ჯგუფი

კრკა (სლოვენია) — რადნიჩკი (იუგოსლავია) 62:58, ტატამი (გერმანია) — საკალაი (ლიტვა) 73:74, ტოპო (ფინეთი) — მლეკარნა (ჩეხეთი) 74:54

სატურნირო მდგომარეობა: საკალაი 6 ქულა, კრკა 5, რადნიჩკი 4, ტატამი 4, მლეკარნა 4, ტოპო 4

მეოთხე ტური გაიმართება 12-13 ოქტომბერს

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

სარბიელის საშუალებით ფიბა ევროსტარი

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

☐ ალესანდრო აბიო	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ ფრაგისკოს ალვერტისი	საბერძნეთი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ალბერტო ანგულო	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ მიროსლავ ბერიჩი	იუგოსლავია	უგუნდოდ
☐ ჰუსეინ ბეშოქი	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	ვილერბანი (საფრანგეთი)
☐ დავიდე ბონორა	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ დეიან ბოდიროგა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ პრედრაგ დანილოვიჩი	იუგოსლავია	კინდერი (იტალია)
☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი	იუგოსლავია	რეალი (ესპანეთი)
☐ გინტარას ეინიკისი	ლიტვა	ცსკა (რუსეთი)
☐ ნიკოს ეკონომუ	საბერძნეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰარუნ ერდენაი	თურქეთი	ულქერი (თურქეთი)
☐ ვინჩენცო ესპოზიტო	იტალია	იმოლა (იტალია)
☐ ლორან ფუარე	საფრანგეთი	ტაუ (ესპანეთი)
☐ გრეგორ ფუჩკა	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ტორბიორნ გერკე	შვედეთი	პლანია (შვედეთი)
☐ გორდან გირიჩკი	ხორვატია	ციბონა (ხორვატია)
☐ ალბერტო ერეროსი	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ოდედ კატაკი	ისრაელი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ეიზაელ კოხი	გერმანია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ იბრაჰიმ ქუთლუაი	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ დენის მარკონატო	იტალია	ბენეტონი (იტალია)
☐ ანდრეა მენეგინი	იტალია	ვარეზე (იტალია)
☐ მარკო მილიჩი	სლოვენია	ოლიმპია (სლოვენია)
☐ ველკო მრშიჩი	ხორვატია	უნიკახა (ესპანეთი)
☐ დამირ მულამემეროვიჩი	ხორვატია	ეფესი (თურქეთი)
☐ მარტინ მეშურსეპი	ესტონეთი	აეკ (საბერძნეთი)
☐ კარლტონ მაიერსი	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ პეტარ ნაუმოსკი	მაკედონია	უგუნდოდ
☐ ხუან კარლოს ნავარო	ესპანეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ საშა ობრადოვიჩი	იუგოსლავია	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
☐ პაულო პინტუ	პორტუგალია	პორტუ (პორტუგალია)
☐ დინო რაჯჯა	ხორვატია	ზადარი (ხორვატია)
☐ ფელკო რებრაჩა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ეფტიმიოს რენციასი	საბერძნეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ ანტუან რიგოდო	საფრანგეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰენრიკ როდლი	გერმანია	ალბა (გერმანია)
☐ დორონ შეფერი	ისრაელი	მაკაბი (ისრაელი)
☐ მატიაუ სმოდიში	სლოვენია	კრკა (სლოვენია)
☐ მუსტაფა სონკო	საფრანგეთი	ვილერბანი (საფრანგეთი)
☐ საულიუს შტომბერგასი	ლიტვა	კინდერი (იტალია)
☐ ერიკ სტრიულენსი	ბელგია	რეალი (ესპანეთი)
☐ დრაგან ტარლაჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ მილან ტომიჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ დომინიკ ტომჩიკი	პოლონეთი	პეკაესი (პოლონეთი)
☐ ალექსის ზახარიუ	კვიპროსი	აპოელი (კვიპროსი)
☐ ირუი ზიდეკი	ჩეხეთი	ჟალგირისი (ლიტვა)
☐ ვინდაუგას შუკაუსკასი	ლიტვა	ჟალგირისი (ლიტვა)

სიაში არმოხვედრილი მეტოქეები	არამეტოქეები

სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გაკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,

ან საფოსტო მისამართზე:

თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედალი შეირჩა

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იმსჯელა, ათვალიერა, იორჭოფა და როგორც იქნა, შეარჩია სიდნეის ოლიმპიადის მედლების დიზაინი. სიდნეიშივე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მაიკლ ნაითმა მედიას წარუდგინა გამარჯვებული მოდელი. მედლის წინა მხარეს გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, რევერსზე კი სიდნეის ოპერის შენობა, ჩირაღდანი და ოლიმპიური რგოლები.



REUTERS სიდნეიდან

კასპაროვი — მსოფლიო



1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. მxd4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლxe4 12. მc7+ მფd7 13. მxa8 ლxc4 14. მb6+ axb6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ეxb1 მფxb1 49. მფxg6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფb2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4

ბელგია

ლიგის თასი

კორტრაიკი 0:6 ანდერლეხტი

ანტვერპენი 1:2 მუსკრონი

პოლონეთი

ლიგის თასი.

მეოთხედფინალი. I წრე

ლკს 1:1 ლეგია

პლოცკი 0:2 პოგონი

ავსტრია

XV ტური. აუსტრია — ბრეგენცი 3:1; ლინცერი — ტიროლი 3:0; ლუსტენაუ — რიდი 0:1; ზალცბურგი — გრაცერი 1:0; შტურმი — რაპიდი 1:0

დანია

XI ტური. სილკებორგი — ვიბორგი 1:1; კოპენჰაგენი — ჰერფოლგე 0:1; ოლბორგი — აკადემისკი 2:2; ორჰუსი — ესბიერგი 2:1; ოდენსე — ბრონდბიუ 2:1; ლუინგბიუ — ვაილე 5:1

უკრაინა

XI ტური. ნივა — პრიკარპატია 3:1

REUTERS ბოგოტადან

კვლავ ტორონტოდან

გუშინაც ვიტყობინებოდით, თუ რარიგ იქაჩება ახალი სეზონისთვის ენბიეის კანადური გუნდი „ტორონტო რეპტორზი“. ჯერ ხომ ანტონიო დეივისი და მაგსი ბოგსი მოიპოვა, ახლა კი ახალი მოდელის სათამაშო ფორმაც შეურჩევია და სწორედ დეივისის წყალობით წარუდგენს მედიას. ფორმაზე აღარ ხატია ავ-კარგიანი ურჩხულ-დინოზავრი და სამოსი მდედრული სისადავით გამოირჩევა.

REUTERS ტორონტოდან

სულ მანქანაში

კარტის რბოლების წლევანდელი ლიდერი, „ჩიპ განასის“ ნევრი ხუან პაბლო მონტოია დასვენების ჟამსაც კი მანქანაში ზის. მშობლიურ ბოგოტაში ყოფნისას ბავშვებს მინი-კარტინგების მართვას ასწავლის. ისე კი, მონტოია დიდად პატივდებული კაცია კოლუმბიაში, იქაური უმაღლესი ჯილდო, ბოიაკას ჯვარიც კი დაუმსახურებია.

ჰაურაკის ყურეში

ოკლენდის ჰაურაკის ყურეში ერთმანეთს ეჯიბრება ორი იაპონური იახტა. ორივენი ამერიკის თასის გათამაშებისთვის მზადმყოფი ეკიპაჟებით დახუნძლულან, შეჯიბრი კი იმისთვისაა, რომ ჰაურაკის ყურეში უკეთესი ალაგი დაიჭირონ. ამერიკის თასის „ჩელინჯი“ 18 ოქტომბერს დაიწყება ამავ ყურეში და მასში ფრანგული, ამერიკული, შვეიცარიული, ავსტრალიური, ამერიკული, ესპანური და რუსული ეკიპაჟები ჩაერთვებიან.



REUTERS ოკლენდიდან



REUTERS ტაივანიდან

მიწისძვრის შემდეგ

ტაივანში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ უამრავი რამ დაინგრა. მათ შორის სკოლებიც და სპორტული მოედნებიც. ამ ქვეყანაში გუშინღა განახლდა სწავლა და ვარჯიშობა. თუმც, რაღა ვარჯიშობა, სკოლები სამხედრო კარვებშია გადატანილი, სარბენი ბილიკები კი დაბზარული და დახეთქილია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli